ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

12 ნოემბრიდან!
„ახალი თაობა“
+
„საზღაური“
4 ლარი
ქართული
დეტექტივი
მე-3 ტომი




პარასკევი, 15 ნოემბერი, 2013 №271 (6272) ფასი: 30 თეთრი

## თეა წულუკიანი: „გარე ძალები კეზერაშვილის გათავისუფლებაზე მუშაობენ“

„საქართველოს მთავარი პროკურატურა მუშაობს დოკუმენტაციის გაგზავნის საკითხებზე კეზერაშვილის ექსტრადიციასთან დაკავშირებით საფრანგეთის სასამართლოში. ჩვენმა შინაგან საქმეთა სამინისტრომ მჭიდროდ ითანამშრომლა თავის ფრანგ კოლეგებთან კეზერაშვილის დაკავების მიზნით, ეს იყო ორმხრივი თანამშრომლობის შესანიშნავი მაგალითი. მქონდა პატივი, საფრანგეთის იუსტიციის მინისტრისთვის მიმემართა და ამეხსნა, თუ რამდენად მნიშვნელოვანია მართლმსაჯულებისა და სამართლისთვის ამ საქმეზე ექსტრადიციის განხორციელება. მას შემდეგ, რაც საფრანგეთი მასალებს მიიღებს, ჩვენ ველოდებით საფრანგეთის სასამართლოს გადაწყვეტილებას.“



გვ.2

## ლაშა ნაცვლიშვილსა და ირაკლი ალასანიას ზეწოლაში ადანაშაულებენ





გვ.3

თავდაცვის სამინისტროსა და პროკურატურაში ბრალდებებს კომენტარის ღირსად არ თვლიან

## ნიკა გვარამია და მასთან ერთად ბრალდებული 6 პირი სასამართლომ გაამართლა

გვ. 6



გვ.4

### ირინა სარიშვილი: „ივანიშვილმა ღარიბაშვილი გაწირა“

### ხათუნა ლაგაზიძე: „საქართველოს უმძიმესი პერიოდი ელოდება“



გვ.2

### შეუჩერდება თუ არა ვალერი გელაშვილს დეპუტატის უფლებამოსილება



გვ.3

### დავით ლილუაშვილი: „პროკურატურას დღემდე ნაციონალები აკონტროლებენ“



გვ.5



გვ.5

### მამუკა გიორგაძე: „არჩილ კბილაშვილი კი არ გადადგა, გაუშვეს!“

ISSN 1987-9385

4 გიორგი მარგველაშვილი: „არ არის იმის შესაძლებლობა, რომ სახელმწიფო მოხელეებმა ფეშენებელურ სასახლეებში ვიცხოვროთ“

6 ვიქტორია ნულანდი საქართველოსთვის ვილნიუსის სამიტს ისტორიულს უწოდებს

4 პოლიციელის დაჭრაში ეჭვმიტანილი კახა გულორდავა სასამართლომ 2 000-ლარიანი გირაოს სანაცვლოდ გაათავისუფლა

6 რუსული დელეგაცია პრეზიდენტის ინაუგურაციას არ დაესწრება

ლურჯი წითელი ყვითელი შავი

# ხათუნა ლაგაზიძე: „საქართველოს უმძიმესი პერიოდი ელოდება“

ნათია ხურცილავა

**ვილნიუსის სამიტი საქართველოსთვის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საერთაშორისო სამიტია, სადაც საქართველომ ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების პარაფირება უნდა მოახდინოს.**

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით პოლიტოლოგი ხათუნა ლაგაზიძე მიიჩნევს, რომ საქართველოს შემდგომი წინსვლა დოკუმენტის პარაფირებიდან ხელმოწერამდე უკრაინის კონტექსტში უნდა განვიხილოთ.

ექსპერტები გამოთქვამენ ვარაუდს, რომ რუსეთის ფედერაცია უკრაინას აიძულებს, ევროკავშირთან ასოცირების დოკუმენტზე ხელმოწერა გადადოს, რაც, ლაგაზიძის განცხადებით, საქართველოსთვის ძალიან ცუდი იქნება.

პოლიტოლოგს მიაჩნია, რომ საქართველოსთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია უკრაინის პოზიცია ევროკავშირთან ასოცირების შესახებ ხელშეკრულების ხელმოწერასთან დაკავშირებით.

ლაგაზიძე ამბობს, რომ რუსეთი უკრაინაზე ზეწოლას ახორციელებს და შიშობს, რომ უკრაინაში განვითარებული მოვლენები, შესაძლოა, საქართველოზეც მნიშვნელოვნად აისახოს.

– ძალიან სერიოზული შეშფოთებაა გამოთქმული, რომ უკრაინა აპირებს, გადადოს ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერა, სულ მცირე, ერთი წლით. ეს ყველაფერი პირდაპირ კავშირშია საქართველოს პოლიტიკურ მომავალთან და რუსეთთან და ევროკავშირთან ურთიერთობასთან, იმიტომ, რომ თუ უკრაინა რუსეთის ზეწოლით უარს იტყვის ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერაზე, ეს ნიშნავს, რომ ჩვენ გველოდება უმძიმესი წელი ან წლები პარაფირებიდან ხელმოწერამდე დარჩენილ პერიოდში, – აცხადებს ხათუნა ლაგაზიძე.

პოლიტოლოგი საშიშროებას ხედავს, რომ რუსეთის ფედერაცია შეეცადოს, საქართველო აიძულოს, უარი თქვას ევროსტრუქტურებში უფრო ღრმა ინტეგრაციაზე.

– არსებობს საშიშროება, რუსეთი შეეცადოს, აიძულოს საქართველო, უარი თქვას ამ ხელშეკრულების ხელმოწერასა და შემდგომ უფრო სიღრმისეულ ინტეგრაციაზე ევროსტრუქტურებთან, – აცხადებს ლაგაზიძე.

ხათუნა ლაგაზიძე ამ ფონზე მნიშვნელოვნად მიიჩნევს უკრაინის პოზიციას, რადგან სწორედ უკრაინაა მთავარი ფორპოსტი.

– ჩვენთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია უკრაინის პოზიცია, რადგან ის არის რუსეთის მთავარი ფორპოსტი საბაჟო კავშირის შექმნის გზაზე თავისი სტრატეგიული მდებარეობით, რუსეთის მოსახლეობასთან ეთნიკური სიახლოვითა თუ მოსახლეობის რაოდენობით. თუ რუსეთმა უკრაინის ნება გატეხა, გაცილებით უფრო მეტი სტიმული ექნება, რომ საქართველოსაც იგივე დამართოს, – განაცხადა ლაგაზიძემ.

მისივე თქმით, საქართველოსთვის ევროინტეგრაცია ულტერნატივო გზაა და იმ შემთხვევაში, თუ ქვეყანა ამაზე უარს იტყვის, „საქართველო, როგორც სახელმწიფო, დასრულდება“.

ლაგაზიძის შეფასებით, ასოცირების ხელშეკრულების პარაფირებიდან ხელმოწერამდე საქართველოს უმძიმესი პერიოდი ელოდება. პოლიტოლოგი შიშობს, რომ უკრაინაში განვითარებულმა ბოლოდროინდელმა მოვლენებმა, შესაძლოა, საქართველოზე მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს.

– რამდენიმე თვის წინ უკრაი-



ნამ გააკეთა მკვეთრი განაცხადი იმასთან დაკავშირებით, რომ ის მზად იყო, ხელი მოეწერა ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების გაფორმებაზე. მაშინ იანუკოვიჩმა თავის ფრაქციასთან შეხვედრაზე ცნობილი ფრაზაც კი თქვა, ყოველ ღამე ვწვები იმის მოლოდინით, რომ მეორე დღემ რუსეთთან პრობლემების გარეშე ჩაიაროსო. 9 ნოემბერს კი, როგორც უკრაინული პრესა იუწყებოდა, იანუკოვიჩი კიევიდან გაუჩინარდა და მოულოდნელად მოსკოვში აღმოჩნდა. ამის შემდეგ, 12 ნოემბერს, პრეზიდენტთან და პრემიერთან დახურულ შეხვედრაზე იკრიბება უკრაინის ბიზნესელიტა და სთხოვენ პრეზიდენტს, მინიმუმ, ერთი წლით გადაიდოს ასოცირების ხელშეკრულებაზე ხელმოწერა, წინააღმდეგ შემთხვევაში, უკრაინა დადგება ეკონომიკური და ჰუმანიტარული კატასტროფის წინაშე, იმიტომ, რომ მასობრივად იხურება საწარმოები და კატასტროფულად მცირდება სამუშაო ადგილები. პარალელურად, გუშინ უკრაინის რადამ შეაჩერა სამი უმნიშვნელოვანესი კანონპროექტის განხილვა, რომელსაც ევროკავშირი პირობად უყენებს ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერისთვის: ტიმოშენკოს სამკურნალოდ წასვლა გერმანიაში, პროკურატურის შესახებ კანონი და საარჩევნო სისტემის რეფორმირების შესახებ კანონი, რომელიც რადას პირველი მოსმენით უნდა მიეღო. 12 ნოემბერს, უკრაინის პრემიერმა გააკეთა განცხადება, რომ უკრაინა ვერ იტყვის უარს რუსეთთან თანამშრომლობაზე, რადგან ასეთ შემთხვევაში ის კარგავს დიდ ბაზარს, უკრაინის წარმოების 20-25% გადის რუსეთში, რომლის კომპენსაციაც მათ ევროკავშირმა ვერ შესთავაზა. ძალიან სერიოზული შეშფოთებაა გამოთქმული, რომ უკრაინა, სულ მცირე, აპირებს, გადადოს ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერა, მინიმუმ, ერთი წლით. ეს ყველაფერი პირდაპირ კავშირშია საქართველოს პოლიტიკურ მომავალთან და რუსეთთან და ევროკავშირთან ურთიერთობასთან, იმიტომ, რომ თუკი უკრაინამ რუსეთის ზეწოლით უარი თქვა ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერაზე, ამ ეტაპზე მაინც, ეს ნიშნავს, რომ ჩვენ გველოდება უმძიმესი წელი ან წლები პარაფირებიდან ხელმოწერამდე დარჩენილ პერიოდში. არსებობს საშიშროება, რუსეთი შეეცადოს, აიძულოს საქართველო, უარი თქვას ამ ხელშეკრულების ხელმოწერასა და შემდგომ უფრო სიღრმისეულ ინტეგრაციაზე ევროსტრუქტურებთან. იმიტომ არის ჩვენთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი უკრაინის პოზიცია, რადგან ის არის რუსეთის მთავარი ფორპოსტი საბაჟო კავშირის შექმნის გზაზე, თავის სტრატეგიული მდებარეობით, რუსეთის მოსახლეობასთან ეთნიკური სიახლოვით თუ მოსახლეობის რაოდენობით. თუ რუსეთმა უკრაინის ნება გატეხა, გაცილებით უფრო გულმოცემული იქნება იმასთან დაკავშირებით, რომ საქართველოსაც იგივე დამართოს, – განაცხადა ხათუნა ლაგაზიძემ.

პოლიტოლოგი მიიჩნევს, რომ საქართველო რაც უფრო მეტად ღრმად შევა რუსეთის ბაზარზე, რუსეთს მასზე ზემოქმედების უფრო მეტი ბერკეტი ექნება.

რაც შეეხება რუსეთის დღეს არსებულ ბერკეტებს, პოლიტოლოგი აცხადებს, რომ ეს არის საქართველოს ოკუპირებული რეგიონები და მცოცავი ანექსია, ასევე ეთნიკურად არაქართული რეგიონები.

ლაგაზიძე ევროინტეგრაციის რუსული ორიენტაციით ჩანაცვლებაში საქართველოს სახელმწიფოებრიობის დასრულების საფრთხეს ხედავს.

როგორც პოლიტოლოგმა ჟურნალისტებს განუცხადა, თუ რუსეთმა საქართველოს, უკრაინის მსგავსად, ასოცირების ხელშეკრულებაზე ხელმოწერაზე უარის თქმა აიძულა, საბაჟო კავშირში შესვლის საშიშროება დადგება.

მისივე თქმით, საქართველომ ასეთი რამ არ უნდა დაუშვას, რადგან მისი, როგორც სახელმწიფოს გადარჩენის ერთადერთი გზა დასავლეთთან ინტეგრაციაა.

– უკრაინის პრემიერმა თქვა, რომ მთავრობას საბაჟო კავშირთან ტექნიკური და საბაჟო რეგულაციების დაჩქარებული ტემპით მოწესრიგება დაავალა. რუსეთისთვის ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებაზე უარის თქმასა და საბაჟო კავშირში გაწევრიანებასთან ტოლობის ნიშანია ანუ მან თუ ეს გაიძულა, მაქსიმალურად ეცდება, ბოლომდე მიიყვანოს მისთვის სასურველი სცენარი და საბაჟო კავშირში შეგიყვანოს. მე ვფიქრობ, საქართველოს სახელმწიფოდ არსებობის ერთადერთი გზა დასავლეთთან ურთიერთობაა, სხვა ალტერნატივა არ გაგვაჩნია. აქ საუბარი იმაზე არ არის, ეკონომიკურად წარმატებული იქნები თუ წარუმატებელი, საუბარია ერთადერთ რამეზე: უკრაინა სახელმწიფოებრიობის დაკარგვის საფრთხის წინაშე ნაკლებად დგას, თუნდაც საბაჟო კავშირში გაწევრიანებით, დიდი ქვეყანაა, უშუალოდ ესაზღვრება ევროპას და ა.შ. თუ საქართველომ უარი თქვა დასავლურ მიმართულებაზე და ევროატლანტიკურ სტრუქტურებზე ორიენტაცია რუსული ორიენტაციით ჩაანაცვლა, ეს ნიშნავს, რომ საქართველო, როგორც სახელმწიფო, დასრულდება, – აღნიშნავს ლაგაზიძე.

# თეა წულუკიანი: „გარე ძალები კეზერაშვილის გათავისუფლებაზე მუშაობენ“

ნათია ხურცილავა

ჯერ კვლავ უცნობია, როდის მოხდება ყოფილი მაღალჩინოსნის დავით კეზერაშვილის საქართველოში ექსტრადიცია, თუმცა, კეზერაშვილის საქმეში ჩართულები არიან გარეშე ძალები. გარკვეული ძალები თავდაცვის ყოფილი მინისტრის გათავისუფლებისთვის იბრძვიან, ამ ინფორმაციას ადასტურებს იუსტიციის მინისტრი. გავრცელებული ხმებით, კეზერაშვილის გათავისუფლებისთვის ებრაული ლობი იბრძვის.

იუსტიციის მინისტრმა თეა წულუკიანმა თავდაცვის ყოფილი მინისტრის დავით კეზერაშვილის ექსტრადიციის მოთხოვნით უკვე მიმართა საფრანგეთის იუსტიციის მინისტრს.

როგორც ცნობილია, დავით კეზერაშვილის ექსტრადიციას ქართული მხარე ფრანგული მხარისგან უახლოეს მომავალში ელოდება. თუმცა, მანამდე მთავარმა პროკურატურამ დასაბუთებული ბრალდება უნდა წარუდგინოს ფრანგულ მხარეს.

საქართველოს იუსტიციის მინისტრი დარწმუნებულია, რომ გარე ძალებს ძალიან ბევრი მცდელობა აქვთ კეზერაშვილის გასათავისუფლებლად, რაც, მისი თქმით, სრული კრახით დასრულდება.

– საქართველოს მთავარი პროკურატურა მუშაობს დოკუმენტაციის გაგზავნის საკითხებზე კეზერაშვილის ექსტრადიციასთან დაკავშირებით საფრანგეთის სასამართლოში. ჩვენმა შინაგან საქმეთა სამინისტრომ მჭიდროდ ითანამშრომლა თავის ფრანგ კოლეგებთან კეზერაშვილის დაკავების მიზნით, ეს იყო ორმხრივი თანამშრომლობის შესანიშნავი მაგალითი. მქონდა პატივი, საფრანგეთის იუსტიციის მინისტრისთვის მიმემართა და ამეხსნა, თუ რამდენად მნიშვნელოვანია მართლმსაჯულებისა და სამართლისთვის ამ საქმეზე ექსტრადიციის განხორციელება. მას შემდეგ, რაც საფრანგეთი მასალებს მიიღებს, ჩვენ ველოდებით საფრანგეთის სასამართლოს გადაწყვეტილებას. დარწმუნებული ვარ, გარე ძალების ძალიან ბევრი მცდელობა მის გასათავისუფლებლად, სრული კრახით დასრულდება, – განაცხადა წულუკიანმა.

თავდაცვის ყოფილი მინისტრი დავით კეზერაშვილი საფრანგეთში დააკავეს, იგი ამ დრომდე პატიმრობაში რჩება.

ყოფილი მაღალჩინოსნის დაკავება საქართველოში თითქმის მოულოდნელი იყო, რადგან კეზერაშვილი წითელი ცირკულარით არ იძებნებოდა, თუმცა სწორედ ქართული მხარის მოთხოვნით კეზერაშვილი ნიცასა და მონაკოს შორის გზად დააკავეს. ამჟამად იგი ექსტრადიციის გადაწყვეტილების მოლოდინშია და 40-დღიანი პატიმრობა აქვს მისჯილი.

როგორც ცნობილია, თბილისმა საერთაშორისო ორგანიზაციას მისი დაკავების მოთხოვნით თავად მიმართა.

ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურმა დავით კეზერაშვილს ბრალი რამდენიმე მუხლით წაუყენა, მათ შორის – საჯარო მოხელის მიერ განსაკუთრებით დიდი ოდენობით ფულის მოთხოვნა-ქრთამის აღება და საფინანსო საქმიანობის სფეროში ჩადენილი დანაშაული.

გამოძიების ინფორმაციით, კეზერაშვილი იღებდა ვალდებულებას, მოეხდინა ზემოქმედება საბაჟო, საგადასახადო და სხვა მაკონტროლებელ ორგანოებზე. კეზერაშვილს, როგორც სახელმწიფო მოხელეს, ქრთამის სახით აღებული აქვს 4 669 978 აშშ დოლარი, როგორც ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფის ხელმძღვანელს, კერძო პირს კი – 7 664 705 აშშ დოლარი. სახელმწიფომ იზარალა 49 392 341 ლარი.

მიმდინარეობს გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 210-ე მუხლის მე-2 ნაწილით, 362-ე მუხლის მე-2 ნაწილით, 214-ე მუხლის მე-2 და მე-6 ნაწილებით, 338-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილებით.

ბრალის დამტკიცების შემთხვევაში, კეზერაშვილს 11-იდან 15-წლამ-



დე პატიმრობა ემუქრება.

დავით კეზერაშვილი საქართველოს თავდაცვის მინისტრი 2006-2008 წლებში იყო. ის არის ორი ქვეყნის – საქართველოსა და ისრაელის მოქალაქე.

გუშინ იუსტიციის მინისტრმა კიდევ ერთ საკითხზე გააკეთა კომენტარი. როგორც თეა წულუკიანმა გვითხრა, ახალი მთავარი პროკურორის უფლებამოსილება მალე შევა ძალაში. წულუკიანი ვარაუდობს, რომ მთავარი პროკურორის მოვალეობას პრემიერობის კანდიდატის ირაკლი ღარიბაშვილის მიერ მთავარი პროკურორის პოსტზე წარდგენილი ოთარ ფარცხალაძე მომავალი კვირიდან შეასრულებს.

– სავარაუდოდ, მომავალი კვირიდან ოთარ ფარცხალაძე უკვე იქნება საქართველოს მთავარი პროკურორი და შემდეგ, იმის მიხედვით, თუ როგორ აქვს დაგეგმილი საკუთარი მუშაობის ეფექტიანობა, თავად დააკომპლექტებს საკუთარი მოადგილეებისა და სხვა კადრებისგან შემდგარ გუნდს და კანონით მას ამის სრული უფლება აქვს, – განაცხადა წულუკიანმა.

მომავალმა პრემიერმა და შინაგან საქმეთა მოქმედმა მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა მთავარი პროკურორის პოსტის ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის უფროს ოთარ ფარცხალაძისთვის შეთავაზების შესახებ რვა ნოემბერს განაცხადა.

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# ლაშა ნაცვლიშვილსა და ირაკლი ალასანიას ზეწოლაში ადანაშაულებენ

## თავდაცვის სამინისტროსა და პროკურატურაში ბრალდებებს კომენტარის ღირსად არ თვლიან

შორენა მარსაგიშვილი

2008 წლის 21 ივნისს, საპარლამენტო არჩევნების დროს, ზუგდიდის რაიონის სოფელ ხურჩაში ხმაურიანი ინციდენტი მოხდა. მაშინდელი ხელისუფლების მტკიცებით, რუსებმა და აფხაზებმა ცეცხლი გაუხსნეს იმ ქართველებს, რომლებიც არჩევნებში მონაწილეობის მისაღებად გალიდან ზუგდიდში გადმოვიდნენ. სროლის შედეგად დაიჭრა რამდენიმე ადამიანი.

ე.წ. ხურჩის ტერაქტთან დაკავშირებით მაშინვე გაჩნდა ეჭვები. საეჭვო გარემოებების შესახებაც ბევრი ითქვა და დაიწერა. ამ თემას, ალბათ, კიდეც სერიოზული გაგრძელება ექნებოდა, მაგრამ აგვისტოს ომი დაიწყო და ამ საქმისთვის ველარავინ მოიცალა.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო უსაფრთხოების სააგენტოს თანამშრომლებმა ტერორისტული აქტის მოწყობის ბრალდებით შსს კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავარი სამმართველოს ყოფილი უფროსი რომან შამათავა დააკავეს. შამათავასთან ერთად დაკავებულია სამეგრელო-ზემო სვანეთის სპეციალურ ღონისძიებათა ცენტრის განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის სამმართველოს ყოფილი თანამშრომელი მალხაზ მურღულია.





მშობლიური შსს-ს ინფორმაციით, 2008 წლის 21 მაისს ზუგდიდის რაიონის სოფელ ხურჩაში, მშვიდობიანი მოსახლეობის დაშინების მიზნით, რომან შამათავამ, შსს-ს სხვა მაღალ თანამდებობის პირებთან ერთად, ორგანიზება გაუკეთა და განახორციელა ტერორისტული აქტი, რამაც შექმნა ადამიანის სიცოცხლის მოსპობის და მნიშვნელოვანი ქონებრივი ზიანის განხორციელების საშიშროება, ასევე ხელყო საზოგადოებრივი უსაფრთხოება.

– კერძოდ, 2008 წლის 21 მაისს, საქართველოს საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობის დროს სოფელ ხურჩაში მობილიზებულ იქნა გალის რაიონის სოფელ ნაბაკევის მოსახლეობა, რომელიც საზოგადოებრივი ტრანსპორტის მეშვეობით აპირებდა ზუგდიდში გამგზავრებას. დასახელებულ დროს სოფელ ხურჩაში ტერორისტული აქტის განსახორციელებლად ჩასაფრებულმა რომან შამათავამ, მალხაზ მურღულიამ და მათმა თანამზრახველებმა ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღიდან ურთიერთშორის ნაწარმოები მრავალჯერადი გასროლით მშვიდობიან მოსახლეობაში გამოიწვიეს პანიკა, აგრეთვე მალხაზ მურღულიამ ,,ერ პე გე“-ს ტიპის ყუმბარმტყორცნიდან განხორციელებული ორი გასროლით ააფეთქა ხალხის გადასაყვანად მობილიზებული ავტობუსები. აფეთქების შედეგად სრულად განადგურდა ორივე სატრანსპორტო საშუალება, ხოლო სიცოცხლისათვის სახიფათო ჯანმრთელობის მძიმე ხარისხის დაზიანება მიიღო მოქალაქე ნანი ქარდავამ. ტერორისტული აქტის განხორციელების შემდეგ ორგანიზატორებმა სატრანსპორტო საშუალების მძღოლებსა და დაჭრილ მოქალაქეს შინაგან საქმეთა სამინისტროს ფარული ასიგნებებიდან აუნაზღაურეს მიყენებული ზიანი, – ნათქვამია შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

გამოძიება საქართველოს სსკ-ის 323-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილებით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებით მიმდინარეობს, რაც სასჯელის სახით 15-დან 20 წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

თვითმხილველები ტერაქტის მოწყობაში ჟურნალისტებსაც ადანაშაულებენ და აცხადებენ, რომ ისინი ფაქტის შესახებ წინასწარ ინფორმირებული იყვნენ.

ამ ინციდენტთან დაკავშირებულია ჟურნალისტი ემა გოგოხიაც. გუშინ მან საგანგებო პრესკონფერენცია გამართა. გოგოხია მეოცნებე ხელისუფლების წარმომადგენლებს ზეწოლას სდებს ბრალად. ყველაზე მეტი პრეტენზია მას ირაკლი ალასანიასა და ლაშა ნაცვლიშვილის მიმართ აქვს.

გოგოხიას განცხადებით, ალასანიასა და ნაცვლიშვილის გარდა, მასზე ზეწოლა კიდევ ორმა მაღალჩინოსანმა განახორციელა – გელა კვანტალიანმა და კახა ჩიხრაძემ.

ჟურნალისტი აცხადებს, რომ ისინი მისგან ე.წ. ხურჩის ტერაქტთან დაკავშირებით აღიარებით ჩვენებას მოითხოვდნენ.

– მე, როგორც ამ ქვეყნის მოქალაქე, ვაცხადებ, რომ ჩემზე ზეწოლა განახორციელეს ირაკლი ალასანიამ, ლაშა ნაცვლიშვილმა, გელა კვანტალიანმა და კახა ჩიხრაძემ. თბილისში, კონსპირაციულ ბინაში მოხდა ჩვენი შეხვედრა. ლაშა ნაცვლიშვილი პირდაპირ მთხოვდა, რომ მე მათ დავხმარებოდი ხურჩის ტერაქტის „გაპრავებაში“. ირაკლი ალასანიამ პირდაპირ მითხრა „ემა, შენ იმ ხელისუფლებაში არასდროს ყოფილხარ დაფასებული, დაგვეხმარე შენი აღიარებითი ჩვენებით და ჩვენ შენ გაგიშვებთ მოსკოვში, სადაც გექნება ბიზნესი და იქიდან დაბრუნებულს დაგხვდება კარგი თანამდებობა“, – განაცხადა „პრაიმ-ტაიმის“ პრესკლუბში გამართულ პრესკონფერენციაზე ემა გოგოხიამ.

ჟურნალისტის მტკიცებით, ამ საქმის ერთ-ერთი მოწმე, რომელმაც პირად საუბარში დაადასტურა, რომ ჩვენება მსგავსი შეთანხმების საფუძველზე მისცა, მაღალ თანამდებობაზე დანიშნეს.

– მე მზად ვარ, ამ ყველაფერზე და ყველა სხვა დეტალზე ვისაუბრო სასამართლოში. მე მაქვს კონკრეტული მტკიცებულებები ამასთან დაკავშირებით. აქვე მინდა აღვნიშნო, რომ ჩემი დღევანდელი ბრიფინგი არ არის შეთანხმებული იმ არხის ხელმძღვანელობასთან, რომელშიც მე ვმუშაობ და მათ ამის შესახებ გაიგეს საინფორმაციო საშუალებებისგან, – აცხადებს გოგოხია.

გოგოხიას ბრალდებებს ლაშა ნაცვლიშვილი და თავდაცვის სამინისტროც გამოეხმაურნენ. მათი თქმით, გოგოხიას ბრალდებები აბსურდულია და ამაზე კომენტარის გაკეთებაც კი არ ღირს.

გოგოხიას განცხადებებს სასწრაფოდ გამოეხმაურა ნაციონალური მოძრაობა. პარტიის სახელით თავი დეპუტატმა გოკა გაბაშვილმა გაინერვიულა. მისი თქმით, აუცილებელი და მნიშვნელოვანია, ჟურნალისტ ემა გოგოხიას განცხადებას რეაგირება დროულად მოჰყვეს, აღნიშნული საქმე დროულად იქნეს გამოძიებული და მასში მონაწილე ყველა მაღალი თანამდებობის პირი უნდა დაისაჯოს.

– ეს ფაქტი სასწრაფოდ უნდა იქნეს გამოძიებული. საქმე გვაქვს თავხედობასთან, რადგან საქართველოს მაღალი თანამდებობის პირები, თავდაცვის მინისტრი და გენერალური პროკურორის მოადგილე ხვდებიან ჟურნალისტს და ახორციელებენ მასზე ზეწოლას, მისცეს ცრუ ჩვენება ხურჩის ტერაქტთან დაკავშირებით. გოგოხიას სთხოვენ, თქვას თითქოს, ინციდენტში მონაწილეობდა ქართული მხარე. ისედაც სკანდალურია ეს ყველაფერი, რადგან საქართველოს მთავრობა ცდილობს დაამტკიცოს, რომ ამ ინციდენტში მონაწილეობდა ქართული მხარე და არა ოკუპანტები და აფხაზური მხარე. შესაბამისად, საჭიროა, ლაშა ნაცვლიშვილი ჩამოსცილდეს უფლებამოსილებებს გამოძიების მიმდინარეობის მომენტში და ხელისუფლებამ იმ მაღალი თანამდებობის პირების მოქმედებაზე, რომლებიც არიან დასახელებულები, სასწრაფო გადაწყვეტილება მიიღოს, – განაცხადა გოკა გაბაშვილმა.

ეს ფაქტი მართლაც უნდა გამოიძიონ და ამ მხრივ დეპუტატის შეშფოთებაც მისასალმებელია, მაგრამ, საინტერესოა, აქამდე რატომ არ რეაგირებდა ასეთ რამეებზე გაბაშვილი?

ექსპერტი მამუკა არეშიძე „რუსთავი 2“-ის სამეგრელოს ბიუროს კორესპონდენტ ემა გოგოხიას მიერ დღეს გაკეთებულ განცხადებას ეხმიანება და აღნიშნავს, რომ საეჭვოა გოგოხიას მიერ გავრცელებული ინფორმაციის სანდოობა.

როგორც არეშიძემ „ჯი-ეიჩ-ენთან“ საუბრისას განმარტა, მას არ ჰგონია, რომ მაღალი თანამდებობის პირები და მით უმეტეს თავდაცვის მინისტრი ან მთავარი პროკურორის პირველი მოადგილე ემა გოგოხიას კონსპირაციულ ბინაში შეხვედროდნენ და გარკვეული თანამშრომლობის სანაცვლოდ რაიმე შეეთავაზებინათ.

რაც შეეხება უშუალოდ ხურჩის ტერაქტის საკითხს, არეშიძე მიიჩნევს, რომ 2008 წლის საპარლამენტო არჩევნების დღეს მომხდარი შემთხვევა ხელოვნურად დადგმული იყო და ამაზე თავდაპირველად გავრცელებული დაუმონტაჟებელი კადრებიც ნათლად მეტყველებს, რომლებშიც ჟურნალისტებისა და ადგილზე მყოფი ადამიანების რეპლიკებიც მოხვდა.

– მე მაშინვე ვიცოდი, რომ ეს დადგმული იყო. ჯერ ერთი, რომ ვუყურებდი ამ კადრებს, მაშინვე ჩანდა, მაგრამ თვითონ ადგილობრივი ჟურნალისტებისგან გამოვიდა ეს ინფორმაცია, როგორ დადგეს მთელი ეს ღონისძიება. ჯერ კიდევ მაშინ სასაცილოდ არ ჰყოფნიდა სამეგრელოში დისლოცირებულ ჟურნალისტთა კორპუსს ეს ამბავი. არ ვიცი, ზუსტად ვისგან მოდიოდა ეს ინფორმაცია, მაგრამ თბილისში მე იმათგან ჩამომივიდა, მოგეხსენებათ, თავის დროზე ამ სფეროს წარმომადგენლებთან აქტიური კონტაქტები მქონდა. გარდა ამისა, როდესაც მე მომეცა საშუალება, თვითონ ორიგინალი მენახა, იქ ისმის ადამიანების სიტყვები – „დამთავრდა გადაღება?“ და ასეთი რამეები. რაც შეეხება ემა გოგოხიას მონაყოლს, არ ვიცი, იყო თუ არა ასეთი შემთხვევა, მაგრამ, არა მგონია, 4 ადამიანი და მით უმეტეს ლაშა ნაცვლიშვილი ან ირაკლი ალასანია შეხვედროდნენ ემა გოგოხიას იმისთვის, რომ ამ თემაზე ელაპარაკათ, – განაცხადა მამუკა არეშიძემ.

ხურჩის ინციდენტთან დაკავშირებით საინტერესო განცხადება გააკეთა ჟურნალისტმა ნანა ფაჟავამ. 21 მაისს ხურჩაში მომხდარ ინციდენტს ისიც შეესწრო და ბევრი საინტერესო რამე ნახა. ფაჟავას განცხადებით, ხურჩის ინციდენტი ჟურნალისტებისა და ძალოვნების მიერ იყო პროვოცირებული.

მისი თქმით, ასეთი სპექტაკლები, რომლებიც წინასაარჩევნოდ ვითარების დაძაბვას ისახავდა მიზნად, წინა ხელისუფლების ხელწერა იყო.

– ეს იყო 21 მაისს, საპარლამენტო არჩევნების დროს, როდესაც მე ერთ-ერთ უბანზე ვიყავი. ამ დროს შევნიშნე სასწრაფო დახმარებისა და სამაშველო ჯგუფების გასვლა. მე მაშინ ადამიანის უფლებათა ცენტრში ვწერდი და რადიო „იმედის“ კორესპონდენტი ვიყავი. დავინახე კობა დავითაშვილის ერთ-ერთი შტაბის მანქანა და ამ მანქანას გავყევი. ასე აღმოვჩნდი ხურჩაში, ინციდენტიდან დაახლოებით, 15 წუთის განმავლობაში. რაც ვნახე, ძალიან დიდი სტრესი იყო. გადაადგილდებოდა ძალიან ბევრი შეიარაღებული ძალოვანი. შეშფოთებულ მოსახლეობასთან გასაუბრება შევძელი. ჯერ თავს იკავებდნენ, მაგრამ შემდეგ იფიქრეს, რომ მეგრულად ჩაწერილი კომენტარი ჩემთვის გამოსადეგი არ იქნებოდა. ამიტომ პირველივე წუთებში უკვე ვიცოდი, რომ ეს იყო პროვოცირებული ქართველი ჟურნალისტების, ხელისუფლებისა და ძალოვანი სტრუქტურების მიერ. მათ პირდაპირი მითხრეს, რომ „რუსთავი 2“-სა და „პირველი არხის“ ჟურნალისტები მივიდნენ მათთან, მოსახლეობა გაიყვანეს ხურჩიდან და უთხრეს, გადადით ენგურის მეორე ნაპირზე, თითქოს აფხაზეთიდან გადმოდიხართ და ჩვენ ისე გავაკეთებთ, თითქოს თქვენ ხელს გიშლიანო. მდინარე უნდა გადმოეკვეთათ ფეხით. რადიო „იმედის“ ჩართვაში ვთქვი, რომ, რაც არ უნდა მწარე მოსასმენი იყოს, ეს ინციდენტი ქართველი ჟურნალისტების, ხელისუფლებისა და ძალოვნების პროვოცირებული იყო. კოლეგიალობა გასაგებია და ამის გამო ძალიან გამიჭირდა, მაგრამ ვერ მოვიტყუებდი, ვიცოდი, რომ სროლა ხურჩის ტერიტორიიდან ისევ ხურჩის მიმართულებით განხორციელდა და დაჭრილი იყო უდანაშაულო ადამიანი. საოკუპაციო საზღვართან მდებარე ბუჩქებიდან, სადაც, ჩემი წარმოდგენით, სულიერი არსება არ შეიძლება ყოფილიყო, ორივე ჟურნალისტი ძალოვნების მანქანებით გამოვიდა. მომხდარის შესახებ ადამიანის უფლებათა ცენტრისთვისაც დავწერე. მე დავწერე იმის შესახებაც, რაც აფხაზურმა მხარემ გაახმოვანა. აფხაზეთის დე ფაქტო მთავრობის უშიშროების საბჭოს მდივანი იყო ვლადიმერ არლანი და საგანგებოდ მოიწვია სოხუმში უშიშროების საბჭოს სხდომა. წარმოუდგენელი რამ მოხდა იქ: კადრში ატრიალეს რომან შამათავას ტელეფონი, რომელიც მას ადგილზე დარჩა. აფხაზურმა მხარემ გაახმაურა, ვინ მონაწილეობდა მათთან სატელეფონო საუბრებში. გაირკვა, რომ რომან შამათავას, მისივე სამსახურის ერთ-ერთი უწყების ხელმძღვანელ ზურაბ ლოგუასა და გია ბარამიას ჰქონდათ ეს სატელეფონო საუბრები. ზურაბ ლოგუა დღესაც მუშაობს კონტრდაზვერვის სამმართველოში ზუგდიდში. ეჭვს იწვევდა ის ფაქტი, რომ შტატივზე მიმაგრებული კამერა იღებს ყუმბარმტყორცნის გასროლას და კამერა არც კი ირხევა. სულ რომ არაფერი, შიშის მომენტი მაინც იქნებოდა, კამერა მაინც შეზანზარდება, თანაც, საიდანაც გასროლა ხორციელდება, იქიდან ხდება გადაღება. რა, აფხაზებთან იდგა ოპერატორი? – განაცხადა ფაჟავამ.

ჟურნალისტი აღნიშნავს, რომ ხურჩის ინციდენტი პირველი შემთხვევა არ ყოფილა და მსგავსი პროვოკაციები წინასაარჩევნოდ ხშირად ხდებოდა.

– მე ძალიან კარგად მახსოვს 5 იანვრის საპრეზიდენტო არჩევნები. არ მინდა იმ ადამიანის დასახელება, აფხაზეთის მთავრობის ერთ-ერთი ხელმძღვანელი იყო და მომიყვა, რომ ზუგდიდში, სოფელ ოდიშში, მდინარე ჯუმთან იგივე გამეორდა. „რუსთავი 2“-ის ჟურნალისტმა დაურეკა, ერთი „მარშრუტკა“ ხალხი მინდაო, გაიყვანეს ეს ხალხი და ეთერში ჩანდა, თითქოს ეს იყო აფხაზეთიდან გადმოსული ამომრჩეველი. ეს იყო ვითარების დაძაბვის მცდელობა არჩევნების წინ, რომელიც წინა ხელისუფლების ხელწერა იყო, – განაცხადა ფაჟავამ.

ხურჩის ინციდენტი გაერო-ს გენერალური მდივნის პან გი მუნის მოხსენებაშიც მოხვდა, რომელიც აფხაზეთში არსებულ სიტუაციას შეეხებოდა. მოხსენებაში ნათქვამია, რომ 21 მაისს, სოფელ ხურჩაში ძლიერ სროლებს ჰქონდა ადგილი. დოკუმენტის თანახმად, მოედანზე გარკვეული რაოდენობის ადამიანი იყო შეკრებილი, ძირითადად გალის რაიონიდან. მოხსენებაში ნათქვამია, რომ ამ ადამიანებს სთხოვეს, შეკრებილიყვნენ, რათა იქიდან ავტობუსებით გადაეყვანათ ზუგდიდში საპარლამენტო არჩევნებში ხმის მისაცემად, თუმცა არ არის ნათქვამი, ვინ სთხოვა შეკრება.

დოკუმენტის თანახმად, ფეხბურთის მოედანზე შეკრებილი ხალხი მას შემდეგ გაიქცა, რაც „სავარაუდო თავდამსხმელებმა“ ცეცხლი გახსნეს, ხოლო შემდეგ ცარიელ ავტობუსებს ყუმბარმტყორცნებიდან ესროლეს. მოხსენებაში აღნიშნულია, რომ გაერო-ს დამკვირვებელთა მისიის გამოძიებამ დაადგინა, რომ ყუმბარები ავტობუსებიდან დაახლოებით 100 მეტრის დაშორებიდან ისროლეს, ქართველების მიერ კონტროლირებადი მხრიდან.

ხურჩის ტერაქტის მოწყობის ბრალდებით დაკავებულები თავს უდანაშაულოდ მიიჩნევენ. ნაციონალების მტკიცებით კი ეს ახალი ხელისუფლების შურისძიებაა. მათივე განცხადებით, სააკაშვილის ხელისუფლებას ტერაქტის მოწყობა არაფერში სჭირდებოდა.

# შეუჩერდება თუ არა ვალერი გელაშვილს დეპუტატის უფლებამოსილება

შორენა მარსაგიშვილი

ხაშურის მაჟორიტარი დეპუტატი ვალერი გელაშვილი ისევ შარშია. პარლამენტის თავმჯდომარეს მისთვის დეპუტატის უფლებამოსილების შეჩერებას სთხოვენ. ამ ინიციატივით „დემოკრატიული განვითარების ეროვნული ცენტრი“ გამოდის. მათი მტკიცებით, გელაშვილი ლიტვაში მთავრობის შენობაში არ შეუშვეს.

არასამთავრობო ორგანიზაცია „დემოკრატიული განვითარების ეროვნული ცენტრი“ პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილს დეპუტატ ვალერი გელაშვილისთვის უფლებამოსილების შეჩერების მოთხოვნით მიმართავს. ამის შესახებ განცხადება ორგანიზაციის წარმომადგენელმა მუხრან ბურჭულაძემ გუშინდელ პრესკონფერენციაზე გააკეთა.

– ჩვენ მივმართავთ პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილს მოთხოვნით, შეუჩეროს დეპუტატ ვალერი გელაშვილის უფლებამოსილება. ამ მოთხოვნისთვის გვაქვს კონკრეტული არგუმენტები და ეს არგუმენტები ასევე გადავამოწმეთ ვილნიუსის სამიტის მასპინძელ ქვეყანაში, ლიტვაში, – განაცხადა ბურჭულაძემ.

მისი თქმით, ცენტრისთვის ცნობილი გახდა, რომ პარლამენტის თავმჯდომარესთან ერთად ლიტვაში ყოფნისას გელაშვილი მთავრობის შენობაში არ შეუშვეს, რადგან, მისივე თქმით, იგი ვილნიუსში არალეგალურ ბიზნესთან ასოცირდება.

ვნახოთ, რა განაჩენს გამოუტანს გელაშვილს საოცნებო პარლამენტი. 2005 წელს ნაციონალებმა მას ერთხელ უკვე შეუჩერეს უფლებამოსილება. უმრავლესობაში რომ ყოფილიყვნენ, იმავეს ახლაც სიამოვნებით გააკეთებდნენ.

# ირინა სარიშვილი: „ივანიშვილმა ღარიბაშვილი გაწირა“

ნონა ცაბაძე

## ინტერვიუ ირინა სარიშვილთან

***– ქალბატონო ირინა, როგორ შეაფასებდით ბოლო პერიოდში განვითარებულ მოვლენებს?***

– შეიძლება ითქვას, რომ ჯერჯერობით მკვდარი სეზონია, აბსოლუტურად არაფერი კარგი არ ხდება ქვეყანაში.

***– ორ დღეში ინაუგურაციაა პრეზიდენტის...***

– ამჯერად უკვე ინაუგურაციას იმიზეზებს ხელისუფლება. ჯერ იყო მიზეზი პარლამენტის დაკომპლექტება – იქამდე გვაცალეთო, მერე იყო მთავრობის დაკომპლექტების მოცლის თხოვნა, მერე საპრეზიდენტო არჩევნები ახლოვდებოდა, გვაცალეთ, პრეზიდენტს ავირჩევთ და მერე აღვადგენთ სამართლიანობასო. ახლა კიდევ ინაუგურაცია დასრულდება და მერე მოელება ბოლო ნაციონალების პარპაშსო. ესეც, რა თქმა უნდა, არის სიცრუე, იმიტომ, რომ ყველა იმ განცხადებას, რომელიც ისმის ხელისუფლების მხრიდან, არა აქვს ის შინაარსი, რომ ჩვენ ვიფიქროთ, რომელიმე სისხლის სამართლის დამნაშავე, ნაციონალებიდან დაისჯება. პირიქით, ნაციონალური პარტიისადმი კუთვნილება შეიძლება გახდეს გარკვეული ინდულგენცია ყველა ტიპის დამნაშავისთვის. იმის გამო, რომ ვილაცამ არაფერი არ თქვას, იმავე დასავლეთმა და არ ჩათვალოს ეს პოლიტიკური ნიშნის დევნად, ფაქტიურად სისხლის სამართლის დამნაშავეები რჩებიან გარეთ და უფრო მეტიც, შესაძლებელია ისეთი ხმაურიანი სახელებიც კი, როგორიც არის ვანო მერაბიშვილი და კიდევ სხვები, აღმოჩნდნენ ციხის გარეთ, ეს არის პერსპექტივა, რაც ჩვენ გველოდება. ამ პერსპექტივას ძალიან კარგად გრძნობენ ნაციონალები და ეს რიგითი წვრილფეხა ნაციონალები ისე გათავხედდნენ, როგორც არ გათავხედებულან აქამდე. კონკრეტულად ჩემთან ფეისბუქის სისტემაში და აღმოჩნდა, რომ მარტო მე არ ვარ, ძალიან ბევრთან უკვე ღია სახელით და დაუფარავად შედიან, არის მუქარებიც. იმის გათვალისწინებით, რომ სააკაშვილმა ძალიან ბევრი უმძიმესი დამნაშავე შეიწყალა, მათ შორის მკვლელები და ასე შემდეგ, ამის გათვალისწინებით, სავარაუდოდ, ნაციონალები ალბათ არეულობასაც გეგმავენ.

***– სხვათა შორის, უკვე ბევრი საუბრობს იმის თაობაზე, რომ სააკაშვილი ისე უპრაგონოდ არიგებს ამ მოქალაქეობას, რომ ეს ყველაფერი აუცილებლად გამოიწვევს დესტაბილიზაციასო...***

– დიახ, მოქალაქეობის ასე გაუგებარი დარიგება და პლუს კიდევ ციხიდან ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე შეწყალებებით ხალხის გამოშვება. იმიტომ, რომ არსებობს ისეთი მძიმე დანაშაულობები, რომელსაც შეწყალება არ უნდა შეეხოს და განსაკუთრებით პრეზიდენტის მხრიდან. აქ გასაგებია, რასთანაც გვაქვს საქმე, უბედურება ისაა, რომ აი, ამ ყველაფერში, არათუ წინააღმდეგობას არ უწევს ხელისუფლება, თუნდაც ჯერ კიდევ პრეზიდენტის პოსტზე მყოფ სააკაშვილს, პირიქით, ხელსაც უწყობს. აი, ამის ფონზე უსუფაშვილი აკეთებს განცხადებას, ეს იყო სულ რამდენიმე დღის წინ, რომ სამართლიანობა ხალხის აღსადგენია. ეს განცხადება რისი დასაბამი შეიძლება გახდეს.

***– როგორ უნდა გავიგოთ მისი ეს ნათქვამი?***

– უნდა გავიგოთ ისე, რომ ხელისუფლება არავის დაჭერას არ აპირებს. ახლა არ ვიცი, უსუფაშვილი რამდენად ჩაუღრმავდა მისი ნათქვამის მნიშვნელობას, მაგრამ სავარაუდოდ, ის ფიქრობს სხვა ტიპის სამართლიანობაზე, ნებისმიერ შემთხვევაში ლინჩის წესით გასამართლება თუ შემოვა წესად და კანონად, ეს იქნება, რა თქმა უნდა, პირველ რიგში ხელისუფლების ბრალი. იმიტომ, რომ ის არათუ გვიბიძგებს ამისკენ, რეალურად უკვე განცხადებებიც კეთდება. ხალხმა უნდა აღადგინოს სამართალი რას ნიშნავს? ხალხმა უნდა მიიღოს მონაწილეობა ცივილიზებულ ქვეყანაში, რომ აირჩიოს ხელისუფლება, რომელიც შემდეგ აღადგენს სამართალს და რომელიც ამას ჰპირდებოდა და არა თვითონ აღადგინოს სამართალი. ყველა შემთხვევაში ასე მოგვიწევს. მე მომიწევს ჩემი ოჯახის დაცვა, სხვასაც საკუთარი ძალებით მოუწევს ოჯახის წევრების დაცვა. ამდენწლიანი ბრძოლის და ასეთი პოლიტიკის შედეგად ჩვენ ძალა და ფინანსები იმდენად გამოცლილი გვაქვს, რომ რა თქმა უნდა, ჩვენ სერიოზულ ზეგავლენას პოლიტიკურ პროცესებზე ვერ ვახდენთ. ვახდენთ მხოლოდ საზოგადოებრივ აზრზე, რომელიც დღევანდელ ხელისუფლებას არ აინტერესებს. უფრო მეტიც, როცა წავა ივანიშვილი საზოგადოებრივ სექტორში და შექმნის „მოკრძალებულ“ არასამთავრობო ორგანიზაციას, თუ როგორი მოკრძალებული იქნება, ამას ყველა ხვდება. იქაც მონოპოლიას დაამყარებს და დანარჩენი არასამთავრობო თუ ქვეშევრდომად არ გაუფორმდა ივანიშვილს, ასევე ძალას დაკარგავს, ხომ? აქედან გამომდინარე, ჩვენ რა გვრჩება, როცა არ შეგვიძლია საქვეყნო, ანუ სახელმწიფოებრივ პროცესებზე მოქმედება, ის მინიმუმი მაინც უნდა შევძლოთ, რამდენადაც შევძლებთ ამას, რომ საკუთარი თავი და ოჯახი დავიცვათ იმ განუკითხაობისგან, რომელსაც გეგმავს ნაციონალური მოძრაობა და რომელსაც ხელს არ უშლის, ეს ყველაზე რბილი და ნეიტრალური ნათქვამია – დღევანდელი ხელისუფლება.

***– თქვენ უსუფაშვილის განცხადებაზე გაამახვილეთ ყურადღება და ჩვენ რესპუბლიკელებისგან ასევე მოვისმინეთ სააკაშვილის მისამართით გაკეთებული განცხადებები, რომ ის არ უნდა დააპატიმრონ...***

– რა თქმა უნდა, ისინი უკვე ღიად აცხადებენ ამას. უფრო მეტიც, ბალტიისპირეთში, როცა ევროკავშირის წარმომადგენლებთან სტუმრობდა ბატონი უსუფაშვილი, მან აღნიშნა – წინა ხელისუფლებას უზარმაზარი როლი აქვს ქვეყნის განვითარების საქმეში და ამ მდგომარეობამდე მოყვანაში. საგარეო ვექტორებზე იყო საუბარი. ანუ არათუ არ უნდა დაიჭირონ სააკაშვილი, აქ ლაპარაკი მიდის სააკაშვილის ნამოღვაწარ დადებით მხარეებზე, რომელიც, რესპუბლიკელების აზრით, დადებითი უფრო აღმოჩნდა, ვიდრე უარყოფითი. ეს ყველაფერი თავიდან წვეთწვეთობით შხამივით შეაპარეს ხელისუფლებას და ახლა უკვე დიდი დოზით აწვდიან. ეს ძალიან ცუდად დასრულდება. ეს ყველაფერი რომც ჩაყლაპოს ხალხმა, ელემენტარულად ეს წვრილწვრილი ნაციონალები, ტურა ნაციონალები, ასევე გაუგებარი მიზეზით გამოშვებული უმძიმესი სისხლის სამართლის დამნაშავეები ასე მარტივად არ გაჩერდებიან. ეს ყველაფერი ერთმანეთთან კავშირშია, სხვა შემთხვევაში არც სააკაშვილი გააღებდა ასე მარტივად ციხის კარებს და არც ეს პატარა გველაძუა ნაციონალები გააქტიურდებოდნენ ასე.



***– ოცნების მხარდამჭერები აცხადებენ, რომ ამ ეტაპზე იმიტომ კეთდება ასეთი ლმობიერი შეფასებები ნაციონალების მისამართით, წინ ვილნიუსის სამიტიაო...***

– ახლა ვილნიუსის სამიტს უნდა დაველოდოთ? რა ვილნიუსის სამიტზე „ნიჩურტათი“ უნდა იყვნენ?! თუ თვითონ არიან ასეთი იდიოტები დღევანდელ ხელისუფლებაში, ვილნიუსში თავისნაირ იდიოტებს ვერ შეხვდებიან, რომ ერთი დღით „მოატყუონ:“ და მერე დაიწყონ სამართლის აღსრულება. ეს არის ისევ და ისევ საკუთარი ხალხის იდიოტად ჩათვლა და საკუთარი ხალხისთვის თვალებში ნაცრის შეყრა.

***– თქვენი აზრით, სადამდე გასტანს ხალხის მოთმინება და რა შედეგებით დასრულდება ეს ყველაფერი?***

– ერთი რამ ფაქტია, როგორი დაბეჩავებულიც არ უნდა იყოს მთელი ამ წლების განმავლობაში ქართველი ხალხი და როგორც არ უნდა ვსაყვედურობდეთ ჩვენ მათ, რომ აი, ვერ აკეთებს სწორ არჩევანს და ასე შემდეგ და ასე შემდეგ... როგორი ერთუჯრედიანიც არ უნდა ეგონოს ის ახალ არჩეულ პრეზიდენტს, თავის ფილოსოფიური ნაშრომებიდან გამომდინარე, როდესაც შეეხება უკვე საფრთხე მის ოჯახს და როცა პირდაპირ პრესინგზე გადავა ნაციონალური მოძრაობა და ამას ან უსუსურობით ან შეგნებულად არანაირ წინააღმდეგობას არ გაუწევს დღევანდელი ხელისუფლება, ეს ყველაფერი წავა ძალიან ცუდი მიმართულებით. იმდენად, რამდენადაც არ არსებობს კონკრეტული პოლიტიკური ძალა, რომელსაც დღეს სურვილის შემთხვევაში არა აქვს არანაირი საშუალება, რომ იფუნქციონეროს და ამ პროცესების კონტროლი შეძლოს, რადგან ამ ყველაფერს სჭირდება საარსებო ფინანსები, ასევე საინფორმაციოების ობიექტურობა, აქ ყველაფერში მინუსია და ეს ყველამ კარგად იცის. აი, ამ კონტროლის გარეშე კი ჩვენ მივიღებთ აბსოლუტურ ანარქიას, სადაც დიდი ვარაუდით, ხელისუფლებას გადაინაწილებენ ისევ და ისევ ნაციონალები და მეოცნებეები. ეს თავიდანვე ასე შედიოდა მათ გეგმებში. მათი ერთ პარტიად გაერთიანება, ბუნებრივია, არ შედის ამერიკელების ინტერესში, იმიტომ, რომ მათ სწორედ ასეთი ორი პარტია აწყობთ ერთმანეთის ალტერნატივად, რომ ყველა შემთხვევაში წაუგებელი თამაში ითამაშონ. იმიტომ, რომ საგარეო პოლიტიკაში ჩვენ ვნახეთ დაწყებული მარგველაშვილიდან და გაგრძელებული უსუფაშვილით, ასევე მოვისმინეთ ივანიშვილის განცხადებებიც იმასთან დაკავშირებით, რომ საგარეო პოლიტიკური კურსი არათუ არ შეიცვლება, კიდევ უფრო გაღრმავდება.

***– ნაციონალებს რაც შეეხებათ, საუბარია, რომ საკმაოდ აძლიერებენ პარტიას სტრუქტურულად. როგორც ჩანს, რაღაცისთვის ემზადებიან?***

– ფაქტია, ემზადებიან. ემზადებიან არეულობისთვის, სადაც შემდეგ კონტროლის სადავეები თვითონ უნდა აიღონ ხელში. ხალხი დგება ძალიან გაუგებარი და გადაუწყვეტელი არჩევნის წინაშე. ან გაწიროს თავისი ოჯახი, ხმა არ ამოიღოს არაფერზე, აქ უკვე პოლიტიკაზე აღარ არის ლაპარაკი. ან კიდევ ამოიღოს ხმა და ამას მერე რა პროცესები მოჰყვება, არავინ არ იცის. ამ შემთხვევაში შედეგი ერთი და იგივეა. რა მნიშვნელობა აქვს ახლა ჩემთვის, ჩემი დუმილით ჩამაგდებენ გაუბედურებულ მდგომარეობაში თუ ჩემი ხმის ამოღება გახდება რაღაცის დასაწყისი. ამას არანაირი მნიშვნელობა აღარ აქვს უკვე.

***– რაც შეეხება ახალ პრემიერმინისტრს, საუბარია, რომ ღარიბაშვილი საკმაოდ ხისტი პიროვნებაა და დაკისრებულ მოვალეობას კარგად გაართმევს თავს...***

– მე ეჭვი მეპარება, რომ პრემიერ-მინისტრს ვინმე რამეს ეკითხებოდეს. შინაგან საქმეთა მინისტრადაც ყოფნის დროს ის კარგ რაღაცებს ამბობდა, მაგრამ ხომ არ აკეთებინებდნენ? ისევე, როგორც კბილაშვილზე იყო ბევრჯერ ჯოხის გადატეხვის მცდელობა. არც კბილაშვილის და არც ღარიბაშვილის ბრალი არ იყო ის, რომ ვერავის ვერ იჭერდნენ და დაჭერილებს უშვებდნენ. ეს არ იყო მათი ცუდი მუშაობის გამო. ეს იყო იმის გამო, რომ ასეთი იყო პოლიტიკური ნება ხელისუფლების. სავარაუდოდ, ღარიბაშვილი განწირულია. პოლიტიკური თვალსაზრისით ივანიშვილმა ღარიბაშვილი გაწირა. ამას მეტს ვერაფერს ვერ დავარქმევ. იმიტომ, რომ პრემიერ-მინისტრი არის დარტყმის პირველი ობიექტი და პირველი შტურმიც ნაციონალებისგან განხორციელდება სწორედ პრემიერ-მინისტრის მიმართ. მათ აი, ამ საკითხში, საიმედო მოკავშირეებად ეგულებათ რესპუბლიკელები და თავისუფალი დემოკრატები.

***– გაზაფხულზე ადგილობრივი არჩევნებია დაგეგმილი და საუბარია, რომ ეს გადამწყვეტი არჩევნები იქნება, იმაზე მეტი მნიშვნელობა ენიჭება, ვიდრე საპრეზიდენტოს. თქვენი აზრით, ამ არჩევნებში მაინც მიეცემა ოპოზიციას რაიმე შანსი და როგორი იქნება მათი როლი?***

– ოპოზიციის როლი იქნება ისეთივე გაუგებარი, როგორიც იყო მანამდე. იმიტომ, რომ მესამე ადგილზე გასული ბურჯანაძე ფაქტიურად ჩამკეტად იქნება გამოყენებული ხელისუფლების მიერ. საზღვარია გადაკეტილი. სავარაუდოდ გაზაფხულამდე სააკაშვილი ყველა ვარიანტში შექმნის არასაპარლამენტო ოპოზიციურ კოალიციას და თუ ხელისუფლებაზე მეტი არა, ბევრად უფრო ძლიერი პოზიციები ექნება ნაციონალურ მოძრაობას. რადგან დანარჩენი ოპოზიცია, ვწუხვარ, მაგრამ გაერთიანებას ვერ მოახერხებს. აი, ასეთი მოცემულობაა. იმიტომ, რომ არსებობს ორი პოლიტიკური ფიგურა, ორივე გარკვეული პროცენტებით, რომლებსაც ფინანსური საშუალებები აქვთ, რომ პარტიები შეინახონ. ეს არის ბურჯანაძე, რომელიც არავისთან არ მივა და რომელთანაც არავინ მივა და ეს არის ნათელაშვილი, რომელიც არავისთან არ მივა და რომელთანაც არავინ მივა.

***– გამოდის, რომ ადგილობრივ არჩევნებშიც ძირითად პოზიციებს ნაციონალები და მეოცნებეები გაინაწილებენ?***

– დიახ, ისევ ორ პარტიაზე წავა. ახლა თითო-თითო კაცს თუ სადღაც გააძვრენენ, ნათელაშვილი და ბურჯანაძე ეს არის. მეტი არაფერი შეიცვლება. მე არც იმას გამოვრიცხავ, რომ გაზაფხულიდან ხელისუფლება გარკვეულ რეპრესიებზეც კი წავიდეს ოპოზიციური პარტიების მისამართით და არა ნაციონალების. ნაციონალები დაცულები არიან, მათ იმუნიტეტი აქვთ. ძალიან ვწუხვარ, მაგრამ კარგს არაფერს ველი.

---

## შსს-მ ძარცვის ბრალდებით ორი პირი დააკავა

შსს-ს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის მე-2 მთავარი სამმართველოს და იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის სამხარეო სამმართველოს თანამშრომლებმა, ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე თბილისსა და ქუთაისში ერთობლივად ჩატარებული სპეციალური ოპერატიული ღონისძიების შედეგად, წარსულში მრავალჯერ ნასამართლევი ორი პირი – 1957 წელს დაბადებული ოლეგ ო. და 1963 წელს დაბადებული ამირან ი. ჯგუფური ძარცვის ბრალდებით დააკავეს.

შსს-ს ინფორმაციით, გამოძიებამ დაადგინა, რომ დაკავებულებმა 2013 წლის 12 ოქტომბერს ხონის რაიონის სოფელ პატარა ჯიხაიშში, ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე რევაზ ხ-ს ოქროს ყელსაბამი და სამაჯური გასტაცეს.

სამართალდამცველებმა ოქროს ყელსაბამი ნივთმტკიცებად ამოიღეს. დაკავებულები ჩადენილ დანაშაულს აღიარებენ. გამოძიება წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ ძარცვის ფაქტზე მიმდინარეობს -სსსკ-ის 178-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით.

**ნიუსპრესი**

---

## გიორგი მარგველაშვილი: „არ არის იმის შესაძლებლობა, რომ სახელმწიფო მოხელეებმა ფეშენებელურ სასახლეებში ვიცხოვროთ“



ახლადარჩეული პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი ინაუგურაციის ფარგლებში ცერემონიის სტუმრებსა და საზოგადოებას სიტყვით მიმართავს. მისი თქმით, იგი გამოხატავს მადლიერებას საქართველოში ჩატარებულ არჩევნებთან და ქართველი ხალხის მხრიდან ნდობის გამოცხადებასთან დაკავშირებით. ასევე, ისაუბრებს სამომავლო გეგმებზე.

ამასთან, მარგველაშვილის თქმით, ინაუგურაციის ღონისძიება საქართველოს შესაძლებლობების ფარგლების ადეკვატური იქნება. როგორც იგი ამბობს, საქართველოს ბიუჯეტი არ იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ სახელმწიფო მოხელეებმა ფეშენებელურ სასახლეებში იცხოვრონ და ფეშენებელური ინაუგურაციები მოაწყონ.

„რამდენიმე ჩვენი პირველივე პოლიტიკური გადაწყვეტილება ერთ ჭრილში უნდა გავიაზროთ. ეს არის რეზიდენციასთან, ხარჯებთან და ინაუგურაციასთან დაკავშირებული გადაწყვეტილება. ჩვენ ვზეიმობთ არა მხოლოდ დღესასწაულებზე, არამედ ჩვენ ვზეიმობთ ყოველდღე, როცა ვაშენებთ კარგ, სწორ და ჯანსაღ ქვეყანას“– აღნიშნა მარგველაშვილმა.

ახალარჩეული პრეზიდენტი ამჟამად იუსტიციის სამინისტროს ახალი პროექტის პრეზენტაციას ესწრება, რომელიც ყოფილი პატიმრების რესოციალიზაციას ეხება. აღნიშნული განცხადებები მედიასთან მან სწორედ პრეზენტაციის დაწყებამდე გააკეთა.

გიორგი მარგველაშვილის ინაუგურაცია 17 ნოემბერს თბილისში გაიმართება. ღონისძიებები ოთხ ადგილზე იგეგმება. ინაუგურაციას სხვადასხვა ქვეყნებიდან მაღალი დონის დელეგაციები დაესწრებიან.

**ნიუსპრესი**

---

## პოლიციელის დაჭრაში ეჭვმიტანილი კახა გულორდავა სასამართლომ 2 000-ლარიანი გირაოს სანაცვლოდ გაათავისუფლა

საპატრულო პოლიციის თანამშრომლის დაჭრაში ბრალდებულ კახა გულორდავას ზუგდიდის რაიონულმა სასამართლომ აღკვეთის ღონისძიებად 2 000 ლარიანი გირაო შეუფარდა.

კახა გულორდავა სამი დღის წინ, საპატრულო პოლიციის თანამშრომლის გოგა ანჩაბაძის დაჭრის გამო დააკავეს. გავრცელებული ინფორმაციით, დაჭრილ მდგომარეობაში ანჩაბაძე დევნილთა დასახლებაში იპოვეს, მას ყური ჰქონდა მოჭრილი და პოლიციელის ფორმაც არ ეცვა, ასევე, კიდურები დამტვრეული. როგორც გაირკვა, ანგარიშსწორების მოტივი ანჩაბაძის მხრიდან მისი მეგობარი გულორდავას მეუღლის გაუპატიურების მცდელობა გახდა.

რაც შეეხება, გოგა ანჩაბაძეს, მის წინააღმდეგ აღძრულია სისხლის სამართლის საქმე გაუპატიურების მცდელობის მუხლით.

**მედიანიუსი**

თამარ ნინიძე

# მამუკა გიორგაძე: „არჩილ კბილაშვილი კი არ გადადგა, გაუშვეს!“

„სახალხო პარტიის" თავმჯდომარე მამუკა გიორგაძე აცხადებს, რომ მისი პარტია არასოდეს იყო პასიური დამკვირვებლის როლში იმ მოვლენებთან დაკავშირებით, რაც ქვეყანაში ხდება. ის, რომ მისი პოზიცია ცნობილი არ არის საზოგადოების ფართო ჯგუფებისთვის იმის ბრალია, რომ ტელეეთერი ამ პარტიისთვის დაბლოკილი იყო. ამჟამად სახალხო პარტია ხელისუფლებას სთავაზობს გახსნას ღია საჯარო სივრცე ყველა პოლიტიკური ძალისთვის და ქვეყნისთვის მნიშვნელოვან საკითხებზე ღია დისკუსიები გამართოს. „ახალი თაობა" მამუკა გიორგაძეს ესაუბრა.




*— მინდა გკითხოთ არჩევნების შესახებ, როგორ შეაფასებთ ამ არჩევნებს?*

— არჩევნები ორი პარამეტრით ფასდება: პირველი, არის ტექნიკური მხარე და მეორეა პოლიტიკური. ქუჩაში არავინ არავის დასდევდა, ძალისმიერი მეთოდებით არ ხდებოდა არაფერი, მაგრამ სხვა მხრივ ძველი მეთოდიკა გამოყენებული იყო. ძველი საარჩევნო კანონი, ძველი ცესკო, ძველი ამომრჩეველთა სია, ერთი წლის მანძილზე საარჩევნო გარემოს შეცვლის მხრივ არაფერი გაკეთებულა. თუ მანიპულირებისთვის არ სჭირდებოდა ახალ ხელისუფლებას, მაშინ რატომ დატოვა იგივე საარჩევნო გარემო. არჩევნებამდე რამდენიმე ათასი ყალბი პირადობის მოწმობა აღმოაჩინეს, არის შეკითხვა: მსგავსი ყალბი პირადობები სხვაგანაც ხომ შეიძლება არსებობდეს? ტექნიკური თვალსაზრისით ეს არჩევნები, საეჭვოა, რომ ასახავდეს საქართველოს მოსახლეობის ბუნებრივ განწყობას. მეორე მხრივ, მოსახლეობის აქტიურობას რაც შეეხება, 46% მომსვლელთა ნიშნავს იმას, რომ მოსახლეობამ უარი უთხრა პოლიტიკური სპექტრს, განსაკუთრებით ხელისუფლებას, მარგველაშვილს საერთო მოსახლეობის მხოლოდ 30%-მა დაუჭირა მხარი. ეს შედეგი ხელისუფლებამ უნდა გააანალიზოს. არ იდგა მთავარ შეკითხვად, თუ ვინ გავიდოდა პირველ ადგილზე. ეს გარკვეული იყო, მაგრამ მთავარი ინტრიგა გათამაშდა, თუ ვინ გავიდოდა მეორე ადგილზე, თუკი წინა წლებში ემოციური ფონი ძალიან დიდი იყო, ამ არჩევნებზე შენარჩუნდა ეს ემოციური ფონი, როგორც შემდეგ მოვლენებმა აჩვენა, ხელოვნური იყო. მთელი ემოციური ფონი იძაბებოდა, თუ ვერ გავიდოდა ბურჯანაძე, მაშინ ქუჩაში გამოვიდოდა, რომ არა ეს ინტრიგა, საქმეში ჩახედული ადამიანები ვამჩნევდით, რომ ბურჯანაძე არც აპირებდა ხელის განძრევას, უბრალოდ, ხელისუფლებამ ხელი შეუწყო ამ ინტრიგის გავრცელებას, რომ არა ეს ინტრიგა, მოსახლეობის ის 30%-ც არ მოვიდოდა არჩევნებზე. პოლიტიკური შეფასებით მივიღეთ იურიდიულად გაფორმებული კოაბიტიური ხელისუფლება, ხელისუფლებამ ხელი შეუწყო ნაცმოძრაობის გაწმენდას. მივიღეთ ისევ ორი პოლიტიკური ძალა, მესამე ძალა ბურჯანაძის სახით კი ქუჩაში, რომელიც მონაწილეობდა ამ ემოციური ფონის შექმნაში, 10% და ერთი მილიონი ლარი მიიღო. ეჭვქვეშ არ ვაყენებთ იმას, რომ მარგველაშვილი ყველა ვარიანტში გაიმარჯვებდა და ვულოცავ მარგველაშვილს, მაგრამ ასეთი მანიპულაციები როცა დასჭირდებათ მათ ამ გამარჯვებისთვის, ეს იმას ნიშნავს რომ ხვდებიან, მათი მყარი ნდობა საზოგადოებას არა აქვს. იმედია, ამ ყველაფერს გააანალიზებენ, ეცდებიან, დანერგონ ქვეყანაში ჯანსაღი პოლიტიკური და საარჩევნო გარემო.

***— ხომ არ გექმნებათ შთაბეჭდილება, რომ ივანიშვილი წინასწარ გაწერილი გეგმით მოქმედებს? მან უკვე წარუდგინა გუნდს მომავალი პრემიერ-მინისტრი, ასევე შს მინისტრის ახალ კანდიდატურას დაამტკიცებს პარლამენტი.***

— ივანიშვილი არ მალავდა და ღიად აცხადებდა, მოდიოდა იმისთვის, რომ პოლიტიკაზე მაღლა დამდგარიყო, ისეთი მექანიზმები შეექმნა, რომელიც საშუალებას მისცემდა მას, პოლიტიკაზე მაღლა მდგომს ემართა ქვეყანა, რასაც ფიქრობს, იმას ამბობს და ეს მისასალმებელია, უბრალოდ, შემაშფოთებელია ის, რომ გადაწყვეტილებების მიღება მოხდება პოლიტიკის მიღმა სხვაგან, ქვეყნის განვითარებას ეს შეზღუდავს. ის, რომ მან ერთგული ხალხი დანიშნა სხვადასხვა თანამდებობაზე, ეს ბუნებრივია, მაგრამ საკითხავია, ექნებათ თუ არა ამ ადამიანებს თავისუფლების მაღალი ხარისხი. პრაქტიკამ, რომ ახალგაზრდები წამოწეულიყვნენ წინა პლანზე, არ გაამართლა, ღმერთმა ქნას, ახლა გაამართლოს.

***— ახლა მიდის საუბარი იმაზე, იქნება თუ არა ღარიბაშვილი დამოუკიდებელი ფიგურა. როგორ ფიქრობთ, მოუწევს მას ივანიშვილისგან კონსულტაციების მიღება?***

— კონსულტაციები ყოველდღიურად სულაც არ არის საჭირო, როცა იცი შენი უფროსის ხედვები და მისწრაფებები. ღარიბაშვილის და მარგველაშვილის განცხადებებიდან ჩანს, რომ ისინი ვერ იქნებიან დამოუკიდებელი ფიგურები. მათი ძლიერებისა და ნდობის მთავარი საყრდენი არის სხვაგან. მათ მოუწევთ იმ მითითებების შესრულება, რომელსაც ივანიშვილი მათ მისცემს. ვისურვებდი, ორივემ გამოიჩინოს მაღალი სახელმწიფოებრივი შეგნება, პიროვნული თვისებები, რომელიც ქვეყანას გამოადგება, მაგრამ გვაქვს სურათი, რომ გვყავს მეფე, რომელიც არ მართავს, მაგრამ გადაწყვეტილებებს მეფე იღებს, შერეული მონარქისტული სისტემა მივიღეთ. პირველი რაც უნდა გაიტანოს მთავრობამ პარლამენტში, გახლავთ კანონი თვითმმართველობის შესახებ, რომელიც ქვეყნისთვის საეჭვო და არასასურველ მუხლებს შეიცავს, ხოლო მეშვიდე კარი, რომელიც რეგიონული თვითმმართველობების შემოტანას გულისხმობს, საერთოდ დამღუპველია საქართველოსთვის. თუ ამ სახით იქნება მიღებული ეს კანონი, მაშინ ვიტყვით, რომ ხელისუფლება შეგნებულად მიდის სახელმწიფოს დაშლაზე.

***— კონკრეტულად რა საშიშროებას შეიცავს ეს კანონპროექტი?***

— დღევანდელი კანონის მეშვიდე კარს არაფერი აქვს საერთო თვითმმართველობასთან, ეს არ არის თვითმმართველობითი ორგანო, მასში პირდაპირ არის ჩაწერილი, რომ საქართველო უნდა დაიშალოს წვრილ-წვრილ პროვინციებად, ეს პირველი ნაბიჯი იქნება, რომელიც, საერთო ჯამში, ქვეყნის დეცენტრალიზაციას გამოიწვევს მისი ცუდი გაგებით, მმართველობის დეცენტრალიზაციას მივესალმებით ეს ჯანსაღი პროცესია, მაგრამ ქვეყნის დეცენტრალიზაცია დამღუპველია. ეს იდეა წარმოადგენს ქვეყნის ფედერალური მოწყობის მცდელობას. თვითმმართველობის კანონში შემოპარულია ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის საკითხები. ეს საკითხები უნდა ამოიღონ ამ კანონიდან. რეგიონული ენების მოთხოვნის აქტუალიზაციის საშიშროებაც დგება. სეპარატისიტული განწყობების წახალისების საფრთხის წინაშე ვდგებით. ჩვენ კონსტიტუციაში გვიწერია, რომ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენამდე არ შეიძლება ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის საკითხების შემოტანა კანონში. სახალხო პარტია მოითხოვს, ეს მეშვიდე კარი მთლიანად ამოიღონ ამ პროექტიდან, დანარჩენ თავებზე ვიკამათოთ.

***— გაქვთ რაიმე ვარაუდი, რატომ გადადგა არჩილ კბილაშვილი?***

— გაუშვეს და მანაც მოძებნა ფორმა, რომ ლამაზად წამოსულიყო ხელისუფლებიდან. ახლა ხომ ყველას თავშესაფარია სამოქალაქო სექტორი. კბილაშვილი პოლიტიკურ ინტრიგებს შეეწირა და ვერ მოახერხა თავისი მტკიცე ნების გამოხატვა ამ თანამდებობაზე.

***— რესპუბლიკელები ამბობდნენ, რომ კბილაშვილი ძალიან ადამიანური პროკურორი იყო, ახლა არაადამიანურ პროკურორს ველოდებით?***

— ისე უნდა მოეფერო შენი გუნდიდან წასულ ადამიანს, რომ გული არ დასწყვიტო, მეორე მხრივ, მიანიშნო, რომ ნაწყენი ხარ, დააბრალო კბილაშვილს, რომ მან ვერ უზრუნველყო სამართლიანობის აღდგენა ქვეყანაში, ჩვენ არ გვაინტერესებს არავისი ადამიანური თვისებები, ჩვენ გვაინტერესებს, გაკეთდეს ქვეყნისთვის საქმე.

***— ისევ რესპუბლიკელების სკანდალურ განცხადებებს მოვიხმობ, მაგალითად, საუბრობენ იმაზე, რომ ისინიც არ უნდა დაეჭირათ, ვინც დაიჭირეს, სააკაშვილის დაპატიმრების საკითხი დღის წესრიგში არ დგას. მაშინ რას უნდა ველოდოთ ახალი მთავარი პროკურორისგან?***

— არაფერს, გარდა კოაბიტაციის კვლავაც გაგრძელებისა, პროკურატურის პოლიტიკურ ინსტრუმენტად გამოყენებისა, როგორც ადრე იყო გამოყენებული. გასარკვევია, შემდეგ შევიდნენ კოაბიტაციაში ნაცმოძრაობასთან ძალაუფლების განმტკიცების მიზნით თუ მანამდე იყო მათ შორის ეს ურთიერთობა და თამაში ქართველების გასაბითურებლად. ხომ არ არის ეს 2003 წლის ვარდების რევოლუციის მონაპოვრის გადარჩენა. „ქართულ ოცნებაში“ იგივე ადამიანები არიან, ვინც ადრე ნაცმოძრაობის სიით იყვნენ 2003 წელს პარლამენტში მოსული. ეს არის ლეგიტიმური ეჭვები და ამ ეჭვებს პასუხი უნდა გაეცეს.

***— საზოგადოება ელოდა, რომ მთავარი პროკურატურა მოაგროვებდა მტკიცებულებებს გახმაურებულ მკვლელობებთან დაკავშირებით, მხედველობაში მაქვს გირგვლიანის, რობაქიძის, ვაზაგაშვილისა და სხვა მრავალი ახალგაზრდის საქმე, ასევე იქნებოდა გამოძიება პოლიტიკურ მკვლელობებთან დაკავშირებით, მაგრამ ასე არ არის. არანაირი ცვლილებები არ არის. როგორ ფიქრობთ, ფარცხალაძის დანიშვნის შემდეგ ეს გახმაურებული საქმეები იქნება გამოძიებული?***

— ეჭვი მეპარება, რომ ეს ასე მოხდეს, პოლიტიკურ მკვლელობებს რაც შეეხება, ეს გამოძიებები არ დასრულდება შედეგით, კლანური დაპირისპირებები იყო, რისი შედეგიც იყო პოლიტიკური მკვლელობები. ეს კლანები, ვფიქრობ, დღესაც ხელისუფლებაში არიან და არ აძლევთ ხელს ამ საქმეების გამოძიება. ჟვანიას მკვლელობაზე თუ ვისაუბრებთ, იდეოლოგიური დაპირისპირება იყო ჟვანიასა და სააკაშვილს შორის? არა, ეს კონკრეტული ძალაუფლებისთვის ბრძოლა იყო. ვის სურს, რომ ეს გახდეს ფართო მსჯელობის საგანი. არავის, მათ შორის არც სააკაშვილს. სხვა შემთხვევაში, ის ნაგავი ამოვა ზედაპირზე, რომელიც იყო 2003 წლის მოვლენების დროს. იმიტომ კი არ მიდის გამოძიება, რომ სააკაშვილს ინდობენ, იმიტომ, რომ ეს ყველაფერი ამოვა ზევით, თანაც საზოგადოება უნდა მოატყუონ, რომ აქ სერიოზულ მოვლენებს ჰქონდა ადგილი და ვიძიებთ.

***— როცა ეს ზედაპირზე ამოსული ნაგავი ახსენეთ, გამახსენდა დავით თევზაძის ინტერვიუ, რომელიც ეხებოდა 2003 წლის რევოლუციის მოვლენებს. თქვენ ამ ინფორმაციებმა რა წარმოდგენა შეგიქმნათ?***

— 2003 წელსვე ვსაუბრობდით ამ პროცესებზე, რასაც ახლა დავით თევზაძე იხსენებს. ეს რევოლუცია რუსული სცენარი იყო. ეს დაფარული არ იყო ამ პროცესების მთავარი ფიგურანტებისთვისაც. თევზაძემ სიმართლე თქვა, მაგრამ ახლა კი არ უნდა ეთქვა ეს, არამედ მაშინვე უნდა განეცხადებინა და ერთად არ უნდა დაგვეშვა 2003 წელი. დღესვე მოვძებნოთ ერთმანეთი და ხმამაღლა ვთქვათ, რა მოხდა მაშინ და ერთხელ და სამუდამოდ შევძლოთ სახელმწიფოს აშენება. დავით თევზაძეს დიდ პატივს ვცემ, მაგრამ არც მას და არც სხვას არ უნდა დასჭირდეს უკანა რიცხვით ასეთი განცხადებების გაკეთება.

# დავით ლილუაშვილი: „პროკურატურას დღემდე ნაციონალები აკონტროლებენ“

შორენა კოწოწაშვილი

**რას შეეწირა არჩილ კბილაშვილის საპროკურორო კარიერა, ვის წყალობს ზედმეტად ბიძინა ივანიშვილი და სად შეცდა მთავარი პროკურორი წინა ხელისუფლებასთან მიმართებაში? — ამ საკითხების ირგვლივ გთავაზობთ ინტერვიუს კოალიცია „ჩვენი უფლებებისათვის“ წარმომადგენელ დავით ლილუაშვილთან.**

*— ბატონო დავით, მთავარი პროკურორის, არჩილ კბილაშვილის თანამდებობიდან წასვლას სხვადასხვა შეფასება მოჰყვა. როგორც უფლებადამცველი, რას უკავშირებთ კბილაშვილის გადადგომას, პასუხისმგებლობიდან თავის არიდებას, სისუსტის აღიარებას, თუ განსხვავებულ მოსაზრებებს, რომელიც მას და მომავალ პრემიერს — ირაკლი ღარიბაშვილს აქვთ უწყების მუშაობასთან დაკავშირებით?*

— ყველაფერს ერთად. მან ვერ გაამართლა სააკაშვილის რეჟიმისაგან უფლებაშელახული პირების და როგორც ჩანს, გარკვეულწილად ვერც ახალი ხელისუფლების იმედები. სამწუხაროდ, ის პროკურატურის სისტემაში ძალიან სუსტი ხელმძღვანელი პირი იყო. მან ვერ გაატარა რადიკალური ცვლილებები და შედეგიც სახეზეა. რაც შეეხება კბილაშვილთან დაკავშირებით ღარიბაშვილის კოლიზიას, ეს პროკურატურაში რეფორმების დროში გაწელილ პროცესს უკავშირდება და ამ შემთხვევაში ღარიბაშვილი მართალია. ვფიქრობ, ერთი წელი საკმარისი დრო იყო იმისათვის, რომ ამ სისტემაში სრულყოფილი რეფორმა განხორციელებულიყო და პროკურატურა არ დარჩენილიყო სტაგნაციურ მდგომარეობაში.

***— არსებობს აზრი, რომ არჩილ კბილაშვილი გაწირეს, მეორე ვერსიით, ის რესპუბლიკელებმა ჩააჩოჩეს. ასეა?***

— კბილაშვილმა თავისი ზედმეტი ჰუმანურობით და ინერტულობით თვითონ გაწირა საკუთარი თავი. მოგეხსენებათ, კანონმდებლობით პროკურატურის საქმიანობის ძირითადი ამოცანებია: ფიზიკური პირის უფლებებისა და თავისუფლებების, იურიდიული პირის უფლებების დაცვა და პატივისცემა. მე ვკითხულობ, რა გააკეთა ერთი წლის განმავლობაში ამ მხრივ პროკურატურამ?! ვისი უფლებები დაიცვა კბილაშვილმა, რომელი მოქალაქის და ბიზნესმენის?! კოალიცია „ქართული ოცნების“ შიგნით რომ მიმდინარეობს ფარულად ბრძოლა გავლენების გადანაწილებისთვის, ეს ფაქტია. ისიც არ არის საიდუმლო, რომ „რესპუბლიკელებს“ აქვთ ინტერესი, იყვნენ დომინანტი ამ გაერთიანებაში და სხვები გვერდზე გაწიონ. სხვათა შორის, პრემიერი ივანიშვილი ძალიან წყალობს „რესპუბლიკელებს“ და მათაც მეტი რა უნდათ, ხარობენ და ლაღობენ ამით და სულ არ აინტერესებთ საზოგადოების მათდამი განწყობა და დამოკიდებულება.

***— მმართველ გუნდში კბილაშვილს ევროპული დონის პროკურორს უწოდებდნენ. რატომ ვერ გახდა ის გუნდის შიგნით გარკვეული პირებისთვის მისაღები?***

— უფრო სწორი იქნებოდა, კბილაშვილს კარგი ადვოკატი ვუწოდოთ, რა შუაშია ევროპული დონის პროკურორი?! ლა, ევროპის ქვეყნებში გენერალური თუ მთავარი პროკურორი თავის გვერდით აჩერებს კრიმინალ და ჯალათ პროკურორებს? თუ ევროპელი პროკურორი არ დაიჭერს სხვადასხვა დანაშაულში მხილებულ მაღალი თანამდებობის პირებს?! ალბათ, ეს გახდა კბილაშვილის მიუღებლობის მიზეზიც და ამ მხრივ მისი თანაგუნდელების პოზიცია გასაკვირიც არ არის.

***— ფაქტია, კოალიციის მმართველობის პირველივე დღიდან საზოგადოება სამართლიანობის აღდგენის კუთხით ხელისუფლების აქტიურ ნაბიჯებს ელის, თუმცა ამ დაპირების შესრულება ივანიშვილის მთავრობას გაუძნელდა. დღეს ცალკეული პოლიტპატიმრები სამართლიანობის აღსრულებას მოითხოვენ და იმ პროკურორების და მოსამართლეების პასუხისგებას, რომლებმაც ისინი უკანონოდ ციხეში გამოამწყვდიეს. რატომ ვერ აქტიურობს ამ კუთხით კოალიცია, მართლაც დასავლეთის სერიოზული ზეწოლის ქვეშაა, როგორც ექსპერტები ამტკიცებენ?***

— გეთანხმებით. ხელისუფლებამ ვერაფერი ქმედითი ვერ განახორციელა სამართლიანობის აღდგენის მხრივ. ბიძინა ივანიშვილი ხელისუფლებიდან ისე მიდის, რომ მთავარი დანაპირები შეუსრულებელი რჩება. ხალხიც ამიტომ არის გულგატეხილი ამ მთავრობის მიმართ და ეს კარგად გამოჩნდა



საპრეზიდენტო არჩევნებზე. არა მარტო პილიტპატიმრები მოითხოვენ სამართლიანობის აღდგენასა და დამნაშავეთა დასჯას, არამედ მთელი სამოქალაქო საზოგადოებაც. მაგრამ, მგონი, უშედეგოდ მოველით ამ პროცესის დაწყებას. რა მნიშვნელობა აქვს, ვისი ზეწოლის ქვეშ იმყოფება ახალი ხელისუფლება, ის მასზე დაკისრებულ მოვალეობას და ამომრჩევლისთვის მიცემულ დაპირებებს ვერ ასრულებს. სუვერენული სახელმწიფოს ხელისუფლება, პირველ რიგში, საკუთარ ხალხს და მერე საერთაშორისო საზოგადოებას უნდა უსმენდეს.

**გაგრძელება მე-6 გვერდზე**

# ვეტერანები ალასანიას ულტიმატუმს უყენებენ

შორენა გონგლაძე



ვეტერანების პროტესტი კვლავ გრძელდება. გუშინ ცხრა აპრილის ბაღში ვეტერანების პირველი გამაფრთხილებელი აქცია მოეწყო. ისინი ვეტერანთა დეპარტამენტის ხელმძღვანელობის წინააღმდეგ გამოდიან და მისი თავმჯდომარის გელა დოლიძის დაკავებული თანამდებობიდან გადადგომას მოითხოვენ. როგორც აქციის ორგანიზატორები აცხადებენ, ისინი ფართომასშტაბიან აქციებს იწყებენ და მის შეწყვეტას არ აპირებენ მანამ, სანამ მათი მოთხოვნები არ დაკმაყოფილდება. როგორც აქციაზე მოსული ვეტერანები აცხადებდნენ, ხელისუფლებაში ნაციონალური მოძრაობის მოსვლის შემდგომ ვეტერანთა მდგომარეობა მნიშვნელოვნად გაუარესდა. წინა ხელისუფლების დროს გატარებული ე.წ. რეფორმებისა და ცვლილებების შედეგად კანონი, რომელიც ვეტერანს სტატუსს უსაზღვრავდა და, აქედან გამომდინარე, ის სახელმწიფოსგან გარკვეული შეღავათებით სარგებლობდა, კიდევ უფრო გაუარესდა. შესაბამისად, გაუარესდა თითოეული ვეტერანის ყოფა, რომლებიც, ფაქტობრივად, სახელმწიფოს მიერ გაღებულ დახმარებაზე არიან დამოკიდებულნი, მათი რიცხვი კი მნიშვნელოვნად დიდია. როგორც აქციის მონაწილეები აცხადებენ, ახალი ხელისუფლების წინასაარჩევნო დაპირებები სწორედ ვეტერანთა მდგომარეობის უკეთესობას ეხებოდა, ახალმა ხელისუფლებამ თითქოს დაიწყო გარკვეული ცვლილებების გატარება, თუმცა ყველაფერი მხოლოდ ლაპარაკის დონეზე დარჩა და რეალურად არაფერი შეცვლილა.

აქციის მონაწილეების განცხადებით, სახელმწიფო, რომლის ტერიტორიების ოცი პროცენტი ოკუპირებულია და რომელიც მუდმივად იმყოფება საომარ მდგომარეობაში, ხელისუფლება სწორედ ვეტერანის დაფასებაზე უნდა ზრუნავდეს და არა მისი უფლებების შეზღუდვაზე, როგორც ეს დღეს ხდება.

აქციის მონაწილეთა ერთ-ერთი უმთავრესი მოთხოვნა, როგორც ისინი აცხადებენ, არის ვეტერანთა დეპარტამენტის თავმჯდომარე გელა დოლიძის თანამდებობიდან გადადგომა, ვინაიდან მან ვეტერანთა იმედები ვერ გაამართლა. როგორც აქციის ორგანიზატორები აცხადებენ, ამ ერთი წლის განმავლობაში, რაც ვეტერანთა დეპარტამენტის თავმჯდომარედ გელა დოლიძე დაინიშნა, ვეტერანებს აღარ ეძლევათ საშუალება, დეპარტამენტიდან სრულფასოვანი მომსახურება მიიღონ, ვინაიდან, როგორც ისინი აცხადებენ, დეპარტამენტის თავმჯდომარემ სამსახურიდან ყველა კვალიფიციური კადრი დაითხოვა და მათ ადგილზე საკუთარი ნათესავები და მეგობრები დანიშნა, რომლებსაც შესაბამისი არც დანათლება და არც გამოცდილება არ გააჩნიათ. მეტიც, ვეტერანთა დეპარტამენტი ერთადერთი უწყებაა, სადაც ყველა თანამშრომელი პარტიული ნიშნით არის შერჩეული, მათი აბსოლუტური უმრავლესობა ნაციონალური მოძრაობის აქტიური მხარდამჭერია, თავად გელა დოლიძე კი ირაკლი ალასანიას გუნდის წევრია. არსებული ინფორმაციით, გელა დოლიძეს მისი ახლო ნათესავი ვიქტორ დოლიძე ლობირებს, საერთო ჯამში კი საკმაოდ საინტერესო ჯაჭვურ რეაქციას ვიღებთ, რომლის თავიც და ბოლოც, რაც არ უნდა არ მოგვწონდეს, ნაციონალებთან ასოცირდება.

აქციის მონაწილეები თვლიან, რომ ვინაიდან ალასანიას გუნდის წევრი ნაციონალების თავშესაფრის მიცემით არის დაკავებული, ჩნდება ეჭვი, რომ გელა დოლიძე სწორედ ალასანიას მითითებებს ასრულებს, წინააღმდეგ შემთხვევაში, მათი აზრით, დოლიძე ნაციონალების ასე აშკარა მფარველობას ვერ გაბედავდა. ამ შემთხვევაში ვეტერანების ბრალდება თავდაცვის მინისტრის ირაკლი ალასანიას მიმართ, თუ ალსანიას პოლიტიკურ მდგომარეობას გავიხსენებთ, საკმაოდ სერიოზულია. ის, რომ ირაკლი ალასანიას ნაციონალების სიმპათიას ედავებიან, ყველასთვის ცნობილი ფაქტია და, თუ ამას ვეტერანების მიერ დაწყებულ პროტესტსა და ბრალდებებსაც დავუმატებთ, ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს, თუ რა არასახარბიელო მდგომარეობაში შეიძლება აღმოჩნდეს ისედაც რეპუტაციაშერყეული მინისტრი უმოქმედობის შემთხვევაში, მით უმეტეს, რომ ვეტერანები უახლოეს დღეებში ახალ პრემიერ-მინისტრს წერილობით მიმართავენ, სადაც დაწვრილებით იქნება მოყვანილი ის პრობლემები, რომლებიც ვეტერანების უკმაყოფილებას იწვევს და რითიც ვეტერანები გელა დოლიძის თანამდებობიდან გადადგომის აუცილებლობას დაასაბუთებენ. ვეტერანები, ამის პარალელურად, ბიძინა ივანიშვილთან შეხვედრასაც შეეცდებიან, ვინაიდან ისინი თვლიან, რომ შექმნილ სიტუაციაზე პასუხი სწორედ ბიძინა ივანიშვილისგან უნდათ მოისმინონ, რადგანაც ერთი წლის წინ სწორედ ივანიშვილის გვერდით იდგნენ იმ იმედით, რომ, ბოლოს და ბოლოს, მოვიდოდა ისეთი ხელისუფლება, რომელიც ქართველ ვეტერანს შესაბამისად დააფასებდა, ყველაფერი კი პირიქით მოხდა.

ვეტერანების აქციის დაწყების ერთ-ერთი უმთავრესი მიზეზი კი დეპარტამენტის თავმჯდომარის მხრიდან ვეტერანების შეურაცხყოფა გახდა. როგორც აქციის ორგანიზატორი ნოდარ ცოტნიაშვილი აცხადებს, გელა დოლიძე მასთან საკუთარ პრობლემებზე დასახმარებლად მისულ ვეტერანებს სიტყვიერ შეურაცხყოფას აყენებს. დოლიძე ამ ყველაფერს იმით ამართლებდა, რომ ვეტერანებს ეუბნებოდა, ის ვეტერანი არ არის, რაც, მათი განცხადებით, ვეტერანისთვის ყველაზე დიდი შეურაცხყოფაა და ისინი ამ ყველაფრის ატანას აღარ აპირებენ. რაც შეეხება ნოდარ ცოტნიაშვილისა და გელა დოლიძის დაპირისპირების ფაქტს, მათ შორის კონფლიქტი მას შემდეგ დაიწყო, რაც ნოდარ ცოტნიაშვილმა ობიექტივის ეთერით ერთ-ერთ გადაცემაში ვეტერანთა პრობლემებზე ისაუბრა და აღნიშნა, რომ ვეტერანების მდგომარეობის გაუმჯობესებისთვის უკეთესი იქნებოდა, თუ ვეტერანთა მოძრაობებსა და ვეტერანთა დეპარტმენტს შორის უფრო მეტი ურთიერთ თანამშრომლობა იქნება, აქედან გამომდინარე, მეტი კომუნიკაცია ვეტერანთა პრობლემების გადაწყვეტისთვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი იქნებოდა. მისი განცხადებით, სწორედ ამ სიტყვებმა გააღიზიანა ვეტერანთა დეპარტამენტის თავმჯდომარე და მას სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა, ცოტნიაშვილი აცხადებს, რომ დედის გინებას გელა დოლიძეს არ შეარჩენს და შესაბამის პასუხს გასცემს. როგორც ვეტერანები აცხადებენ, ვეტერანთა აქციები დაიწყო და სასურველი შედეგის მისაღებად ყველაფერს გააკეთებენ. მათი თქმით, იმ შემთხვევაში, თუ ხელისუფლება მათი მოთხოვნებით არ დაინტერესდა, ისინი პროტესტის მწვავე ფორმებს მიმართავენ. როგორც აქციის ორგანიზატორები აცხადებენ, არ არის გამორიცხული, აქციებისა და შეკრებების პარალელურად, ვეტერანებმა შიმშილობაც დაიწყონ. ვეტერანები შემდეგ აქციას უკვე თავდაცვის სამინისტროსთან, ასევე სახელმწიფო კანცელარიასთან გამართავენ.

# რუსული დელეგაცია პრეზიდენტის ინაუგურაციას არ დაესწრება

შორენა გონგლაძე

**რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე გრიგორი კარასინი საქართველოს არჩეული პრეზიდენტის გიორგი მარგველაშვილის განცხადებებს ეხმაურება. კარასინი მიესალმება მარგველაშვილის მიერ რუსეთთან მიმართებით გაკეთებულ განცხადებებს. მარგველაშვილის პოზიციას კარასინმა კონსტრუქციული უწოდა.**

— ჩვენ ინტერესით ვადევნებთ თვალს საქართველოს ახალი პრეზიდენტის პირველ გამონათქვამებს. მისი შეხედულებები ქართულ-რუსული ურთიერთობების ნორმალიზების თაობაზე კონსტრუქციულად გამოიყურება და დიდწილად ჩვენს ხედვას ასახავს, — განაცხადა კარასინმა „იტარ-ტასთან" ინტერვიუში.

შეგახსენებთ, რომ რუსეთის სახელმწიფო პირველ არხთან ინტერვიუში, რომელიც ათ ნოემბერს გადაიცა, მარგველაშვილმა განაცხადა, რომ ორმა ქვეყანამ ურთიერთობების დალაგება იმ საკითხების განხილვით უნდა დაიწყოს, რომლებზეც შეთანხმება შესაძლებელია და შემდეგ გადავიდნენ კარგ მეზობლურ ურთიერთობებზე გრძელვადიან პერსპექტივაში. მან განაცხადა, რომ 2008 წლის აგვისტოს ომმა პრეზიდენტ სააკაშვილის დისკრედიტაცია მოახდინა, რომელმაც, მისი თქმით, პრობლემები შექმნა, მაგრამ სააკაშვილის ფაქტორი აღარ არის რელევანტური, რადგანაც ეს უკვე წარსულია. მარგველაშვილმა ასევე განაცხადა, რომ რუსეთი იხეირებს სტაბილური საქართველოთი და მისი ევროპული ინტეგრაციით. კითხვაზე, თუ როგორ აპირებს საქართველო რუსეთის ინტერესების გათვალისწინებას ევროპაში ინტეგრაციის მისწრაფების ფონზე, მარგველაშვილმა უპასუხა: — საქართველოს ინტეგრაცია და ასოცირება ევროპაში, ჩვენი თვალსაზრისით, წარმოადგენს რუსეთის ინტერესს, სტაბილური ქვეყანა სამხრეთის მიმართულებით რეალურად ქმნის შესაძლებლობას ურთიერთობების გაღრმავებისთვის და სტაბილური განვითარებისთვის რუსეთის ფედერაციისთვისაც, რომელიც, სხვათა შორის, ასევე ამ აქტიურია ევროპასთან. ჩვენ ამ ასპექტში მხოლოდ დადებით ვხედავთ რუსეთისთვის; ამიტომ, მე ვფიქრობ, აქ რუსეთის ინტერესები გათვალისწინებულია, — განაცხადა მან.

რუსეთში სტაბილური პოლიტიკური სიტუაციაა და საქართველოშიც სტაბილური სიტუაციაა და ეს კარგი წინაპირობაა საკითხების მოგვარების დასაწყებად, — განაცხადა მარგველაშვილმა.

მარგველაშვილი მკაცრად გააკრიტიკა ნაციონალური მოძრაობის საპარლამენტო უმცირესობამ იმის გამო, რომ მან ინტერვიუს დროს საერთოდ არ ახსენა რუსეთის მიერ საქართველოს ტერიტორიების ოკუპაცია და დევნილთა დაბრუნების საკითხი.

კარასინი რუსეთის მთავარი მომლაპარაკებელია საქართველოს საკითხებზე; იგი ჟენევის დისკუსიებში მონაწილეობს, რომელიც 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ დაიწყო, ხოლო 2012 წლის დეკემბრიდან ის საქართველოს პრემიერ-მინისტრის სპეციალურ წარმომადგენელთან რუსეთთან ურთიერთობების საკითხებში ზურაბ აბაშიძესთან ვაჭრობის, ეკონომიკურ და ჰუმანიტარულ საკითხებზე მართავს მოლაპარაკებებს. ორი დიპლომატი, დეკემბრიდან მოყოლებული, უკვე მეხუთედ ერთმანეთს პრაღაში 21 ნოემბერს შეხვდება.

— მოსკოვი მზად არის, განაგრძოს არაფორმალური დიალოგი, რომელიც ერთი წლის წინ დაიწყო ჩვენი ქვეყნების ხელმძღვანელობების დავალებით საქართველოს პრემიერის სპეციალურ წარმომადგენელ ზურაბ აბაშიძესთან. ამ პერიოდში რეალური შედეგები იქნა მიღწეული თანამშრომლობის აღდგენის თვალსაზრისით ისეთ სფეროებში, სადაც ეს რეალურია არსებულ პირობებში, — განაცხადა კარასინმა.

— ვრჩებით რა რეალისტებად, ჩვენ არ ვისახავთ გადაჭარბებულ მიზნებს; თუმცა მყარად ვაპირებთ კონსტრუქციული სულისკვეთებით გავაგრძელოთ ისეთი მუშაობა, რომელიც სასარგებლოა ორივე ქვეყნის ხალხებისთვის, — განაცხადა მან. კარასინმა ასევე განაცხადა, რომ რუსული დელეგაცია არ დაესწრება 17 ნოემბრის ინაუგურაციას თბილისში; მისი თქმით, ეს შეუძლებელია ორ ქვეყანას შორის დიპლომატიური ურთიერთობების არარსებობის პირობებში. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ განაცხადა, რომ რუსეთისთვის მოსაწვევი არ გაუგზავნიათ და ამის მიზეზად მანაც დიპლომატიური ურთიერთობების არარსებობა დაასახელა, რომელიც ორ ქვეყანას შორის 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ შეწყდა.

# დავით ლილუაშვილი: „პროკურატურას დღემდე ნაციონალები აკონტროლებენ"

დასაწყისი მე-5 გვერდზე

***— იუსტიციის მინისტრის განცხადებით, ახალი მთავარი პროკურორი სერიოზულ საკადრო ცვლილებებს განახორციელებს. მხოლოდ კადრების პრობლემაა პროკურატურაში?***

— მესმის, თუ რატომ წუხს აღნიშნულზე თეა წულუკიანი. პროკურატურა ხომ იუსტიციის სამინისტროს საქვეუწყებო სტრუქტურაა და მისდამი საზოგადოების სამართლიანი კრიტიკა ზოგადად მასაც ეხება. სანამ პროკურატურა თავისი საქმიანობის დროს არ იხელმძღვანელებს პროფესიონალიზმის, კომპეტენტურობისა და ობიექტურობის პრინციპებით და სანამ რეალურად არ დაიწყებს ბრძოლას დანაშაულის წინააღმდეგ, მანამდე ყოველთვის იქნება ამ უწყების მიმართ პრეტენზიები. ქვეყანაში საზოგადოების ყველაზე დიდი იმედგაცრუება პროკურატურის მუშაობაზე, უფრო სწორად კი უპასუხიმგებლო და არაადეკვატურ საქმიანობაზე მოდის.

***— მოდით, ბაჩო ახალაიას და ვანო მერაბიშვილის საქმეებზე ვისაუბროთ. სასამართლოს გამამართლებელი განაჩენები იმის დასტურია, რომ ორივე მაღალჩინოსნის მიმართ აბსურდული ბრალდებები ისმოდა იმდროინდელი ოპოზიციის და უფლებადამცველების მხრიდან? რატომ ვერ მოახერხა პროკურატურამ მყარი მტკიცებულებების წარდგენა მათ საქმეებზე?***

— არა, რა თქმა უნდა, უფლებადამცველები და ოპოზიციური სპექტრი მართლები ვიყავით მერაბიშვილისა და ახალაიას ბრალდებებთან დაკავშირებით, მაგრამ თუ მათ მიმართ ვერ ხორციელდება მართლმსაჯულება, ეს არის, ერთი მხრივ, პროკურატურის სისუსტისა და არაპროფესიონალიზმის და მეორე მხრივ, სასამართლოს სისტემის ბრალი, რომელზეც გავლენას დღემდე „ნაციონალური მოძრაობა" ინარჩუნებს. პროკურატურამ თუ რატომ ვერ ან არ წარმოადგინა მყარი მტკიცებულებები სასამართლოში, ეს გამოძიების საგანი უნდა გახდეს ახალი მთავარი პროკურორისა და მის მიერ განხორციელებული რეფორმის შემდგომ.

***— დაბოლოს, საკმაოდ საინტერესო პროცესი მიდის მთავრობაში. ამ დრომდე უცნობია, რომელი მინისტრები შეინარჩუნებენ თანამდებობებს და ვინ წავა. კითხვები არსებობს ღარიბაშვილის რჩეულ შს მინისტრთანაც, რომელიც ხასიათდება, როგორც კარგი შემსრულებელი.***

— თანამდებობებს დატოვებენ ის მინისტრები, რომლებმაც ვერ შეასრულეს მათზე დაკისრებული მოვალეობა და დღემდე გაუმართავად მუშაობს მათდამი რწმუნებული უწყებები. რაც შეეხება მომავალ შს მინისტრ ალექსანდრე ჭიკაიძეს, მასთან დაკავშირებით პოზიტივი ის არის, რომ იგი არ არის პოლიტიკურად ანგაჟირებული და სამართალდამცავი სისტემიდან მოდის. თუ კარგ შემსრულებლობაში ის იგულისხმება, რომ იგი პოლიტიკურ დაკვეთებს შეასრულებს, ამაზე საზოგადოებას მკვეთრი რეაქცია უნდა ჰქონდეს, თუმცა მოდით, მოვლენებს წინ ნუ გავუსწრებთ.

***— რამდენად დამოუკიდებელი პოლიტიკური ფიგურა იქნება ირაკლი ღარიბაშვილი პრემიერის პოსტზე? შეძლებს ის, ივანიშვილის ხელში მარიონეტად არ იქცეს?***

— ღარიბაშვილი ყველაზე წარმატებული მინისტრი იყო ივანიშვილის მინისტრთა კაბინეტში, მაგრამ იქნება თუ არა სრულიად დამოუკიდებელი, ამას დრო გვაჩვენებს. თუმცა, მე მაინც ვფიქრობ, ის ივანიშვილის მოსაზრებებს ყოველთვის გაუწევს ანგარიშს და ასეც რომ არ იყოს, ეს გასაკვირიც იქნება. მისი პროფესიული და შემდგომ პოლიტიკური კარიერა ხომ სწორედ ივანიშვილს უკავშირდება.

## ვიქტორია ნულანდი საქართველოსთვის ვილნიუსის სამიტს ისტორიულს უწოდებს

ამერიკის შეერთებული შტატები საქართველოს, უკრაინის და მოლდოვას დასავლეთთან დაახლოებას მიესალმება — აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, „ატლანტიკურ საბჭოში" სიტყვით გამოსვლისას აშშ-ის სახელმწიფო მდივნის მოადგილემ ევროპისა და ევრაზიის საკითხებში ვიქტორია ნულანდმა ისაუბრა. მისი თქმით, ვილნიუსის სამიტი საქართველოს, უკრაინისა და მოლდოვასთვის ისტორიულია. ნულანდმა რუსეთის ქმედებებზეც გაამახვილა ყურადღება და აღნიშნა, რომ რუსეთის ზოგიერთი საქციელი საერთაშორისო სტანდარტებს არ შეესაბამება.

„რაზეც არ უნდა იყოს ლაპარაკი, იქნება ეს მოლდოვური ღვინის აკრძალვა, სიტუაცია ლიტვა-რუსეთის საზღვარზე, თუ საზღვრების გავლება საქართველოში, რუსეთი ამით მეზობლებს კუნთებს უჩვენებს. გვაქვს გარკვეული მექანიზმები, რომლებიც არ გვქონდა წარსულში, რათა ნათელი მოვფინოთ, რომ ეს არ არის საუკეთესო საქციელი. ამ ქალაქში საკამათო საკითხი იყო, როდესაც ადმინისტრაციამ მხარი დაუჭირა რუსეთის შესვლას საერთაშორისო სავაჭრო ორგანიზაციაში. რუსეთის ზოგიერთი საქციელი შეუსაბამოა საერთაშორისო სტანდარტებთან. რუსეთის მეზობლებს აქვთ სწორედ საერთაშორისო სავაჭრო ორგანიზაციის მექანიზმი გამოსაყენებლად" — განაცხადა აშშ-ის სახელმწიფო მდივნის მოადგილემ.

ნიუსპრესი

## ნიკა გვარამია და მასთან ერთად ბრალდებული 6 პირი სასამართლომ გაამართლა

ნიკა გვარამია და მასთან ერთად ბრალდებული 6 პირი სასამართლომ გაამართლა ტელეკომპანია „რუსთავი 2"-ს გენერალური დირექტორი ნიკა გვარამია და მასთან ერთად, ე.წ. თელასის საქმეზე ბრალდებული 6 პირი, თბილისის საქალაქო სასამართლომ გაამართლა. ე.წ. „თელასის" საქმეზე ბრალდებული იყვნენ — ნიკა გვარამია, ალექსანდრე ხეთაგური, დევი კანდელაკი, კახა დამენია, იზაბელა გუტიძე და გიორგი ნემსიწვერიძე.

გვარამიას ბრალი სისხლის სამართლის კოდექსის ოთხი მუხლით ჰქონდა წარდგენილი— ქრთამის აღებაში დახმარება, ფულის გათეთრება, ყალბი დოკუმენტების დამზადება და ცრუ მეწარმეობაში დახმარება. რაც შეეხებათ გიორგი ნემსიწვერიძეს, კახა დამენიას და იზოლდა ქუტიძეს, მათ გამოძიება ცრუ სამეწარმეო საქმიანობასა და ქრთამის აღების ხელშეწყობაში ედავებოდა. ნიკა გვარამიას, ალექსანდრე ხეთაგურს, დევი კანდელაკს და კახა დამენიას აღკვეთის ღონისძიების სახით 30-30 ათას ლარიანი გირაო, იზაბელა გუტიძესა და გიორგი ნემსიწვერიძეს კი — 15-15 ათას ლარიანი გირაო ჰქონდათ შეფარდებული.

ნიუსპრესი

## ნინოწმინდის საბაჟოზე „მარიხუანა" აღმოაჩინეს

საბაჟო გამშვები პუნქტის „ნინოწმინდის" ტერიტორიაზე მოქალაქეს ნარკოტიკული ნივთიერება „მარიხუანა" აღმოუჩინეს. სომხეთის მოქალაქე ა.ჰ-ს, რომელიც საქართველოში სომხეთიდან შემოდიოდა, 1,67გრ „მარიხუანა" ავტომობილში უპოვნეს. საქმე რეაგირებისთვის შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის სამცხე-ჯავახეთის მთავარი სამმართველოს საგამოძიებო განყოფილებას გადაეცა.

მედიანიუსი

# ორმაგი მოქალაქეობა 2023 კაცს მიენიჭა

გულიკო ბალაძე

**არასამთავრობო ორგანიზაცია „ახალგაზრდა ადვოკატები“ აცხადებენ, რომ შესაძლოა მიხეილ სააკაშვილის ბოლოდროინდელმა ქმედებებმა უმძიმესი შედეგი მოუტანოს ქვეყანას.**

„ახალგაზრდა ადვოკატები“ ჯერ კიდევ პრეზიდენტის რანგში მოქმედ მიხეილ სააკაშვილს ადამიანების შეგნებულად შეცდომაში შეყვანაში ადანაშაულებს და მოუწოდებს, პატივი სცეს საქართველოს კონსტიტუციასა და მოქალაქეობის ინსტიტუტს.

სააკაშვილის პრეზიდენტობა სულს ლაფავს. მას სულ რამდენიმე დღე დარჩა. ადამიანებსაც ერთი სული აქვთ, როდის გათავისუფლდებიან ამ ანტისახელმწიფოებრივად, ანტიეროვნულად, ანტიჰუმანურად მოაზროვნე პირისაგან და როდის ჩაბარდება სააკაშვილი ისტორიას, რომელიც, მიხვდა რა, რომ მიდის, ცდილობს, რაც შეიძლება მეტი გაუფუჭოს ქვეყანას, რაც შეიძლება ბევრი ბომბი დაგვიტოვოს.

პრეზიდენტობის ბოლო დღეებში სააკაშვილი ძალიან გააქტიურდა, ჯერ იყო და პრეზიდენტის რეზიდენციიდან სახელმწიფო დროშა ჩამოხსნა, თავისი პარტიის გულებიანი დროშა ჩამოკიდა და განაცხადა, ჩემი მეგობარი კლიპს იღებდა, დიდი ამბავი, თუ დროშა დროებით ჩამოვხსენიო.

ადრე ის უდანაშაულოებს შეთითხნილი ბრალდებებით, მძიმე მუხლებით ციხეებში ყრიდა და ახალგაზრდებს პირდაპირ ქუჩაში ახვრეტინებდა, მოუწოდებდა, პირდაპირ ესროლეთ, ხელი არ აგიკანკალდეთო. ახლა დანაშაულებში ბრალდებულებს იწყალებს და ამას ჰუმანურობით ხსნის.

ბოლოს სააკაშვილმა უცხო ქვეყნის მოქალაქეებისთვის საქართველოს მოქალაქეობის მინიჭება მოიგონა. მოქალაქეობას ანიჭებს მათ, ვისაც არანაირი საფუძველი არ აქვთ საქართველოს მოქალაქეობის, არ იციან ენა და ქვეყნის ისტორია.

რამდენიმე დღეა, პრეზიდენტის რეზიდენციასთან სააკაშვილმა რიგები დააყენა, გამოაცხადა, არიქა, ვისაც გსურთ, მოდით და მოქალაქეობას მოგანიჭებთ, რადგან იუსტიციის სამინისტრო უარს გეუბნებათო.

რიგში ვინ აღარ დგას: ნიგერიელი, მოზამბიკელი, პაკისტანელი, კონგოელი, არაბი...

აშკარაა, მიშა საქართველოს მოქალაქეობას მათ ხონჩით ურიგებს.

სააკაშვილმა მის ამ ქმედებას განცხადებაც მოაყოლა, სადაც თავისი მოქმედების გამართლებას ცდილობს. ამ კაცს ძალიან უხარია, რომ მოქალაქეობის მიღების სურვილით მისი რეზიდენციის კარიბჭეს სხვადასხვა ეროვნების ადამიანები მიადგნენ. ამაყობს, რომ ნიგერიიდან, პაკისტანიდან, კონგოდან, მოზამბიკიდან ადამიანები საქართველოსკენ მოემართებიან საცხოვრებლად. იკვეხნის, ხომ ხედავთ. ისეთი ქვეყანა ავაშენე, ყველას საქართველოში უნდა ცხოვრებაო.

არასამთავრობო ორგანიზაცია „ახალგაზრდა ადვოკატები“ აცხადებენ, რომ ჯერ კიდევ პრეზიდენტის სტატუსით აღჭურვილი მიხეილი სააკაშვილი არღვევს საქართველოს კონსტიტუციას და დისკრედიტაციას უკეთებს მოქალაქეობის ინსტიტუტს.

„ახალგაზრდა ადვოკატები“ ეხმაურება მიხეილ სააკაშვილის გადაწყვეტილებებს, რომლის მიხედვითაც, ის პრეზიდენტის სტატუსის გამოყენებით, საქართველოს მოქალაქეობის მიღების მსურველებისთვის ორმაგი მოქალაქეობის გამარტივებული წესით მინიჭებას ახორციელებს.

– მივიჩნევთ, რომ ინიციატივა ეწინააღმდეგება საქართველოს სახელმწიფოებრივ ინტერესებს და მხოლოდ პიარისთვის გამიზნული ნაბიჯია, რაც შესაძლოა მძიმე შედეგების მომტანი გახდეს. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ საქართველოს პრეზიდენტს მსგავსი მასშტაბური ქმედება 2004 წლიდან არასდროს განუხორციელებია, – აღნიშნავს ორგანიზაცია „ახალგაზრდა ადვოკატები.

ორგანიზაციის განცხადებით, მოქალაქეობის მინიჭების საკითხს კონსტიტუციის მე-12 და საქართველოს მოქალაქეობის შესახებ ორგანული კანონის 1-ლი მუხლის მე-2 პუნქტი არეგულირებს, რომელთა მიხედვითაც, პრეზიდენტის მიერ საქართველოს მოქალაქეობა შეიძლება მიენიჭოს უცხო ქვეყნის მოქალაქეს, რომელსაც საქართველოს წინაშე აქვს განსაკუთრებული დამსახურება ან მისთვის საქართველოს მოქალაქეობის მინიჭება გამომდინარეობს საქართველოს ინტერესებიდან.

– პრეზიდენტის ინიციატივით, ორმაგი მოქალაქეობა 10 სექტემბრისა და 21 ოქტომბრის ბრძანებულებებით 2023 კაცს მიენიჭა. საეჭვოა ის ფაქტი, რომ ამ ადამიანებიდან ყოველ მათგანს საქართველოს წინაშე განსაკუთრებული დამსახურება ჰქონდეს. ის არგუმენტი, რომ ამ ნაბიჯით ინვესტორების დაინტერესება გაიზრდება სუსტია, რადგან ნებისმიერ დაინტერესებულ უცხოელს, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, შეუძლია, საქართველოს ტერიტორიაზე აწარმოოს ბიზნესი. ერთადერთი შეზღუდვა, რომელიც მათ მიმართ იარსებებს, არის სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების საკუთრებით შესყიდვის შეზღუდვა. ამ გარემოებებიდან გამომდინარე, მივიჩნევთ, რომ შეგნებულად ხდება მოსახლეობის შეცდომაში შეყვანა, – აცხადებენ „ახალგაზრდა ადვოკატები“.

არასამთავრობო ორგანიზაცია „ახალგაზრდა ადვოკატები“ ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე მიიჩნევს, რომ ინიციატივის განხორციელება არ არის მიზანშეწონილი და მოუწოდებს მიხეილ სააკაშვილს, არ განახორციელოს პოლიტიკურად მოტივირებული გადაწყვეტილება.

– მიხეილ სააკაშვილს მოვუწოდებთ, პატივი სცეს საქართველოს კონსტიტუციასა და მოქალაქეობის ინსტიტუტს. შესაბამისად, შეაჩეროს იმ უფლების ბოროტად გამოყენება, რომელიც არ პასუხობს არც საზოგადოების ინტერესებსა და არც კანონით დადგენილ წესებს.

# საქართველოში დიაბეტით დაავადებული ბავშვების რიცხვმა მოიმატა

**ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემებით მსოფლიოში 347 მილიონზე მეტი ადამიანი დიაბეტით არის დაავადებული. ვარაუდობენ, რომ ეს რიცხვი 2030 წლისათვის გაორმაგდება და დიაბეტი სიკვდილობის მიზეზთა შორის მე-7 ადგილს დაიკავებს. დიაბეტით სიკვდილობის თითქმის 80% დაბალ და საშუალო შემოსავლების მქონე ქვეყნებში აღინიშნება.**

**როგორც დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრში ამბობენ, დიაბეტით დაავადებულთა უმრავლესობას აღენიშნება გართულებები, რაც შრომისუნარიანობის დაქვეითებას იწვევს, ხოლო ნაადრევი სიკვდილიანობა ოჯახების შემოსავლის დაკარგვის ერთ-ერთი მიზეზია. აღნიშნულს შეუძლია გამოიწვიოს ნებისმიერი ქვეყნის ნაციონალური შემოსავლის შემცირება და იქ, სადაც სოციალური დაცვა დაბალ დონეზეა, ხდება ოჯახების გაღარიბება. ამ ოჯახებში ბავშვები რჩებიან საკვების, განათლებისა და მომავლის გარეშე და მსოფლიოს არც ერთი ქვეყანა არ არის დაცული დიაბეტის ეპიდემიისაგან. როგორც დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის უფროსმა სპეციალისტმა, მედიცინის დოქტორმა, რუსუდან კვანჭახაძემ „ახალ თაობასთან“ საუბრისას აღნიშნა, დიაბეტით ავადობა საქართველოს საზოგადოებრივი ჯანდაცვისთვისაც მნიშვნელოვანი პრობლემაა. დაავადების გავრცელება ქვეყანაში საკმაოდ მაღალია და წლიდან წლამდე მზარდია.**

მერი ნამორაძე

***– ქალბატონო რუსუდან, რა მასშტაბებს აღწევს ქართულ პოპულაციაში დიაბეტის გავრცელება და რომელი ტიპის დიაბეტი ჭარბობს?***

– შაქრიანი დიაბეტი ქრონიკული ენდოკრინული დაავადებაა, რომელსაც ახასიათებს სისხლში გლუკოზის დონის მატება (ჰიპერგლიკემია). ეს განპირობებულია პანკრეასის მიერ გამოყოფილი ინსულინის აბსოლუტური ან შედარებითი დეფიციტით. განასხვავებენ შაქრიანი დიაბეტის ორ ძირითად ტიპს: შაქრიანი დიაბეტი ტიპი 1 და შაქრიანი დიაბეტი ტიპი 2. ტიპი 1-ის დროს ადგილი აქვს პანკრეასის მიერ გამომუშავებული ინსულინის რაოდენობის შემცირებას ან მის აბსოლუტურ დეფიციტს. ტიპი 2-ის (ადრე მას ინსულინდამოუკიდებული დიაბეტი ეწოდებოდა) დროს პანკრეასის უჯრედების ფუნქცია ნაწილობრივ ან სრულად შენარჩუნებულია, თუმცა ორგანიზმს გამომუშავებული ინსულინის ეფექტური გამოყენება არ შეუძლია. შაქრიანი დიაბეტი ტიპი 1 და ტიპი 2 პრაქტიკულად ორი აბსოლუტურად სხვადასხვა დაავადებაა და ექიმისა და ავადმყოფისგანაც სხვადასხვანაირ მიდგომას მოითხოვს. შაქრიანი დიაბეტის შემთხვევათა 90-95% ტიპი 2-ზე მოდის.

საქართველოში 2008-2012 წლებში დიაბეტის გავრცელების მაჩვენებლები ზრდის ტენდენციით ხასიათდებოდა. სტატისტიკური მონაცემებით, 2012 წლის ბოლოს აღირიცხა დიაბეტის 92480 შემთხვევა, აქედან 15 წლამდე ასაკის 393 ბავშვი დაავადებული იყო შაქრიანი დიაბეტი ტიპი 1-ით. შაქრიანი დიაბეტის ცხოვრებაში პირველად დადგენილი დიაგნოზით ავადობის მაჩვენებლები საქართველოში სამწუხაროდ უფრო მაღალია, ვიდრე ევროპის ქვეყნებში.

შაქრიანი დიაბეტი ტიპი 1-ის ინციდენტობის მაჩვენებლები 100000 მოსახლეზე უკანასკნელი ხუთი წლის მანძილზე ვარირებდა 61-დან 82.8-ის ფარგლებში, აღნიშნული ცვალებადობა შესაძლოა უკავშირდება არასრულყოფილი რეგისტრირების სისტემას; შაქრიანი დიბეტი ტიპი 2-ის შემთხვევაში სახეზეა ინციდენტობის მატება – უკანასკნელი 5 წლის მანძილზე ეს მაჩვენებლი 1.7-ჯერ გაიზარდა, ხოლო წინა წლის მაჩვენებელთან შედარებით – 1.2-ჯერ.

***– რა ფაქტორები განაპირობებენ დიაბეტის გაჩენას, ქალბატონო რუსუდან?***

– დიაბეტი ტიპი 1-ის თავიდან აცილების გზა ჯერჯერობით უცნობია. ეს მეცნიერების სამომავლო გამოწვევად რჩება. ტიპი 2-ის შემთხვევაში ძირითადი მიზეზებია ჭარბი წონა, დიეტის დარღვევა და ფიზიკური უმოძრაობა. ტიპის 2-ის პრევენცია შესაძლებელია და მოითხოვს, რომ ყველამ ერთად ახლავე დავიწყოთ მოქმედება. მრავალმა გამოკვლევამ დაადასტურა, რომ დიეტისა და ფიზიკური აქტივობის მდგრადი ცვლილებები შაქრიანი დიაბეტი ტიპი 2-ის განვითარების რისკს ამცირებს. დიაბეტის რისკფაქტორებს ასევე განეკუთვნება გენეტიკური წინასწარგანწყობა, სტრესი, თამბაქო და ალკოჰოლის ჭარბი მოხმარება.

***– რა მიღწევები აქვს თანამედროვე მედიცინას ამ დაავადებასთან საბრძოლველად?***

– ვინაიდან შაქრიანი დიაბეტი პანდემიად იქცა, იზრდება ამ დაავადებისადმი ინტერესი და მოითხოვს მის სამართავად ინტენსიური კვლევების აუცილებლობას. დიაბეტოლოგიაში ბოლოდროინდელ სიახლეს წარმოადგენს მეცნიერულ მტკიცებულებებზე დაყრდნობილი სხვადასხვა ჯგუფის გლუკოზის დამწევი პრეპარატებისა და დიაგნოსტიკის თანამედროვე მეთოდების დანერგვა. ჩადებულია ინვესტიციები დიაბეტის განვითარების ადრეულ ეტაპზე დიაგნოსტიკის, მკურნალობისა და მონიტორინგის მიზნით, რაც შესაძლებელს ხდის დიაბეტის შეუქცევადი გართულებების პროფილაქტიკასა და შეფერხებას. დიაბეტოლოგია ინტეგრირებულია მრავალ სამედიცინო დარგთან, რაც მისი განვითარების მაჩვენებელია. აქედან გამომდინარე, სხვა არაგადამდებ დავადებებთან საბრძოლველად მიღებული მიღწევები ასევე მიმართულია დიაბეტის დამარცხებისაკენ.

***– უყურადღებობის შემთხვევაში რა რისკების წინაშე დგანან დაავადებულები?***

– საყოველთაოდ არის ცნობილი, რომ შაქრიანი დიაბეტი დროულად და სწორად უნდა იყოს ნამკურნალევი, რადგან მისი გართულებების მკურნალობაზე გაწეული ხარჯები მძიმე ტვირთად აწვება ჯანდაცვის სისტემას და სახელმწიფო ბიუჯეტის 5-10%-ს შეადგენს. დიაბეტის გავრცელების მატებასთან დაკავშირებით, იზრდება სხვადასხვა გართულებების სიხშირე და მათგან სიკვდილიანობის მომატების ალბათობაც, რაც ოჯახების შემოსავლის დაკარგვის ერთ-ერთი მიზეზია. დიაბეტის კარგი კონტროლი ნიშნავს სისხლის შაქრის დონის ნორმასთან მაქსიმალურ მიახლოებას. სისხლში გლუკოზის ხანგძლივად მომატება და დაქვეითება იწვევს ისეთ გართულებებს, როგორიცაა თირკმლების, ნერვული დაბოლოებების, გულის, სისხლძარღვების დაზიანება. ხშირია ცვლილებებიც თვალის ბადურა გარსის სისხლძარღვებში, რომელიც ცნობილია დიაბეტური რეტინოპათიის სახელწოდებით. დიაბეტით დაავადებულთა შორის მნიშვნელოვნად უფრო მაღალია გულ-სისხლძარღვთა დაავადებებისა და ჰიპერტენზიის სიხშირე, ამიტომ იზრდება ინფარქტითა და ინსულტით გარდაცვლილ დიაბეტიან პაციენტთა რიცხვი.



***– რამდენად უჭირთ ჩვენს დიაბეტით დაავადებულებს ამ დაავადებასთან ერთად ცხოვრება?***

– დიაბეტი ის დაავადებაა, რომელიც ადამიანისაგან მთელი სიცოცხლის განმავლობაში მოითხოვს რთული გადაწყვეტილებების ყოველდღიურ მიღებასა და დაავადების მართვის ცოდნას. თუ დიაბეტი დიაგნოსტირებული არ არის ან დიაგნოსტირებისა და მკურნალობის (ინსულინი, ტაბლეტირებული ჰიპოგლიკემიური და სხვა სიცოცხლისათვის აუცილებელი სამედიცინო პრეპარატები) მეთოდები ხელმიუწვდომელია, მაშინ დიაბეტით დაავადებულთა ჯანმრთელობისა და სიცოცხლის უფლებები ირღვევა. გარდა ამისა, სოციალური სტერეოტიპები შეიძლება გახდეს სერიოზული დაბრკოლება ადრეულ სტადიებზე დიაბეტის გამოვლენის, დაავადების თვითკონტროლის ეფექტური უზრუნველყოფის, სამედიცინო დახმარებისა და მკურნალობის საყოველთაო ხელმისაწვდომობისათვის. ხშირად დიაბეტი ხდება სტიგმა, რაც ხელს უშლის დაავადებულ ადამიანს სამსახურის დაწყებაში, ოჯახის შექმნასა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში აქტიური მონაწილეობის მიღებაში, რის გამოც იძულებულია დამალოს დაავადება. დიაბეტის ტვირთი მნიშვნელოვნად მაღალია მოსახლეობის ისეთ ჯგუფებში, როგორიცაა ეთნიკური უმცირესობა, ბავშვები და ქალები.

აქედან გამომდინარე, დიაბეტის მკურნალობის და პროფილაქტიკის უმნიშვნელოვანეს წინაპირობას წარმოადგენს მოსახლეობის მაღალი ინფორმირებულობა, სტერეოტიპების დარღვევა, მითებისა და მცდარი წარმოდგენების დამსხვრევა.

***– ბავშვთა პოპულაციაში რა მდგომარეობაა და ხომ არ იზრდება მათში დიაბეტით ავადობა, ან რა განაპირობებს ბავშვებში დიაბეტის ჩამოყალიბებას?***

– როგორც უკვე აღინიშნა, საქართველოში დიაბეტით დაავადებული ბავშვების რაოდენობის მატების ტენდენციას აქვს ადგილი. დიაბეტის წინააღმდეგ ბრძოლის ფარგლებში მოქმედებს სახელმწიფო სამედიცინო პროგრამები, რომლის ერთ-ერთ პრიორიტეტულ ღონისძიებას წარმოადგენს დიაბეტით დაავადებულ ბავშვთა მომსახურება, რაც გულისხმობს სპეციალიზებულ ამბულატორიულ დახმარებას (ინსულინით ყველა პაციენტის მომარაგებას ექიმ-ენდოკრინოლოგის მეთვალყურეობით და სამედიცინო განათლებას).

შაქრიანი დიაბეტით დაავადებულ ბავშვთა უმრავლესობას ტიპი-1 (ინსულინდამოკიდებული ) ფორმა აღენიშნება. მისი დებიუტი ნებისმიერ ასაკობრივ ჯგუფში შეიძლება იყოს, თუმცა დაავადების განვითარების რისკი თანდათან იზრდება და პიკს სქესობრივი მომწიფების პერიოდში აღწევს. პანკრეასის უჯრედების დაზიანების მაპროვოცირებელი ფაქტორები შეიძლება იყოს სხვადასხვა მიზეზი: გრიპი, წითელა, კოკსაკი, პოლიომიელიტი, ძლიერი შიში და ა.შ. ბავშვებში მოზრდილებისაგან განსხვავებით დაავადება იწყება მწვავედ და მოითხოვს სასწრაფოდ კვალიფიცირებულ ენდოკრინოლოგიურ მომსახურებას.

რაც შეეხება შაქრიან დიაბეტ ტიპ 2-ს, ამით ბავშვები იშვიათად ავადდებიან, თუმცა მსოფლიოში მისი განვითარების რისკი და სიხშირე იზრდება, განსაკუთრებით სქესობრივი მომწიფების ასაკში და მისი ძირითად მიზეზს სიმსუქნე წარმოადგენს. დღეს პედიატრიულ პრაქტიკაში დიდი ყურადღება ეთმობა სწორედ ბავშვთა ჯანმრთელ კვებასა და ჩვილებში ძუძუთი კვებისადმი ხელშეწყობას, რომელიც შემდგომ წლებში დიაბეტის განვითარების პრევენციას მოახდენს.

***– დიაბეტის მართვაში თუ არის სიახლეები?***

– ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემებით, შაქრიანი დიაბეტი ტიპი 2-ის შემთხვევთა 80 %-ის პრევენცია შესაძლებელია მარტივი და ეკონომიურად ეფექტური მეთოდების გამოყენებით. საგრძნობლად იზრდება დღევანდელი ჯანდაცვის პოლიტიკა მთელ მსოფლიოში ფიზიკური აქტივობის გაძლიერებისა და ჯანსაღი წონის შენარჩუნების მიზნით. ბევრ ქვეყანაში კარგად დაგეგმილი დიდი ან პატარა ქალაქები საზოგადოებრივი ტრანსპორტისა და კვების ეფექტურად ორგანიზებული სისტემებით, რომლებიც თავის მხრივ შექმნიან ფიზიკური აქტივობისა და ჯანსაღი კვების პირობებს, ხელს უწყობს შაქრიანი დიაბეტი ტიპი 2-ის განვითარების რისკის ფაქტორების მინიმალიზაციას. ასევე ძალიან მნიშვნელოვანია ის, რომ იზრდება მოსახლეობის ინფორმატიულობა შაქრიანი დიაბეტის პრევენციისა და რაციონალური მედიკამენტური მკურნალობის თაობაზე და დანერგილია საყოველთაო ჯანმრთელობის დაზღვევა. ჩვენ ვცდილობთ, რომ საქართველო არ ჩამორჩეს დიაბეტის მართვის სიახლეებს. ერთ-ერთი ბოლო მნიშვნელოვანი აქტიურობაა დაავადებისა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის მიერ შემუშავებული დიაბეტთან ბრძოლის ეროვნული სტრატეგია და სამოქმედო გეგმა, რომელიც დიაბეტის დარგში მომუშავე კლინიცისტებსა და ჯანდაცვის სპეციალისტებთან ერთად მიზნად ისახავს ამ ვერაგი დაავადების მატების შეჩერებასა და დიაბეტით ნაადრევი სიკვდილიანობის შემცირებას.

***– რას ურჩევდით უკვე დაავადებულ ადამიანებს?***

– პირველ რიგში საჭიროა ცხოვრების ჯანსაღი წესი, სისხლში შაქრის კონტროლი, გართულებების პროფილაქტიკა. მინდა მოვიყვანო გერმანელი ექიმის, მიშელ ბერგერის სიტყვები: დიაბეტი დაავადება კი არა, ცხოვრების წესია. დიაბეტით ავადმყოფობა იგივეა, რაც მანქანის მართვა ინტენსიური მოძრაობის პირობებში – უნდა იცოდე მოძრაობის წესები. დიაბეტი – ეს ის მეგობარია, რომელსაც თუ მოუფრთხილდები, ისიც გაგიწევს მეგობრობას და თუ უღალატე, მაშინ ისიც არ დაგინდობს, უამრავ გართულებას გამოგიგზავნის.

# საეკლესიო მუსიკის მკვლევარს წიგნს მიუძღვნიან

ეკა ირემაშვილი



ქართული საეკლესიო მუსიკის ერთ-ერთ გამორჩეულ მკვლევარს მანანა ანდრიაძეს სპეციალურ წიგნს მიუძღვნიან. მართალია ეს წიგნი მისი გარდაცვალების შემდეგ გამოვა, მაგრამ ეს იქნება კიდევ ერთხელ პატივის მიგება ამ ქალბატონისადმი, რომელმაც სრულიად ახალ საფეხურზე აიყვანა ქართული საეკლესიო მუსიკის სამეცნიერო კვლევა. წიგნის ავტორი ბატონი გივი ანდრიაძეა, რომელმაც გადაწყვიტა წლისთავისთვის მოგონებების წიგნი დაბეჭდოს, სადაც მანანა ანდრიაძის შესახებ ყველა მისი მეგობარი, ახლობელი, კოლეგა თავის მოგონებას განათავსებს.

მანანა ანდრიაძე თებერვალში ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა. იგი სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსის, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია მეორის ინიციატივით ქაშუეთის ტაძრიდან გამოასვენეს. პანაშვიდი მას პირადად ილია მეორემ გადაუხადა. გარდაცვალებიდან ორიოდ კვირაში კონსერვატორიაში მწუხრის საღამო გაიმართა, რომელიც მანანა ანდრიაძის ხსოვნას მიეძღვნა. 10 ნოემბერს კი პროფესორ ნუცა ჭირაქაძის კლასმა ორგანყოფილებიანი კონცერტი ჩაატარა, რომელიც ასევე მანანა ანდრიაძის ხსოვნას მიეძღვნა. ეს ქალბატონი მისმა გულშემატკივრებმა, კოლეგებმა, მეგობრებმა და ახლობლებმა კიდევ ერთხელ გაიხსენეს.

**მანანა დოიჯაშვილი:**

— მანანა ანდრიაძე იყო ადამიანი, რომლის მსგავსნი ამქვეყანას ძალიან იშვიათად ევლინებიან. არ შევცდები თუ ვიტყვი, რომ თბილისის კონსერვატორიის ისტორიაში ასეთი პიროვნებები თითზე ჩამოსათვლელები არიან. იგი იყო უპირველეს ყოვლისა, ძალიან მაღალი ღირებულებების და ზნეობის მატარებელი ადამიანი, ღრმად განათლებული, ნატიფი ინტელიგენტი, მაღალი რანგის პროფესიონალი და ჭეშმარიტი მეცნიერი. უანგარო, საქმისადმი უდიდესი პასუხისმგებლობით აღსავსე, გაწონასწორებული, მშვიდი, წესრიგის მოყვარული ყველაფერში: დამოკიდებულებებში, საქმეში, ურთიერთობებში, შინ და გარეთ. უაღრესად მოკრძალებული და ტაქტიანი და ამავე დროს, საოცრად ძლიერი სულის პატრონი. რა ეპითეთებითაც არ უნდა შევამკოთ მისი პიროვნება, საკმარისი მაინც არ იქნება.

ბოლო დროს თავისი მძიმე ავადმყოფობის გამო, მიუხედავად ხვეწნა-მუდარისა და ჩვენი უახლოესი ურთიერთობისა, არ დამრთო ნება, ვყოფილიყავი მის გვერდით, არ დამამძიმა და შემაწუხა თავისი მდგომარეობით, ესეც მისი განსაკუთრებული თვისება იყო, ბოლო წუთამდე სხვაზე ფიქრი და ზრუნვა. წავიდა ახალგაზრდა, სიცოცხლით და სიყვარულით სავსე, ყველას მოსიყვარულე და მომრიგებელი. მუდამ მომღიმარი და სიკეთის გამცემი, კონსერვატორიის სინდისნამუსი და სიამაყე. მასთან ერთად დასრულდა ჩემი ცხოვრების დიდი ნაწილიც. მის გვერდით გატარებული წლები ჩემთვის მუდამ ღვთით ბოძებულ საჩუქრად დარჩება.

**თამარ ჩხეიძე:**

— მანანა ანდრიაძის შესახებ საუბარი ძალიან მიმძიმდა, მეგონა მასზე წარსულ დროში საუბრით შეწყდებოდა იმის განცდა, რომ იგი მაინც ჩემ გვერდითაა. უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში მასთან ხშირი ურთიერთობის შესაძლებლობა აღარ მქონდა, მაგრამ მისი რჩევის, დარიგების და მზრუნველობის ბედნიერებას მოკლებული მაინც არ ვიყავი და ამ განცდის გახანგრძლივების სურვილი მქონდა. ქალბატონი მანანა იყო უკეთილშობილესი, სათნო პიროვნება, ძალიან ნიჭიერი ადამიანი, მასწავლებელი და მკვლევარი, მოღვაწეობის ყველა სფეროში ერთნაირად წარმატებული. თავისი სამეცნიერო გამოკვლევებით უაღრესად მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ქართული საეკლესიო მუსიკოლოგიის, როგორც დამოუკიდებელი დარგის განვითარებაში. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ქართული სამუსიკო დამწერლობის სისტემისა და ქართული სამუსიკო ტერმინოლოგიის შესწავლის მიმართულებით შესრულებული მისი შრომები. ქალბატონი მანანას აღზრდილები აგრძელებენ მის მიერ დამკვიდრებული კვლევის ახალ მიმართულებებს და მეთოდოლოგიას. თამამად შეიძლება ითქვას, რომ მან შექმნა სკოლა საეკლესიო მუსიკოლოგიის კვლევის კუთხით.

90-იანი წლების დასაწყისში ქართული საეკლესიო გალობის შესწავლის ახალი ეტაპი დაიწყო, ამ ეტაპის დადგომაში განსაკუთრებული დამსახურება სწორედ ქალბატონ მანანას მიუძღვის. ანჩისხატის ტაძრის მგალობელთა მიერ გამომზეურებულმა ხელნაწერთა ფონდებმა ძველი ქართული პროფესიული მუსიკის შესწავლის ფართო პერსპექტივები შექმნა და ქალბატონი მანანა სათავეში ჩაუდგა ამ პროცესს. მუსიკის მცოდნეობის ფაკულტეტზე დააარსა ძველი ქართული პროფესიული მუსიკის საკათედრათაშორისო ჯგუფი, სადაც გაერთიანდნენ კონსერვატორიის ქართული ხალხური მუსიკალური შემოქმედებისა და მუსიკის თეორიის კათედრის მეცნიერ-თანამშრომლები და პროფესორ-მასწავლებლები. 2006 წელს მან ჩამოაყალიბა საეკლესიო მუსიკის კვლევის ლაბორატორია და ქართული პროფესიული მუსიკის შესწავლით დაინტერესებულ სტუდენტებს ახალი შესაძლებლობები გაეხსნათ. ქალბატონი მანანას ინიციატივით კონსერვატორიაში ჩამოყალიბდა საეკლესიო მუსიკის მიმართულება და შემუშავდა ახალი სამაგისტრო პროგრამა „საეკლესიო მუსიკა“. პროგრამის განხორციელებაში ჩართული პროფესორები და სტუდენტები ქალბატონი მანანას აღზრდილები და აღსაზრდელები იყვნენ. ამ წლების განმავლობაში ქალბატონი მანანას ხელმძღვანელობით ინტენსიურად წარიმართა ქართული პროფესიული მუსიკის შესწავლა.

ჩვენი ურთიერთობა 1990 წელს დაიწყო, როდესაც კონსერვატორიაში მუსიკისმცოდნეობის ფაკულტეტის მესამე კურსზე ავირჩიე სპეციალიზაცია — საეკლესიო მუსიკა და გავხდი მისი „პირველი მერცხალი“, როგორც თვითონ მეძახდა. დასაწყისში სტუდენტის პოზიციიდან აღქმული ქალბატონი მანანა კონსერვატორიის სხვა პროფესორების გვერდით, ჩემი ერთ-ერთი პატივსაცემი და საყვარელი პედაგოგი იყო, მაგრამ მასთან ინტენსიურმა ურთიერთობამ იგი ჩემი ცხოვრების მასწავლებლადაც აქცია. მასთან ყოველი შეხვედრა ახალი ენერგიითა და სტიმულით მავსებდა. ყველაზე ძლიერი იარაღი აღზრდის პროცესში ცოცხალი მაგალითია. იგი თავისი ქცევითა და ურთიერთობებით მაგალითს იძლეოდა, როგორი უნდა იყოს პედაგოგი, მეცნიერი, კოლეგა. სადიპლომო ნაშრომის დასრულების შემდეგ, ასპირანტურაში სწავლა ქალბატონი მანანას ხელმძღვანელობით გავაგრძელე. მას საოცარი მეცნიერული ალღო გააჩნდა და ისეთი საკვლევი პრობლემატიკა შემირჩია, რომ კონსერვატორიის დამთავრების შემდეგ, კვლევის გაგრძელების შესაძლებლობა მომეცა არჩეული მიმართულებით.

ქალბატონ მანანასთან ძალიან ახლო უთრიეთობამ საშუალება მომცა გამეცნო იგი არა მხოლოდ როგორც ურთგულესი და თავდადებული მასწავლებელი და სამეცნიერო ხელმძღვანელი, არამედ როგორც ძალიან მოსიყვარულე მეუღლე, დედა, შვილი. გაოცებული ვრჩებოდი მისი უნარით ყველასთვის დაეთმო დრო, გაენაწილებინა ყურადღება და სითბო, იმგვარად, რომ ეგრძნობინებინა, რომ შენ ხარ მისთვის ყველაზე მთავარი. როდესაც ოჯახით გრიბოედოვის ქუჩაზე გადმოვდა საცხოვრებლად და ტიციანის სახლ-მუზეუმში დავდიოდი მასთან სამეცადინოდ, ორმაგად ბედნიერი ვიყავი. ურთიერთობის საშუალება მეძლეოდა ქალბატონ ნიტასთან, რომელსაც ხელჩაკიდებულს მივყავდი თავისი ოთახისკენ და საინტერესო ისტორიებს მიამბობდა ხოლმე. ამ სახლში სუფევდა საოცარი იდილია და სიამტკბილობა. ერთმანეთის მიმართვებში ულევი სიყვარული და მოფერება იგრძნობოდა, „ნიტიკო“, „გივიკო“, „მანანიკო“, „თათიკუნა“. ამ სითბოს და სიყვარულის წყარო მხოლოდ ქალბატონი მანანა იყო.

კონსერვატორიაშიც ყველას იმედი და დასაყრდენი ქალბატონი მანანა იყო. იგი ყოველთვის პოულობდა გამოსავალს რთული და დაძაბული მდგომარეობიდან. შეეძლო უმტკივნეულოდ სიტუაციის განმუხტვა. თავად უაღრესად კეთილსინდისიერ ადამიანს გააჩნდა ადამიანების ნდობა, კოლეგების და სტუდენტების პატივისცემა და სიყვარული და იგი იგივეს იღებდა სხვებისგანაც საპასუხოდ. სევდანარევი ღიმილით ვიხსენებთ მუსიკის თეორიის კათედრის სხდომებს, სადაც წამოჭრილი პრობლემური საკითხის გადაწყვეტას ქალბატონ მანანას (ხშირად მისგან უკითხავად), გადავაბარებდით ხოლმე და ვიტყოდით, მანანას ვუთხრათ... და შვებით ამოვისუნთქებდით, ვიცოდით, რომ ეს პრობლემა მალე მოგვარებული იქნებოდა. კონსერვატორიასა და სტუდენტებზე თავდაუზოგავ, გამუდმებულ ზრუნვაში გაატარა მთელი ცხოვრება. მძიმე ავადმყოფობის დროსაც კი არ შეუწყვეტია მათზე ფიქრი და მზრუნველობა. არასოდეს დამავიწყდება ქალბატონი მანანას დიდი სიხარულითა და იმავდროულად ღრმა სევდით სავსე სიტყვები, როცა სვიმონ ჯანგულაშვილის სადიპლომო დისეტრაციის წარმატებული დაცვის შესახებ შევატყობინე: „თათიკუნა, საყვარელო, შენ ხომ ჩემი პირველი მერცხალი იყავი, სიმონი კი ბოლოაო“. სვიმონი მართლაც მისი უკანასკნელი მოსწავლე აღმოჩნდა. ქალბატონი მანანა იყო მაგალითი სრულყოფილების, სიკეთის, სისპეტაკის, სიმშვიდის, კეთილსინდისიერების. მისდამი უდიდესი მადლიერება, სიყვარული, გულისტკივილი არასოდეს გამინელდება და როგორც მის მოსწავლეს, მის აღზრდილს პასუხისმგებლობას მაკისრებს ვისწრაფო ისეთი სრულყოფისკენ, როგორიც თავად ქალბატონი მანანა იყო.

**კახა ცაბაძე:**

— მანანა ანდრიაძე — ეს სახელი ჩემთვის სინათლის, სიკეთის, საკუთარი ქვეყნისა და ხალხის უზომო სიყვარულის, დიდი პროფესიონალიზმის, ინტელიგენტობის მოკრძალების, თავდადების, მომავალ თაობათა ზრუნვის და ტკივილის თმენის სიმბოლოა. მანანა ანდრიაძეს მუსიკის მკლევართა შორის გამორჩეული ადგილი უკავია. მის სახელთანაა დაკავშირებული საეკლესიო მუსიკის კათედრის დაარსება თბილისის კონსერვატორიაში და სასულიერო მუსიკის მკვლევართა თაობების აღზრდა. რაც შეეხება ადამიანურ თვისებებსა და ღირსებებს, პირადად სულიერი გაჭირვების ჟამს ჩემს თავზე მაქვს გამოცდილი იმ დროისათ-

გაგრძელება მე-10 გვერდზე



## განცხადებები

● სასწრაფოდ იყიდება ბინა მდებარე მოსკოვის გამზირზე ახლადაშენებულ 11-სართულიან კორპუსში, მე-9 სართულზე, 55 მკვ აივნით და კარგი ხედით, ფასი შეთანხმებით. ტელ: 599191967 გელა.

● მკურნალობა ძვალ-სახსართა ნებისმიერ პრობლემაზე, კოქსართროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოქონდროზის, ართრიტების და ა.შ. დაზიანებული და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, ტკივილის მოხსნა, ასევე წონის დაკლება 5-15 კგ თვეში, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება, მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენებების გარეშე, 100%-იანი შედეგით. ტელ: 558-156-333; 218-46-08 ექიმი ქ-ნი ნინო.

● ცხადდება მიღება მასაჟისა და კოსმეტოლოგიის კურსებზე, დამთავრების შემდეგ გაიცემა სერთიფიკატი. ხელმძღვანელი ექიმი გულიკო ჩიკვილაძე. ტელ: 2-96-67-03; 595-35-64-13.

● ფოტოსურათით მოგიხსნით: ალკოჰოლსა და აზარტულ თამაშებზე დამოკიდებულებას, პათოლოგიურ სიმთვრალეს, აგრესიას, აკვიატებულ აზრებსა და ქმედებებს, ეჭვიანობას, თვითმკვლელობის სურვილს, უიმედობას, ჩაკეტილობას, დაძაბულობას, აფორიაქებას, სევდას, ნაღველს, მელანქოლიას, დეპრესიას. ვმუშაობ ბავშვებზეც. გამოცდილება 35-წლიანი, შედეგი გარანტირებული, გიწვევთ სკეპტიკოსებსაც და იმედგაცრუებულებსაც. მის: წერეთლის 57, II სად, II სართული. ოფისი 7. მიღება 12-დან 15 სთ-მდე, გარდა შაბათ-კვირისა. შპს „იადიგარ დაუდის“ დირექტორი ნანა ქიბროწაშვილი. ტელ: 599-498-423 კონსულტაცია უფასოა.

● გახდომა-გასუქება 5-15 კგ თვეში, სიმაღლეში ზრდა 5-25 წლამდე მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენებების გარეშე. ტელ: 599-96-44-94; 218-46-08 (ოფისი), ექ. ქ-ნი სალომე.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571720311– ქ-ნი მარიამი.

● მხოლოდ მცენარეულ, ბუნებრივ მასალებზე დამზადებული თოდუების საგვარეულო წამლებით ვკურნავ კანის უამრავ დაავადებას: გამონაყარს (ჩირქოვანსაც), ნაოჭებს, ლაქებს, სებორეას, ეგზემას, სოკოს, მათ შორის ფრჩხილის სოკოს, დახეთქილ ქუსლებს, მაზოლებს, მეჭეჭებს, ქერტლს, ჰაიმორიტი იკურნება 10 დღეში, ვაჩერებ თმის ცვენას. ვკურნავ მასტიტს. თოდუების საგვარეულო წამლით გაგეწმინდებათ ორგანიზმი, ალაგდება ყველა ანთებითი პროცესი. შეგიძლიათ მომმართოთ გინეკოლოგიური პრობლემების მქონე ქალბატონებმაც. მის.: ოთარ ჭილაძის ქ.№166, №10 კორპუსის წინ და №1 კორპუსის უკან. 230 62 52; 599 16 10 82. ლამარა თოდუა.

● ძვალ-სახსართა პრობლემების მოგვარება, ტკივილების მოხსნა, ხრტილის აღდგენა, ოსტეოქონდროზი, კოქსართროზი, ოსტეოპოროზი, მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციებ სახრებზე ძვლის მკვებავებით. ტელ: 577-29-37-41; 247-58-83.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78 ქეთევანი.

● გახდომა 5-20 კგ-მდე დიეტის გარეშე, გასუქება 2-5 კგ თვეში, 3-ჯერადი კვებით, უვნებლად, მადის დარეგულირებით, შედეგის 100%-ით მუდმივად შენარჩუნებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ქ-ნი ქეთევანი 599-90-54-78; 234-02-38.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობით, წვის, ტკივილი შარდვისას, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 577-29-37-41; 234-02-38 ქეთი.

● ქალბატონებო! დიდუბეში, აგლაძის 67-ში შეგიძლიათ ბამბის, მატყლის გაჩეჩა საბან-ლეიბების განახლების მიზნით. საბან-ლეიბებს შეგიკერავთ პროფესიონალი მკერავი. განახლებული ლოგინი ჯანმრთელობისთვის სასარგებლოა. ტელ: 235-15-96.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (გახშირებული, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი ენურიზი ბავშვებში და მოზრდილებში) მკურნალობა უნიკალური მცენარეული პრეპარატებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-25-44-14; 218-48-99 ექიმი ქ-ნი მზია.

● ალკოჰოლიზმისგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნევროზების, შიშების, უძილობის, დეპრესიის მკურნალობა, ორგანიზმის გაწმენდა მცენარეული პროდუქციით, შედეგები 100%-იანია. ტელ: 599-25-44-14; 218-48-99 ექიმი ქ-ნი მზია..

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სწრაფი გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება, ღვიძლის ფუნქციის აღდგენა. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგით. ტელ: 558-96-89-15; 218-14-90 ექიმი, ქ-ნი მეგი.

● მამაკაცებისათვის: იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, უნებლიე შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი შარდვისას. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგებით. ტელ: 558-96-89-15; 218-14-90 ექიმი, ქ-ნი მეგი.





**ფოთისა და ხობის მიტროპოლიტ გრიგოლის კურთხევით 2009 წლის ივლისიდან მიმდინარეობს ხობის მონასტრის უძველესი ტაძრის სარესტავრაციო-აღდგენითი სამუშაოები**

თუ გსურთ, მიიღოთ მონაწილეობა მიმდინარე სამუშაოების განხორციელებაში, დარეკეთ ყველა მობილური ოპერატორიდან და ქალაქის ფიქსირებული ქსელებიდან ნომერზე: 0-901-900-900.

ზარის ღირებულება - 1 ლარი.

**იცხოვრეთ მომავალისთვის. უფალი გფარავდეთ ყველგან და ყოველთვის**




**საბანკო რეკვიზიტები:**

ფოთისა და ხობის ეპარქია, ს/ნ 215 090 425
ხობი, სოფ.ნოჯიხევი
ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტერი.
ს.ს. „ლიბერთი ბანკის“ ხობის ფილიალი
ბ/კ: LBRTGE22
ანგ. N GE28LB 0122 1802 48686 000



თანხის ჩასარიცხად შეგიძლიათ გამოიყენოთ სწრაფი გადახდის აპარატები: იხილეთ მენიუში — სხვადასხვა — საქველმოქმედო — ხობის მონასტერი.

ხობის ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტრის წინამძღვარი იღუმენია ანა (მუსელიანი)

# ფავორიტები იოლად იგებენ

### შსს – ქუთაისი 64:75
**(15:18; 16:20; 18:15; 16:22)**

საინტერესოდ წარიმართა სუპერლიგის გასული სეზონის ჩემპიონის – „შსს-აკადემიასა“ და „ქუთაისის“ დაპირისპირება, რომელიც იმერული გუნდის 11-ქულიანი უპირატესობით – 75:64 დასრულდა. მიუხედავად იმისა, რომ აკადემიელებს, წინა სეზონისგან განსხვავებით, მიმდინარე ჩემპიონატში ლეგიონერები არ ჰყავთ, ჩემპიონატის ერთ-ერთ ფავორიტ „ქუთაისს“ ღირსეული ბრძოლა გაუმართა.

ქუთაისურ გუნდში კალათბურთელთა ბირთვი რამდენიმე წელია ერთად თამაშობს და, ზოგადად, იმერული კლუბი ჯერჯერობით უკეთესად გამოიყურება. სტუმრებმა უკეთ დაიწყეს და ლიდერობას დაეპატრონნენ. „შსს-აკადემიამ“ იოლად არაფერი დათმო და მეტოქეს შორს არ უშვებდა. პირველი მეოთხედი ქუთაისელებმა მხოლოდ 3 ქულის სხვაობით მოიგეს, ხოლო დიდ შესვენებამდე უპირატესობა 7-მდე გაზარდეს – 38:31.

დრაგან პეტრიჩევიჩის გუნდის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მიუხედავად ჩამორჩენისა, მესამე პერიოდში აკადემიელებმა დაწინაურება მოახერხეს. მერაბ ბოქოლიშვილის, დავით უგრეხელიძის, ბექა ჩიკვილაძისა და ილია ლონდარიძის ქულებით მესამე პერიოდის მე-3 წუთზე აკადემიელები 41:40 გალიდერდნენ.

ქუთაისელებისთვის ეს განგაშის ზარივით იყო. მალხაზ კოხრეიძის გუნდმა თამაშის ტაქტიკა შეცვალა – საიმედო დაცვით მეტოქის სწრაფი შეტევები ალმოფხვრა, თავად კი შეტევაში იხეირა. ავთანდილ ლომინაშვილმა და დავით ბარბაქაძემ აღნიშნულ მომენტში შედეგიანობა გამოავლინეს, რითაც „ქუთაისმა“ ლიდერობა დაიბრუნა და გადამწყვეტ მეოთხედს 4-ქულიანი ლიდერობით შეხვდა – 53:49.

ბოლო პერიოდში იმერული კლუბის ლიდერობა 10 ქულის ფარგლებში მერყეობდა, თუმცა შსს უკანასკნელ შანსს ებღაუჭებოდა და შეხვედრის დასრულებამდე 3 წუთით ადრე ჩამორჩენა ხუთამდე შეამცირა – 61:66. პეტრიჩევიჩის გუნდს პასუხი ზაურ ფაშაევმა სამქულიანით გასცა, რასაც გიორგი ბარბაქაძის ორიანი და ქუთაისელთა 10 ქულით დაწინაურება მოჰყვა. ყველაფერიც აქ გაირკვა – იმერლებმა მორიგი გამარჯვება იზეიმეს.

ქუთაისელთა შორის 22 ქულით საუკეთესო აკაკი დვალიშვილი გახლდათ. 16 დააგროვა დავით ბარბაქაძემ, ხოლო 11 – მისმა ძმა გიორგიმ. „შსს-აკადემიაში“ 14-14 ქულა სამმა კალათბურთელმა დააგროვა – ჩიკვილაძემ, ლონდარიძემ და ბოქოლიშვილმა.

*მატჩის შემდეგ*

**დრაგან პეტრიჩევიჩი, შსს აკადემიის მთავარი მწვრთნელი:**

– ვულოცავ „ქუთაისს“ დამსახურებულ გამარჯვებას. როგორც წინასამატჩო პრესკონფერენციაზე აღვნიშნე, შეცდომების რაოდენობამ გადაწყვიტა თამაშის ბედი. გადამწყვეტ მომენტში, როცა თამაში უნდა შემოგვეტრიალებინა, მაშინ დავუშვით შეცდომები და ბევრი შანსი გავუშვით ხელიდან.

**მედეა მხეიძე, ქუთაისის მწვრთნელი:**

– თამაშისგან მეტს ველოდებით, თუმცა ბათუმში საკმაოდ სერიოზული მატჩის შემდეგ ბიჭებს არ ეყოთ დრო, მთლიანად მოეხდინათ ძალების აღდგენა. ძირითადი მოთამაშეები შედარებით სუსტად გამოიყურებოდნენ. ეს არ იყო ის სწრაფი თამაში, რომელსაც „ქუთაისი“ აჩვენებს ბოლო პერიოდში. მაგრამ, რაც მთავარია, გადამწყვეტ ბოლო ათწუთეულში კონცენტრირებულად ვითამაშეთ დაცვაში და გავიმარჯვეთ.

### ოლიმპი – არმია 73:96
**(22:23; 8:31; 18:22; 25:20)**

ცენტრალური შეხვედრა არმიასა და ოლიმპს შორის ლოგიკურად დასრულდა – არმიელებმა 96:73 დაამარცხეს მეტოქე და წაუგებელი სერია გააგრძელეს.

მატჩის საწყის მეოთხედში „ოლიმპი“ მხოლოდ 1 ქულით (22:23) ჩამორჩა მეტოქეს, თუმცა მეორე მეოთხედში ოლიმპელებმა მხოლოდ 8 ქულა ჩააგდეს (არმიამ – 31) და მატჩსაც ყველანაირი ინტერესი დაეკარგა. მოპოვებული უპირატესობა „არმიამ“ მეორე ტაიმშიც უპრობლემოდ შეინარჩუნა და საბოლოოდ 21 ქულით იმარჯვა.

ოლიმპელებს 18 ქულა ნოდარ გოგოძემ შესძინა, 17 ქულა დააგროვა გიორგი ხაჩიაშვილმა, ხოლო ორმაგ დუბლი ( 12 ქულა, 10 მოხსნა) რევაზ ათანელიშვილის ანგარიშზეა. გამარჯვებულ გუნდში 16-16 ქულით ქულით გიორგი შარაბიძე და გიორგი ჯგერენაია გამოირჩნენ, 15 ქულა მითვალა ზვიად ბაბიაშვილმა, რომელსაც ორმაგ დუბლამდე 1 მოხსნა დააკლდა.

**დავით თორთლაძე, ოლიმპის მთავარი მწვრთნელი:**

– ძნელია კომენტარის გაკეთება, როცა გუნდი 24 მოხსნით აგებს. მეტოქეს ფარზე დიდი უპირატესობა ჰქონდა და შედეგი ლოგიკური იყო. წლევანდელი შემადგენლობა სრულიად განსხვავდება შარშანდელისგან, აქცენტს ახალგაზრდებზე ვაკეთებთ. იმედია, მოვახერხებთ შეცდომების გამოსწორებას და უშუალო კონკურენტებთან წარმატებებს მივაღწევთ.

**კოტე ტუღუში, არმიის მთავარი მწვრთნელი:**

– სასიხარულოა, რომ კიდევ ერთი გამარჯვება მოვიპოვეთ. ეს გუნდისთვის სტიმულია. მომავალ ტურში „დინამოს“ ვხვდებით, რომელიც ერთ-ერთი ლიდერია და ჩემპიონობის მთავარი პრეტენდენტია. ამ თამაშისთვის მოსამზადებლად საკმარისი დრო გვაქვს და ვეცდებით, დღევანდელი შეცდომები გამოვასწოროთ მომავალი შეხვედრისთვის. დღეს მეორე ტაიმში ბევრი შეცდომა დავუშვით, არასწორი კალათბურთი ვითამაშეთ და ამაზე პასუხისმგებლობას ჩემს თავზე ვიღებ.

### მაქაბი – დინამო 61:95
**(9:27; 9:26: 19:21; 24:21)**

არათანაბარ მეტოქეთა მატჩი ჩემპიონობის ერთ-ერთი კანდიდატის, „დინამოს“ გამარჯვებით დასრულდა – 95:61.

პირველი და მეორე მეოთხედები ძალიან ჰგავდა ერთმანეთს. „დინამომ“ საწყისი პერიოდი 27:9 მოუგო „მაქაბის“, მეორეში კი 26:9 იმარჯვა. შესაბამისად, დიდი შესვენებისთვის ირაკლი ხოშტარიას გუნდი 53:18 იგებდა. გამარჯვებულის ვინაობა ყველასთვის ცნობილი იყო, დარჩენილ დროში „მაქაბის“ ახალგაზრდებმა სათამაშო პრაქტიკა მიიღეს, ხოლო დინამოელებმა, რომლებსაც უფრო შორსმიმავალი გეგმები აქვთ, სათამაშო კომპონენტები და კომბინაციები დახვეწეს.

მესამე მეოთხედში „დინამომ“ თავის ისედაც უზარმაზარ ლიდერობას 2 ქულაც შემატა და ბოლო პერიოდში მოდუნდა. „მაკაბიმ“ დასკვნითი 10-წუთეული 24:21 მოიგო, თუმცა 34-ქულიან მარცხს ვერ ასცდა.

დინამოელებს სერბმა მილოშ პესიჩმა ულიდერა, რომელმაც თავი 20 ქულას მოუყარა. 16-16 ქულა დააგროვეს ბესო ლეჟავამ და ქიენ კარტერმა. სტევან მილოშევიჩის ანგარიშზე კი 12 ქულა დაგროვდა. „მაქაბიში“ ყველაზე შედეგიანი, 21 ქულისა და 11 მოხსნის მიმთვლელი გიორგი ფერიაშვილი გახლდათ, ლევან რევაზიშვილმა კი პირად ანგარიშზე 14 ქულა ჩაიწერა.

**ჯამლეტ ხუხაშვილი, „მაქაბის“ მთავარი მწვრთნელი:**

– ვულოცავ „დინამოს“ დამსახურებულ გამარჯვებას. შედეგი ლოგიკური და რეალურია. დინამოელები „არმიასთან“ ერთად ჩემპიონობის მთავარი კანდიდატია. მე ყოველთვის „დინამოს“ გულშემატკივრად ვრჩები. რაც შეეხება დღევანდელ შეხვედრას, რევაზიშვილს არ წაუვიდა თამაში, თუმცა დღეს ჩვენ ისედაც განწირულები ვიყავით. ჩვენმა თამაშმა მისცა მეტოქეს საშუალება, ყველას ეთამაშა, მეორე ხუთეულიც ნამდვილად კარგ ფორმაშია. გვაკლდა მაიზერ რევაზიშვილი, ერთ-ერთი ყველაზე პერსპექტიული კალათბურთელიც. ვულოცავ კიდევ ერთხელ „დინამოს“. როცა რევაზიშვილები დაგვემატებიან, იმედია, უფრო მედგარ წინააღმდეგობას გავუწევთ მეტოქეებს.

**ირაკლი ხოშტარია, „დინამოს“ მთავარი მწვრთნელი:**

– მადლობ „მაქაბის“, რომელმაც ბოლომდე იბრძოლა. ჩვენ დღეს ფავორიტები ვიყავით. შევეცადე, ყველას ეთამაშა, ძირითადად ახალგაზრდებს მივეცით დრო. ამით უპირატესობა შედარებით გავანიავეთ, თუმცა ეს არ არის მთავარი. ვფიქრობ, „მაქაბი“ რევაზიშვილების დამატების შემდეგ კიდევ უფრო კარგ თამაშს აჩვენებს.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 1.არმია | 5 | 5 | 0429:311 | 10 |
| 2.ქუთაისი | 5 | 4 | 1458:344 | 9 |
| 3.დინამო | 4 | 4 | 0357:279 | 8 |
| 4.შსს | 4 | 2 | 2291:287 | 6 |
| 5.ბათუმი | 4 | 2 | 2346:337 | 6 |
| 6.ოლიმპი | 4 | 1 | 3314:345 | 5 |
| 7.მაკაბი | 5 | 0 | 5344:511 | 5 |
| 8.რუსთავი | 4 | 0 | 4224:351 | 4 |
| 9.სოხუმი | 3 | 1 | 2198:196 | 4 |

# 19-წლამდელები მოგებით იწყებენ

### საქართველო – უელსი 5:1
**თბილისი. მიხეილ მესხი**

**1:0 პაპუნაშვილი (22), 2:0 ჯიქია (26), 3:0 გურეშიძე (43), 4:0 ჯიქია (56) 5:0 ცინცაძე (61), 5:1 ოსალივანი (86)**

**საქართველო**: ქურდაძე, კაკაბაძე, გურეშიძე, ჭანტურია, თევზაძე, ცინცაძე, აბურჯანია, პაპუნაშვილი (შენგელია 66), ჯიქია (კერძევაძე 62), კიკაბიძე, ზარანდია (ახვლედიანი 77)

**უელსი**: ობრაიანი, უიკჰემი, ჯონი, რ.ევანსი, იორვერსი (ქროუ 60), დევისი, ჯ.ევანსი, შიჰენი (უიკსი 73), რიდი (ჯონსი 73), ოსალივანი, უილიამსი

**გაძევება**: ობრაიანი (58)

საქართველოს 19-წლამდე ნაკრებმა ევროშესარჩევის საკვალიფიკაციო ეტაპი დამაჯერებელი თამაშითა და გამარჯვებით დაიწყო.

მიხეილ მესხის სტადიონზე მოსულმა მცირერიცხოვანმა გულშემატკივარმა ვასილ მაისურაძის გუნდის შესრულებით ულამაზესი გოლები და ის თამაში იხილა, რომელიც ქართველებს განსაკუთრებულად გვიყვარს და გვხიბლავს.

ბევრი საგოლე მომენტი და არაერთი დასამახსოვრებელი ეპიზოდი, ყველა სათამაშო რგოლის შეთანხმებული, მობილიზებული მოქმედება, მაქსიმალური კონცენტრაცია და ბრძოლა ბოლო წუთამდე – ამ ყველაფრის ერთობლიობამ მიიყვანა საქართველოს ნაკრები სასურველ და საჭირო გამარჯვებამდე.

ჩვენი ნაკრების სამწვრთნელო შტაბი უელსის ნაკრების შესახებ მწირ ინფორმაციას ფლობდა და ამიტომ ვასილ მაისურაძე განსაკუთრებით ფრთხილობდა, თუმცა, მატჩის პირველივე წუთებიდან გამოჩნდა, რომ უელსელები დიდხანს ვერ გაგვიძლებდნენ და ასეც მოხდა.

პირველ გოლამდე ქართველებმა რამდენიმე ასპროცენტიანი მომენტი შექმნეს და მისი რეალიზება როგორ ვერ მოახერხეს, გასაკვირიც კია. განსაკუთრებით ეს, საბოლოო ჯამში, დუბლის შემსრულებელ ჯიქიაზე ითქმის, როდესაც ახალგაზრდა ფორვარდმა ცარიელ კარში გატანა ვერ მოახერხა.

ანგარიში გიორგი პაპუნაშვილმა გახსნა, რომელმაც სანდრო გურეშიძის შორეული გადაცემის შემდეგ მეკარე ობრაიანს ბურთი თავზე გადაუგდო. ამის შემდეგ დავით ჯიქიას ჯერ დადგა. უელსელთა მცველებისა და მეკარის შეცდომის შემდეგ საქართველოს ნაკრების მე-9 ნომერს დასწრებაზე თამაში და გოლის გატანა აღარ გასჭირვებია.

აღსანიშნავია სანდრო გურეშიძის პირველი გოლი ნაკრების რიგებში. გარდა იმისა, რომ მან დღეს საგოლე პასიც მიითვალა, ამ ნაკრების შემადგენლობაში თავისი პირველი გოლი გაიტანა.

ულამაზესი ეპიზოდი იყო დავით ჯიქიას მეორე გოლი. ნაკრების ფორვარდმა ბურთი მეტოქის საჯარიმოში მიიღო, მცველს თავზე გადაატარა და ძირს დაუშვებლად დაარტყა – 4:0.

ძალიან ლამაზი გამოდგა მეხუთე გოლიც, რომელიც მათე ცინცაძის ანგარიშზეა. საჯარიმოს გარეთ ხელით თამაშისთვის უელსელთა მეკარის გაძევების შემდეგ საჯარიმო დარტყმა ნაკრების საყრდენმა უზადოდ შეასრულა და ანგარიში ხუთამდე გაზარდა.



უელსელებმა ერთი ბურთის გატანა მატჩის მიწურულს შეძლეს. ოსალივანმა ჩვენი ნაკრების კარი არანაკლებ ლამაზი საჯარიმო დარტყმით აიღო.

ჯგუფის მეორე მატჩში ჰოლანდიელებმა მხოლოდ მეორე ტაიმში შეძლეს მოლდოველთა წინააღმდეგობის გატეხა და 3:0 გაიმარჯვეს. ასე რომ, პირველი ტურის შემდეგ ცხრილის პირველ ადგილზე ბურთების უკეთესი სხვაობით საქართველოს ნაკრებია და მეორეზე – ჰოლანდია.

15 ნოემბერს მიხეილ მესხის სტადიონზე საქართველოს ნაკრები მოლდოვას დაუხვდება. მატჩი კვლავ დღის 14:00 საათზე დაიწყება და დასწრება კვლავ უფასო იქნება, 15:00 საათიდან კი „დინამო არენაზე“ ერთმანეთს უელსი და ჰოლანდია შეხვდებიან.

# ზუგდიდში ახალი მწვრთნელი და ახალი ვნებათაღელვაა

საფეხბურთო კლუბი „ზუგდიდი“ დატოვა მთავარმა მწვრთნელმა კობა წიტაიშვილმა. ამის მიზეზად კლუბში არსებული არაჯანსაღი სიტუაცია დაასახელა, რასაც რამდენიმე ფეხბურთელი და გულშემატკივარიც დაეთანხმა, რომლებიც თანამდებობიდან დირექტორ მალხაზ ჭეჟიას გადადგომას ითხოვდნენ. ჭეჟიას აზრით, ბოლო დროს საფეხბურთო კლუბის ირგვლივ განვითარებული მოვლენები სპორტს გასცდა და პოლიტიკური ელფერი შეიძინა.

ამის შესახებ მან ზუგდიდში გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა და კლუბის საქმიანობაში უხეშ ჩარევაში ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ხელმძღვანელი ლევან კონჯარია დაადანაშაულა.

**მალხაზ ჭეჟია:**

– ის, რაც ხდება დღეისათვის საფეხბურთო კლუბ „ზუგდიდის“ გარშემო, პირდაპირ ვაცხადებ, რომ არის უხეში ჩარევა ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მხრიდან, რომელმაც ცალსახად მიიღო გადაწყვეტილება ერთი ჯგუფის სასარგებლოდ. კერძოდ, რამდენიმე დღის წინ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოში გაიმართა ვითომ სამუშაო შეხვედრა ფეხბურთის ზოგიერთ წარმომადგენელთან და ამ შეხვედრაში, როგორც ირკვევა, შეთანხმება მოხდა ერთ თემაზე – მე, მალხაზ ჭეჟია, გამათავისუფლეს დაკავებული თანამდებობიდან. მინდა ღიად განვაცხადო, აბსოლუტურად მზად ვარ, დღესვე დავტოვო დირექტორის პოსტი და არანაირი პრობლემა არა მაქვს, უხეშად, რომ ვთქვათ, არც ვებღაუჭები ამ თანამდებობას, მაგრამ კარგად ვიცი, რისთვის ხდება ეს ყველაფერი. ეს არ დაწყებულა ორი დღის წინ ანუ ამ თემაზე სპეციალური ჯგუფი მუშაობდა კარგა ხანია. უბრალოდ, ერთი რამ გამკვირვებია: ლევან კონჯარიამ დამირეკა და მითხრა, თუ მე დავაბრუნებდი მწვრთნელს, კობა წიტაიშვილს გუნდში, ყველანაირი არსებული გაუგებრობა ჩემსა და საკრებულოს შორის დასრულდებოდა, რაზეც მაშინვე მიიღო ჩემგან უარი. ამის შემდეგ, ეტყობა, დღის წესრიგში დადგა ჩემი გათავისუფლების საკითხი. პირდაპირ ვეუბნები ლევან კონჯარიას და მივმართავ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს, თუ თავს არ დაანებებენ უხეშ ჩარევას საფეხბურთო საქმიანობაში, იძულებული გავხდებით, ფიფა-უეფას წესდებით ვისარგებლოთ და ძალიან უხერხულ მდგომარეობაში აღმოჩნდება თვითმმართველი ორგანო. რაც შეეხება მწვრთნელის საკითხს, კობა წიტაიშვილმა თავად განაცხადა გუნდიდან წასვლის თაობაზე და გასაკვირია, რომ ახლა დაბრუნებას ითხოვს, თან ადგილობრივი ხელისუფლების ჩარევით. აქ ხომ ყველაფერი ნათელია. საუბარია მათი მხრიდან პირდაპირ არა გუნდის მომავალზე, არამედ საფეხბურთო სტრუქტურაში მათთვის სასურველი ჯგუფის განთავსებაზე. იმ ფორსმაჟორულ სიტუაციაში, რომელშიც ჩვენი კლუბი იმყოფება მიმდინარე საფეხბურთო სეზონზე და აწ უკვე ყოფილი მწვრთნელის კობა წიტაიშვილის წასვლის შემდეგ, გუნდი აუცილებლად საჭიროებდა ცვლილების განხორციელებას, რაც ერთობლივად განვახორციელეთ კიდეც და დაინიშნა გუნდის მწვრთნელ-კონსულტანტად სერგო გაბელაია. მივესალმები ბატონი სერგოს ჩვენს გუნდში მოსვლას. მისი საფეხბურთო საქმიანობა მაძლევს იმის ოპტიმიზმს, რომ ერთად დგომით შეძლებს ჩვენი გუნდის კრიზისიდან გამოყვანას.

**სერგო გაბელაია:**

– პირველ ყოვლისა, ყველას მინდა მადლობა გადავუხადო გულთბილი მიღებისთვის და „ზუგდიდის“ ხელმძღვანელობას ნდობისთვის. არ მინდა, ჩემს საქმიანობაზე საუბრით გადაგღალოთ, თუმცა ერთს ვიტყვი – სამწვრთნელო კარიერაში 21-წლიანი მუშაობისას არაერთ სიტუაციაში მომიწია ყოფნა. ის სიტუაცია მაქვს მხედველობაში, რომელშიც ამჟამად „ზუგდიდია“. ასეთი მდგომარეობიდან არაერთი გუნდი გამოგვიყვანია ერთად დგომით და მაგალითისთვის გამოდგება 90-იან წლებში თელავის „კახეთი“, რომელსაც პირველ წრეში მოგება არ ჰქონდა და უმაღლეს ლიგაში დარჩა, ცხინვალის „სპარტაკს“ სამი წლის წინ სამი ქულა ჰქონდა და იქაც უკეთესობისკენ დავძარით საქმე, ფოთის „კოლხეთი“ შვიდი წლის წინ ცხრილის ფსკერზე იყო და იმავე სეზონს ხუთეულში გავიდა. დანარჩენს საქმე გვიჩვენებს და მინდა, კიდევ ერთხელ ხაზი გავუსვა, რომ აქაური პოტენციალი მაძლევს საბაბს ვიფიქრო, რომ „ზუგდიდი“ უმაღლეს ლიგაში აუცილებლად დარჩება.

## შედეგები

**ფეხბურთი**

**ბრაზილია. სერია ა**

| | |
|---|---|
| გოიასი-პონტე პრეტა | 2:0 |
| გრემიო-ვასკუ | 1:0 |
| ბოტაფოგო-პორტუგეზა | 0:0 |
| კრისიუმა-ატლეტიკო(პ) | 2:1 |
| ვიტორია-კრუზეირო | 1:3 |
| კურიტიბა-კორინთიანსი | 0:1 |
| სან პაულუ-ფლამენგო | 2:0 |

**კალათბურთი**

**ნბა. რეგულარული სეზონი**

| | |
|---|---|
| ორლანდო-მილუოკი | 94:91 |
| ზაზა ფაჩულიას არ უთამაშია | |
| ფილადელფია-ჰიუსტონი | 123:117 |
| ბოსტონი-შარლოტი | 83:89 |
| ატლანტა-ნიუ იორკი | 91:95 |
| მემფისი-ტორონტო | 87:103 |
| მინესოტა-კლივლენდი | 124:95 |
| სან ანტონიო-ვაშინგტონი | 92:97 |
| დენვერი-ლეიკერსი | 111:99 |
| იუტა-ნიუ ორლეანი | 111:105 |
| პორტლენდი-ფინიქსი | 90:89 |
| საკრამენტო-ბრუკლინი | 107:86 |
| კლიპერსი-ოკლაჰომა | 111:103 |

**ჰოკეი**

**ნჰლ. რეგულარული სეზონი**

| | |
|---|---|
| მინესოტა-ტორონტო | 1:1(1:0ბ) |
| პიტსბურგი-ფილადელფია | 1:2 |
| ედმონტონი-დალასი | 0:3 |

*მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა*

# „კურთხეული გაზაფხული“ ევროპის სახლშია

ეკა ირემაშვილი

**16 ნოემბერს ევროპის სახლში ხათუნა მზარელუა მორიგ ლექციებას გამართავს, რომელიც ეწყობა ციკლის „ერთი და მრავალსახოვანი ევროპა XX და XXI საუკუნეების ბალეტის ფონზე“ ფარგლებში. მორიგი საღამო ეძღვნება გასული საუკუნის ერთ-ერთ შედევრად აღიარებული ბალეტის „კურთხეული გაზაფხულის“ 100 წლისთავს.**

– გამოჩენილი რუსი კომპოზიტორის, იგორ სტრავინსკის მუსიკაზე შექმნილი ბალეტის პრემიერა, რომლის ქორეოგრაფიის ავტორიც ლეგენდარული მოცეკვავე ვაცლავ ნიჟინსკი გახლდათ, 1913 წლის 29 მაისს შედგა პარიზის ელისეს მინდვრების თეატრში. 8 წარმოდგენის შემდეგ, მაშინ სკანდალურად შერაცხული ბალეტი, რომლის დადგმასაც 120 რეპეტიცია დასჭირდა (როზიტა ბუასოს, ცნობილი ცეკვის კრიტიკოსის სიტყვებით), პროგრამიდან მოხსნეს. „კურთხეული გაზაფხულის“ ნიჟინსკისეული ვერსია 1987 წელს აღადგინა ამერიკელმა ქორეოგრაფმა ქალბატონმა მილისენტ ჰოდსონმა, რაშიც მას ცნობილი ინგლისელი მოცეკვავისა და პედაგოგის, მარი რამბერტის 1913 წლის სამუშაო მასალები დაეხმარა. 1913 წლიდან დღემდე „კურთხელი გაზაფხულის“ 150-ზე მეტი ვერსია შეიქმნა. მიჩნეულია, რომ ქორეოგრაფისთვის „კურთხეული გაზაფხულის“ დადგმა ურთულესი გამოცდაა, რომლის ჩაბარებასაც ყველა ხელოვანი ვერ ახერხებს, – განაცხადა ხათუნა მზარელუამ.

თუმცა საღამოს ავტორმა, ამჯერად, წინასწარ არ გაამხილა მის მიერ შერჩეული ქორეოგრაფები და „კურთხეული გაზაფხულის“ მათეული ორიგინალური ვერსიები, რომლებსაც 16 ნოემბრის საღამოზე დამსწრე საზოგადოება ნახავს.

– ეს პროექტი ხორციელდება ფრანგული ინსტიტუტის მხარდაჭერით. საგანგებო მადლობას ვუხდით ჟენევის დიდი თეატრის საბალეტო დასის დირექტორს, ბატონ ფილიპ კოენს ექსკლუზიური ვიდეომასალის უსასყიდლოდ გადმოცემისთვის, – ამბობს ლექციის ავტორი.

ღონისძიებაზე დასწრება თავისუფალია.

# მთაწმინდის პარკში ელექტრონული მუსიკის საღამო ჩატარდება

ეკა ირემაშვილი



16 ნოემბერს თბილისში მთაწმინდის პარკში ელექტრონული მუსიკის კონცერტი გაიმართება. მსმენელისთვის მოდესელექტორი დაუკრავს. ეს არის ბერლინში დაარსებული ელექტრო დუეტი, რომელიც თანამედროვე გერმანული ელექტრონული მუსიკის ერთ-ერთი გამორჩეული წარმომადგენელია. დუეტი ტომ იორკთან ერთად მუშაობდა. რედიოჰედის ვოკალისტი ამ დუეტს თავის ერთ-ერთ ფავორიტ ელექტრონულ ჯგუფად მოიხსენიებს.

უცხოელ მუსიკოსებს „თბილისი ოფენ ეარ 2013“-ზე უნდა დაეკრათ, თუმცა მათი გამოსვლა არ შედგა. როგორც ფესტივალის ორგანიზატორებმა განმარტეს, ვინც ფესტივალისთვის საგანგებოდ შეძენილ სამაჯურს შეინახავდა, ის ამ კონცერტზე აუცილებლად მოხვდებოდა.

ფესტივალი „თბილისი ოპენ ეარი“ ალტერვიძენ გროუპის მიერ 5 წლის წინ დაარსდა და ის საერთაშორისო მუსიკალური ფესტივალია, რომელიც ყოველწლიურად, ზაფხულობით, ღია ცისქვეშ ტარდება. ფესტივალში მონაწილეობენ როგორც დამწყები, ასევე პოპულარული ქართველი და უცხოელი მუსიკოსები. ფესტივალს ათასობით ვიზიტორი ჰყავს და ის ყოველ წელს სხვადასხვა ადგილებში ტარდება. წელს ფესტივალი მხოლოდ ერთ დღიანი იყო, დინამო არენაზე გაიმართა და მასზე დასასწრები ბილეთების ფასი 40-დან 200 ლარამდე მერყეობდა. ფესტივალის მთავარი სტუმარი ლეგენდარული „დიფ ფარფლი“ აღმოჩნდა. სტუმართა შორის იყო მოდესელექტორიც, თუმცა მათ 5 ივნისს კონცერტის ჩატარება ვერ შეძლეს. ამ დუეტის მუსიკალური სტილისტიკა საკმაოდ ფართოა და შეიცავს აიდიემ-ის, გლიტჩის, ელექტრო ჰაუსის და ჰიპ-ჰოპის ელემენტებს. დღეისათვის იგი თანამედროვე გერმანული ელექტრო სცენის ერთ-ერთ ყველაზე ნოვატორულ და თვალსაჩინო წარმომადგენლად არის მიჩნეული. დუეტი 2000 წელს დაარსდა და მას შემდეგ, რამდენიმე წარმატებული ალბომის გამოშვების გარდა, ბევრი საინტერესო პროექტიც.

დუეტი საქართველოში ევროპული ტურნეს ფარგლებში ჩამოვა. მათი საკონცერტო გრაფიკი 7 ნოემბერს მადრიდიდან დაიწყო, დენ ჰააგსა და ტორინოში გაგრძელდა, 16 ნოემბერს დუეტი უკვე თბილისში იქნება, ხოლო საქართველოდან ისინი უკვე ტოკიოში, ჰონგ კონგში, სინგაპურში, მუმბაიში და ნუი დელიში გაემგზავრებიან.

# საეკლესიო მუსიკის მკვლევარს წიგნს მიუძღვნიან

დასაწყისი მე-8 გვერდზე

ვის არც თუ ძალიან ახლობელი მანანა ანდრიაძის სიმართლის, ერთგულებისა და თანადგომის ნიჭი.

ქალბატონი მანანა ხომ დიდი ტიციანის შვილიშვილის, არაჩვეულებრივი პიროვნების, თავს უფლებას მივცემ და ვიტყვი, რომ ჩემი მეგობრის გივი ანდრიაძის მეუღლე გახლდათ და სწორედ მათი სათქმელია, „დავბადებულვარ, რომ ვიყო მონა და საქართველოს მედგას უღელი, მაშ, გამარჯვება, ტკბილო სიცოცხლევ, დავრჩებით ერთად ჩვენ განუყრელი!“ მანანა ანდრიაძის სახელი სამუდამოდ დარჩება ქართული კულტურის ისტორიაში.

– ქართული გალობა ჩვენი ერის სულიერი საგანძურია. უძველეს ხალხურ სიმღერასთან ერთად ქართული გალობა ქართველი ერის იდენტობის, ქართული კულტურის უნიკალობისა და ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობის ერთ-ერთი ყველაზე მეტყველი გამოხატულებაა. მადლიანია ყველა, ვინც თავდადებითა და ერთგულებით ემსახურება და ემსახურებოდა ამ საუნჯეს. ასეთი პიროვნება იყო ქალბატონი მანანა ანდრიაძეც. მის სახელს უკავშირდება ქართული გალობის პოპულარიზაციისთვის გაწეული მრავალმხრივი საქმიანობა. ქალბატონი მანანას ინიციატივითა და ხელმძღვანელობით თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიაში შეიქმნა ქართული გალობის მიმართულება და თვისობრივად ახალ საფეხურზე ავიდა ჩვენი საეკლესიო მუსიკის სამეცნიერო კვლევა. იგი ჩვენი საყვარელი სულიერი შვილი იყო, დახვეწილი, სულიერი არისტოკრატიზმითა და ამავე დროს ქართული სისადავით გამორჩეული ადამიანი. ასეთი პიროვნებები იცავდნენ და ქმნიდნენ ქართულ კულტურას, ისინი ღმერთის საჩუქარია ჩვენი ერისათვის. ღმერთმა აცხონოს ქალბატონი მანანა ანდრიაძის უკვდავი სული და დაამკვიდროს უფლის სიყვარულის მარადიულ სავანეში. ღმერთმა დალოცოს მისი ოჯახი და სრულიად საქართველო! – განაცხადა უწმინდესმა ილია მეორემ.

**გივი ანდრიაძე:**

– მანანას წლისთავი არის თებერვალში და მინდა 19 თებერვლამდე ეს წიგნი მქონდეს მზად. წიგნის რედაქტორია მარინა ქავთარაძე, მას უკვე გადავუგზავნე ჩემს ხელთ არსებული მასალები და სტამბასაც მოველაპარაკე, რომ დამიბეჭდონ.

***– რა სტილის წიგნის გამოცემას აპირებთ?***

– ეს იქნება მოგონებების წიგნი.

***– რამდენი ადამიანის მოგონებაა გაერთიანებული ამ წიგნში?***

– 50 ადამიანის მოგონება გვაქვს. ყველა გულით არის დაწერილი. ეს წიგნი იქნება გაფორმებული ფოტოებითაც. ამ წიგნში არიან კონსერვატორიის პროფესორ-მასწავლებლები, მანანას მეგობრები. გარედან არის მხოლოდ მერაბ ბერძენიშვილის მოგონება, დანარჩენი ყველა კონსერვატორიის წარმომადგენლები არიან.

***– თქვენ თუ შეძელით მოგონების დაწერა?***

– არა, მე არ დამიწერია, ძალიან მიძნელდება. ამ წიგნსაც დიდი წვალებით ვაკეთებ, მაგრამ ვიცი, რომ ეს აუცილებლად მე უნდა გავაკეთო.

***– წიგნს მცირე ტირაჟით დაბეჭდავთ?***

– 500 ცალი მინდა დავბეჭდო. კონსერვატორია აპირებს მანანას ხსოვნის საღამოს ჩატარებას და მსურს, ყველას დავურიგო. ფილმიც კი გავაკეთე მანანაზე და ამ წიგნში იდება დისკის სახით ეს ფილმიც. კონსერვატორიამ მწუხრის საღამოც ჩაატარა მანანასი და ამის ჩანაწერიც წიგნთან ერთად დისკის სახით იქნება წარმოდგენილი.

# მედეა ჯაფარიძის იუბილე ეროვნულ არქივში აღნიშნეს

დასაწყისი მე-12 გვერდზე



კინოჩვენების პარალელურად მოეწყო ექსპოზიცია, სადაც წარმოდგენილი იყო ფოტოები მხატვრული ფილმებიდან „ქალიშვილი გაღმიდან“, „კოლხეთის ჩირაღდნები“, „გიორგი სააკაძე“, „ჯურღაის ფარი“, „ქეთო და კოტე“, „მწვერვალთა დამპყრობნი“, „ეთერის სიმღერა“, „წარსული ზაფხული“, „იყო შაშვი მგალობელი“, „მზე შემოდგომისა“. დამთვალიერებელს შეეძლო ენახა სცენები სპექტაკლებიდან „მოკვეთილი“, „რომეო და ჯულიეტა“, „რიჩარდ მესამე“, „მარინე“, „მისი ვარსკვლავი“, „გიორგი სააკაძე“, „პიგმალიონი“, „ხეები ზეზეულად კვდებიან“, „იულიუს კეისარი და კლეოპატრა“, „ოქროს კაცი ბეწვის ხიდზე“, ასევე, ბიოგრაფიული ხასიათის ფოტოები.

მედეა ჯაფარიძე სიცოცხლის ბოლომდე მარჯანიშვილის თეატრის მსახიობი იყო. მისი კინოდებიუტი შედგა ფილმში „კოლხეთის ჩირაღდნები“, ხოლო ბოლო ფილმი მსახიობისთვის „ვამეხი მიდის“ აღმოჩნდა, რომელშიც მედეა ჯაფარიძემ დედა იღუმენიას როლი შეასრულა. მსახიობის კარიერაში ყველაზე წარმატებული ფილმი „ქეთო და კოტე“ აღმოჩნდა, რომელიც ხელოვანის სავიზიტო ბარათად იქცა.

„ქეთო და კოტეს“ რეჟისორი ვახტანგ ტაბლიაშვილი წერდა: „მედეამ მეუაღრესად გამიმართლა იმედი. რეჟისორი მსახიობს აძლევს როლის მარცვალს. რეჟისორს უყვარს ის მსახიობი, რომელსაც აქვს საკუთარი ინიციატივა. სწორედ ასეთი მსახიობი იღებს რეჟისორისაგან მარცვალს და აი იმ მარცვლისგან ზრდის თავისებურ სახეს. ასე შექმნა მედეამ ქეთო „ქეთო და კოტეში“. ამ სურათის შემდეგ ჩემი რწმენა უფრო გაიზარდა მედეასადმი და როდესაც ვიფიქრე „რომეო და ჯულიეტას“ დადგმის შესახებ, აქაც არჩევანი არ ყოფილა. ჩემთვის ჭეშმარიტება იყო ის, რომ მედეას უნდა ეთამაშა ჯულიეტა და უნდა მოგახსენოთ, რომ აქაც იგივე განმეორდა: ჩემ მიერ მიცემული მარცვალი მედეამ დიდ, საინტერესო ნაყოფად გაზარდა. მე ძალიან მიხარია, რომ მედეას საინტერესო ბიოგრაფიაში თვალსაჩინო ადგილი უჭირავს ჯულიეტას, რომელიც ჩვენ ერთობლივად შევქმენით“.

ცნობილი იტალიელი სცენარისტი ტონინო გუერა კი მედეა ჯაფარიძის მშვენიერებით იყო მოხიბლული: „დღეს, როცა სამყაროში ამდენი რამ ინგრევა და იმსხვრევა, როცა ამდენი საშიშროება ემუქრება კაცობრიობის მშვენიერებას, როცა ასე მოჭარბებულადაა მოძალებული ყველაფერი ყოფითი და მიწიერი, ბედნიერებაა ხედავდე ისეთ ადამიანს, როგორიცაა მედეა ჯაფარიძე, რომლის შემოქმედებითი ნიჭიერება, სულიერი და ფიზიკური მშვენიერება მიიწევს ზევით, მაღალი იდეალებისაკენ და თითქოს შენც მაღლდები მისი შემხედვარე“.

მედეა ჯაფარიძე 71 წლის ასაკში გარდაიცვალა. იგი დიდუბის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში მეუღლის რეზო თაბუკაშვილის გვერდით დაკრძალეს.

– დღევანდელი დღე ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან ხდება ჩემი დედის შემოქმედების გახსენება. ამას საიუბილეო საღამოს ვერ დავარქმევთ, თუმცა ეს დედის გახსენების დღეა და მეამაყება, რომ მედეას შემოქმედება ქართველი მაყურებლისთვის ძალიან საყვარელია. დედას ბევრ ფილმში არ აქვს მონაწილეობა მიღებული, თუმცა მან როგორც კინოში, ასევე თეატრში შექმნა დაუვიწყარი როლები. მას საკმაოდ მძიმე ცხოვრება ჰქონდა, თუმცა ამის მიუხედავად ის იყო ადამიანი, რომელსაც თავის ქვეყანა ყველაზე მეტად უყვარდა. მარტო დეპუტატობის დროს დედამ 126 პატიმარი გამოუშვა ციხიდან შეწყალებით, – განაცხადა მსახიობის შვილმა ლაშა თაბუკაშვილმა.

სპეციალურად ღონისძიებისთვის მომზადდა გამოცემა, რომელშიც თავმოყრილია ექსპოზიციისთვის შერჩეული ფოტომასალა.

ეროვნულმა არქივმა სხვა მნიშვნელოვანი ინფორმაციაც გააჟღერა: 2013 წლის 9 თვის განმავლობაში ეროვნული არქივი 38.000-მდე მოქალაქეს მოემსახურა.

– საისტორიო, უახლესი ისტორიის, კინოფოტოფონოდოკუმენტების, ქუთაისის ცენტრალური, ასევე, ადგილობრივი არქივებიდან მოქალაქეებმა 38 000-მდე თემატური და სოციალურ-უფლებრივი ხასიათის ცნობა მიიღეს, მკვლევართა დარბაზებში კი 940 ადამიანმა იმუშავა, რომელთაგან 55 უცხო ქვეყნის მოქალაქე იყო. მათ შორის: აშშ-ს, კანადის, ინგლისის, ჩეხეთის, პოლონეთის, საფრანგეთის, გერმანიის, ავსტრიის, საბერძნეთის, ისრაელის, თურქეთის, რუსეთის, აზერბაიჯანის, სომხეთის მოქალაქეები. ეროვნულ არქივში დაცული მასალებიდან მოქალაქეები, ძირითადად, ითხოვენ შემდეგ დოკუმენტებს დაბადების, გარდაცვალების, ქორწინების ცნობა; განათლების ფაქტის დამდასტურებელი ცნობა; სამუშაო სტაჟის დამადასტურებელი ცნობა; გენეალოგიური და ბიოგრაფიული ხასიათის ცნობა; ქონებრივი უფლების დამადასტურებელი ცნობა და სხვა მნიშვნელოვანი დოკუმენტები, – აღნიშნა სოფიო ჯობავამ.

მისივე თქმით, ეროვნული არქივის საცნობარო მომსახურების მიღება შესაძლებელია იუსტიციის სახლებში, ასევე, რეგიონულ და ადგილობრივ არქივებში:

– რაც შეეხება მკვლევარებს, 2013 წლის 9 თვის განმავლობაში ისინი მუშაოდნენ შემდეგ თემებზე ჩრდილოეთ კავკასიელი მუჰაჯირების ემიგრაცია, მათი გასახლება ოსმალეთის იმპერიაში; რუსეთ-თურქეთის ომი; სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული განვითარება მე-19-მე-20 საუკუნეების დაღესტანში; სახელმწიფო საზღვრების დადგენა რუსეთ-თურქეთ-ირანს შორის; მუსულმანთა სასულიერო მმართველობა კავკასიაში.

# კროსვორდი ბ

**შვეულად**: 1. ხელოვნების მუზეუმი ლოს-ანჯელესში; 2. ფინელი სატირიკოსი მწერალი; 3. ლირიკული, სატრფიალო პოეზიის მუზა ბერძნულ მითოლოგიაში; 4. ფეხსაცმლის საპირედ გამოყენებული მაღალხარისხოვანი თიკნის ტყავი; 5. ქართველი დირიჟორი; 6. ბანკში გახსნილი ანგარიში; 8. კლიმატურ-ბალნეოლოგიური კურორტი მესხეთში; 10. სანადირო თოფებისა და ავტომატური შაშხანების მწარმოებელი ამერიკული ფირმა; 11. ისტორიული ციხე-ქალაქი თეთრიწყაროს რაიონში; 14. ძლიერი სულიერი განცდის გამოვლინება; 15. მსხლის ჯიში; 16. ჭიდაობის ერთ-ერთი სახეობა.

**თარაზულად**: 1. პირველი ქართველი დიდოსტატი მამაკაცი ჭადრაკში; 4. საკონდიტრო ნაწარმი; 7. წვრილი წვიმა; 9. შვედური საავტომობილო კომპანია; 12. მეფის მრჩეველი ძველად; 13. აღმოსავლური ტკბილეული; 14. ველური ვარდი; 17. ფულის გამოშვება; 18. ავადმყოფური მიდრეკილება ქურდობისადმი; 19. პატარა სამკუთხა ალამი; 20. ყინულის ძველი ქართული სახელწოდება.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*



## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. პიტი; 2. დერბი; 3. ლხასა; 5. ბეკონი; 6. ნიჟარაძე; 9. პრეფერანსი; 10. წალენჯიხა; 11. მარასკინი; 14. თხა; 16. უოლესი; 18. ბიტი.

**თარაზულად:** 1. ჰუნდაი; 4. კაბოშონი; 7. ერმისა; 8. სანტოსი; 12. პეტრა; 13. მთვარე; 15. დევიზა; 17. პაი; 19. ღვინობისთვე; 20. ვისლა; 21. ლიკანი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. დაჩი; 2. პონტო; 3. ირისი; 4. ქინთი; 5. ბორანო; 6. ძეფირელი; 8. დეიტერიუმი; 10. ტრუსკავეცი; 11. ბალანჩინი; 14. საბვეი; 15. დევიზი; 16. ანტრე.

**თარაზულად:** 1. დამპერი; 4. ქობულაძე; 7. ჩერნი; 9. ფიატი; 12. თოფაძე; 13. ქიმია; 14. სოსისი; 17. ჰიტაჩი; 18. დიელექტრიკი; 19. მიამიტი; 20. ვეძისი

# პენტაგონი რუსული ვერტმფრენების შესყიდვაზე უარს ამბობს



ამერიკის თავდაცვის უწყებამ, კონგრესის ზეწოლით, რუსეთისაგან ავღანეთის არმიისათვის 15 ვერტმფრენის შეძენაზე თქვა უარი.

345 მილიონი დოლარის ღირებულების ვერტმფრენები კომპანია „როსობორონექსპორტისაგან“ უნდა შეეძინათ და მომდევნო წელს ავღანეთისათვის გადაეცათ. თუმცა, კონგრესის ორივე პალატის კანონმდებლები დიდი ხანია ამ კომპანიასთან კავშირების გაწყვეტას ითხოვენ, რომელიც იარაღით სირიის პრეზიდენტ ბაშარ ალ-ასადსაც ამარაგებს.

„მე მივესალმები თავდაცვის სამინისტროს გადაწყვეტილებას, რომელმაც მი-17 ტიპის 15 ვერტმფრენის შეძენა გადაიფიქრა რუსეთისაგან. ამ ვერტმფრენების მომწოდებლებთან თანამშრომლობა ამორალურია“,-განაცხადა რესპუბლიკელმა სენატორმა ჯონ კორნინმა.

ეს ინფორმაცია დაადასტურა პენტაგონის წარმომადგენელმა მორინ შუმანმა და აღნიშნა, რომ თავდაპირველად კონგრესისგან მოითხოვეს 2014 წლის ბიუჯეტში სახსრების გამოყოფა, ავღანეთში ეროვნული უსაფრთხოების ძალების დამატებით გასაძლიერებლად. მისი თქმით, კონგრესმენებთან კონსულტაციების შემდეგ, სამინისტრომ მოთხოვნა გადააფასა და დამატებითი შესყიდვების გეგმა არ არსებობს, თუმცა, ადრე შეთანხმებული მიწოდება გეგმის მიხედვით მოხდება. სულ, პენტაგონი „როსობორონექსპორტისგან“ 1,1 მლრდ დოლარის ღირებულების 63 ახალი მი-17-ის შესყიდვას გეგმავდა. უკვე შეძენილი ვერტმფრენების რაოდენობა ოფიციალურად არ კონკრეტდება.

პენტაგონი დაჟინებით აცხადებდა, რომ მი-17-ის შეძენა ყველაზე სწრაფი მეთოდია ავღანეთში არმიის აღჭურვისთვის, 2014 წელს ავღანეთიდან ამერიკული არმიის გამოსვლამდე. ასევე, იმის გამო, რომ ეს ვერტმფრენები კარგად არის ავღანეთის მთიან პირობებთან ადაპტირებული.

„ბი-ბი-სის“ ინფორმაციით, „როსობორონექსპორტს“ პენტაგონის უარზე ამ დრომდე კომენტარი არ გაუკეთებია.

# ჯონ კერი კონგრესმენებს მოუწოდებს, არ დაუწესონ ახალი სანქციები ირანს

აშშ-ის სახელმწიფო მდივნის, ჯონ კერის აზრით, თუ კონგრესი მიმართავს რაიმე ზომას ირანისთვის ახალი სანქციების დასაწესებლად, ეს ხელს შეუშლის მიმდინარე დიპლომატიურ ძალისხმევას ირანის ბირთვული პროგრამის გარშემო უთანხმოების მოსაგვარებლად. კერიმ ეს შეფასება გამოთქვა ხუთშაბათს, სენატის საბანკო კომიტეტში დახურული სხდომის დაწყებამდე. კომიტეტი განიხილავს ირანის მიმართ შესაძლო ახალ სანქციებს, მისი ბირთვული პროგრამის გამო. კერის თქმით, შეერთებული შტატები და მსოფლიოს სხვა წამყვანი სახელმწიფოები მხარს უჭერენ ირანთან დროებით შეთანხმებას, რომელმაც უნდა მოიცვას სანქციების გარკვეული შემსუბუქება ბირთვული პროგრამის საკითხში გარკვეული დათმობების სანაცვლოდ. კონგრესმენებში აზრთა სხვადასხვაობაა იმის გარშემო, უნდა მიეცეს თუ არა მეტი დრო დიპლომატიას ირანის საკითხში.

„ბი-ბი-სისათნ“ ინტერვიუში, კერიმ აღნიშნა, რომ ირანი და მსოფლიოს წამყვანი ქვეყნები ჟენევაში შეთანხმების ხელმოწერასთან ძალიან ახლოს იყვნენ.

შეგახსენებთ, რომ ირანსა და ე.წ „ექვსეულს“ შორის მორიგი შეხვედრა 20 ნოემბერს არის დანიშნული. როგორც ცნობილია, ეს ჯგუფი ირანის მიერ ბირთვულ პროგრამაზე მუშაობის შეჩერების სანაცვლოდ ამ ქვეყნისათვის სანქციების შემსუბუქებას განიხილავს.

შეგახსენებთ, დასავლეთი შიშობს რომ ირანი ბირთვული იარაღის შექმნაზე მუშაობა, რასთან დაკავშირებითაც ქვეყანას მკაცრი ეკონომიკური სანქციებიც დაუწესდა. ირანი აღნიშნულს გამუდმებით უარყოფს. ქვეყნის ახალმა პრეზიდენტმა ჰასან როუჰანიმ ირანის მიერ ბირთვული იარაღის ფლობა კატეგორიულად გამორიცხა.

# სამგლოვიარო განცხადებები

პოლიტიკური პარტია „მემარცხენე ალიანსი“ სამძიმარს უცხადებს პარტიის დამფუძნებელს, ნუგზარ ერგემლიძეს დედის

**ვალენტინა კოპალეიშვილის**

გარდაცვალების გამო.

მანანა და სოსო შატბერაშვილები სამძიმარს უცხადებენ ნუგზარ ერგემლიძეს დედის

**ვალენტინა კოპალეიშვილის**

გარდაცვალების გამო.



შვილები ზურა და დიმიტრი იობაშვილები, რძლები ნანა თევზაძე და ხათუნა ჩხეიძე, ძმა ჯუმბერ კერვალიძე, შვილიშვილები სოფიო, დათა, ლევან, გიორგი და ნიკოლოზ იობაშვილები, სიძე ლევან კერვალიშვილი, ძმისშვილები ზაზა, მამუკა, იმედა და ირაკლი კერვალიძეები და უახლოესი ნათესავები იუწყებიან

**ლეილა ლოლუა-იობაშვილის**

გარდაცვალებას.

პანაშვიდი: 14, 15 ნოემბერს.
დაკრძალვა: 16 ნოემბერს, 14 საათზე.
მისამართი: ირ.გამრეკელის №28.

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

# უკრაინის ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერა შესაძლოა, ორი წლით გადაიდოს



უკრაინის ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერა შესაძლოა, ორი წლით გადაიდოს. ამის შესახებ ევროპარლამენტის მისიის წარმომადგენელმა, პოლონეთის ექსპრეზიდენტმა ალექსანდრ კვასნევსკიმ განაცხადა.

„თუ სიტუაცია მომავალშიც ისე განვითარდება, როგორც დღეს მოხდა, უკრაინა ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერას მხოლოდ ორი წლის შემდეგ შეძლეს“, – განაცხადა კვასნევსკიმ უკრაინაში იულია ტიმოშენკოს გათავისუფლების გარშემო საკითხის ბლოკირებაზე კომენტირებისას, რასაც ევროკავშირი უკრაინისგან მოითხოვს.

მისი თქმით, 2014 წელს ევროპარლამენტის არჩევნებია დაგეგმილი, შემდეგ ევროკომისიის; 2015 წელს კი უკრაინა აირჩევს ახალ პრეზიდენტს – ეს ყველაფერი კი ნიშნავს, რომ უკრაინისთვის აღარ ეცლებათ.

ალექსანდრ კვასნევკი იმედოვნებს, რომ უკრაინის რადა კანონპროექტს პატიმრების, მათ შორის იულია ტიმოშენკოს საზღვარგარეთ სამკურნალოდ გამგზავრების შესახებ, რომლის განხილვაც რადამ გუშინ ჩააგდო, შემდეგ განხილვაზე მიიღებს. გავრცელებული ინფორმაციით, რადა კანონპროექტს ხელმეორედ 19 ნოემბერს განიხილავს.

უკრაინელი ექსპერტის იგორ ჟდანოვის თქმით, უკრაინა სავარაუდოდ ევროკავშირთან შერცხვება და ვილნიუსის სამიტზე ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერა არ მოხდება. მისივე თქმით, არც მმართველ „რეგიონების პარტიას“ და არც პრეზიდენტ იანუკოვიჩს ევკროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერა არ სურს.

კიდევ ერთი უკრაინელი ექსპერტის ტარას ბერეზოვეცის აზრით, ევროინტეგრაციის პრესპექტივა კიდევ არსებობს, თუმცა ამის შანსი ძალიან მცირეა. მისი თქმით, ევროკავშირმა შესაძლოა, უკრაინის საბაჟო კავშირში შესაძლო შესვლის შიშით, ტიმოშენკოს საკითხზე თვალი დახუჭოს. მისივე თქმით, იანუკოვიჩი მართალია არ შეუერთდება საბაჟო კავშირს, თუმცა იგი ცდილობს რუსეთისგან 5 მილიარდ დოლარიანი კრედიტი და გაზის 120 დოლარიანი ტარიფი მიიღოს, ხოლო ამ ყველაფერს პუტინი იმ შემთხვევაში გასცემს, თუ დარწმუნდება რომ ასოცირების შეთანხმებას ხელი არ მოეწერება.

ბერეზოვეცის თქმით, იმის მიუხადავად, რომ იგი ოპტიმისტია, სავარაუდოდ 28 ნოემბრის ვილნიუსის სამიტი უკრაინის კიდევ ერთი სირცხვილი იქნება.

მას შემდეგ რაც უმაღლესმა რადამ ვერ მიიღო ტიმოშენკოს გათავისუფლებისთვის საჭირო კანონპროექტი, უკრაინის შანსები ვილნიუსის სამიტზე ხელი მოაწეროს ასოცირების შესახებ შეთანხმებაზე ძალიან შემცირდა. ამის შესახებ ინფომრაციას გერმანული საერთაშორისო საზოგადოებრივი მაუწყებელი „დოიჩე ველე“ ავრცელებს, რომელსაც ევროპის სხვადასხვა პოლიტიკოსების გამოხმაურებებს ავრცელებს.

ევროკომისარი გაფართოებისა და სამეზობლო პოლიტიკის საკითხებში შტეფან ფულემ განაცხადა, რომ კიევმა ქმედითი ნაბიჯები უნდა გადადგას ტიმოშენკოს საკითხში თუმცა, მისი თქმით, ამისთვის ძალიან ცოტა დრო დარჩათ.

გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრმა გუიდო ვესტერველემ განაცხადა, რომ უკრაინამ „ვერ გამოიყენა შანსი, რომ ტიმოშენკოს საქმეზე გამოსავალი ეპოვა“. კომენტარი გერმანიის სხვა პოლიტიკოსებმაც გააკეთეს. ევროპარლამენტის ფრაქცია „მწვანეების“ წევრებმა რებეკა ჰარმსმა და ვერნერ შულცმა განაცხადეს, რომ ურაინელი დეპუტატების საქციელი პროვოკაცია იყოს ევროკავშირის მიმართ. ხოლო ლიტვის პრემიერ-მინისტრის ალგირდას ბუტკიავიჩუსის თქმით, თუ ვილნიუსის სამიტზე ასოცირების ხელშეკრულებას ხელი არ მოეწერა, მაშინ ის დიდი ვადით გადაიდება. აღსანიშნავია, რომ ლიტვა წელს ევროპული საბჭოს (ევროკავშირის უმაღლესი ორგანო) თავმჯდომარე ქვეყანაა.

„რუსეთი კოსმოსურ და ავიაციურ სფეროში ყველა წარმოების თავის ტერიტორიაზე ლოკალიზებას მოახდენს, უკრაინასა და ევროკავშირს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებაზე ხელმოწერის შემდეგ, – განუცხადა რუსეთის ფედერციის ვიცე-პრემიერმა დიმიტრი როგოზინმა ჟურნალისტებს ბრიუსელში.

„ჩვენ ვერ შევძლებთ იქ (უკრაინაში) ზოგიერთი „მგრძნობიარე ტექნოლოგიის“ განთავსებას, მოგვიწევს რუსეთის ფედერაციის ტერიტორიაზე მათი სრული ლოკალიზება. ეს კი პრობლემებს ნიშნავს, ავიამრეწველობის მომავალთან, კოსმოსურ თანამშრომლობასთან და კიდევ ბევრ რამესთან დაკავშირებით“, – თქვა როგოზინმა.

რუსეთის ვიცე-პრემიერმა ასევე აზრი გამოთქვა უკრაინისა და მოლდოვას ევროკავშირის წევრობის პერსპექტივასთან დაკავშირებით:

„სავარაუდოდ, ისინი ვერასოდეს შევლენ ევროპის კავშირში... ამასთანავე, ხელი უნდა მოაწერონ სხვათა ნორმებისა და სტანდარტების შესრულებაზე“. „ჩვენ მოვუწოდებთ ევროკავშირს არ წაახალისონ ჩვენი პარტნიორები დაუფიქრებელი ნაბიჟების გადადგმისკენ. როგორც ცნობილ შინაურ ცხოველს, არ დაუკიდონ თივა ცხვირთან, როდესაც იცი, რომ ის თივაზე ვერასოდეს პირის დაკარებასაც ვერ შეძლებს, მაგრამ სულ თივისკენ მიმართული ივლის“, – თქვა როგოზინმა.

შეგახსენებთ, რომ ევროკავშირი ამ ასოციაციის შესახებ ხელმოწერის უმთავრეს პირობად ყოფილი პრემიერის იულია ტიმოშჩენკოს საკითხის მოგვარებას მოითხოვს, თუმცა ტიმოშჩენკოს სამკურნალოდ გამგზვრების შესახებ უკრაინას გადაწყვეტილება ჯერ კიდევ არ მიუღიაა; ვილნიუსის სამიტი 28-29 ნოემბერს იმართება.

უკრაინა ამავე დროს რუსეთის მხრიდან მძლავრი ზეწოლის ქვეშ იმყოფება. რუსეთი ევროკავშირთან შეთანხმების ხელმოწერას ეწინააღმდეგება. კრემლს სურს, რომ ამის ნაცვლად უკრაინა რუსეთის, ყაზახეთისა და ბელორუსის საბაჟო კავშირში გაწევრიანდეს, რომელსაც მოსკოვი ევროკავშირის საპირწონედ მიიჩნევს.

# გერმანიის ექს-პრეზიდენტს ქრთამის აღების საქმეზე ასამართლებენ



გერმანიის ყოფილი პრეზიდენტი კრისტიან ვულფი ქრთამის აღების ბრალდების გამო, ჰანოვერის სასამართლოს წინაშე წარსდგა.

ვულფი გერმანიის პირველი პრეზიდენტია, რომლის საქმესაც სასამართლო იხილავს. დამნაშავედ ცნობის შემთხვევაში, გერმანიის ექსპრეზიდენტს 3 წლამდე პატიმრობა ან ჯარიმის გადახდა ემუქრება.

გამოძიების მტკიცებით, 2008 წელს, როდესაც ვულფი ქვემო საქსონიის პრემიერის თანამდებობაზე იყო, კინოპროდიუსრმა დავიდ გრიონევოლდმა, გარკვეული დახმარების სანაცვლოდ, მისი სასტუმროს ხარჯი დაფარა. დავიდ გრიონევოლდს ქრთამის მიცემის გამო წარუდგინეს ბრალდება. ექს-პრეზიდენტმა და კინოპროდიუსერმა ყველა ბრალდება უარყვეს და დაჟნებით მოითხოვეს საქმის სასამართლოში გადატანა.

გამოძიების ინფორმაციით, გრიონევოლდმა 2008 წელს ლუდის ფესტივალის დროს და კუნძულ ზიულტზე 2007 წელს ვულფის სასტუმროს ხარჯი დააფინანსა. ამისთვის, თითქოს ვულფი გრიონევოლდისთვის ხელსაყრელი გერმანული კომპანიების ინტერესებს ლობირებდა.

ჰანოვერის პროკურორის განცხადებით, ყოფილი პრეზიდენტი, შესაძლოა, გრიონევოლდის ერთ-ერთი ფილმისთვის კომპანია „სიმენსისგან“ ფინანსური მხარდაჭერის მოპოვებას ცდილობდა.

პროკურატურა ვულფის კორუფციისთვის გასამართლებას მოითხოვდა, თუმცა, მოსამართლემ მისი ნაკლებად სერიოზული ბრალდებით გასამართლება გადაწყვიტა. მიმდინარე წლის მარტში ვულფმა და გრიონევოლდმა უარი განაცხადეს ჯარიმის გადახდის სანაცვლოდ საქმის დახურვის შესახებ პროკურორის წინადადებაზე.

კრისტიან ვულფი, რომელიც პრეზიდენტად ანგელა მერკელის მხარდაჭერით აირჩიეს, 2012 წლის თებერვალში გადადგა, რადგან ბიზნესის წარმომადგენლებთან ურთიერთობების გამო, მედიის კრიტიკის ცენტრში მოექცა. საქმე გართულდა ტაბლოიდ „ბილდის“ მიერ 2011 წელს პრეზიდენტის ტყუილში დადანაშაულების გამო. გაზეთის ინფორმაციით, ვულფს საზოგადოება შეცდომაში შეყავდა იპოთეკური კრედიტის გამო, რომელიც მისმა მეუღლემ ერთი შეძლებული ბიზნესმენისგან მიიღო. ვულფს, გაზეთის რედაქტორისთვის გაგზავნილი მუქარის შემცველი ხმოვანი ინფორმაციისთვის ბოდიშის მოხდაც მოუწია.

როდესაც გადადგომის თაობაზე ვულფმა კანცლერს განცხადება წარუდგინა, ანგელა მერკელმა აღნიშნა, რომ ეს განაცხადი „მიიღო პატივისცემით, თუმცა სინანულით“ და, რომ ის დარწმუნებულია იმაში, რომ ვულფს კანონი არ დაურღვევია.

კრისტიან ვილჰელმ ვალტერ ვულფი ქრისტიან-დემოკრატიული კავშირის წევრია. ქვემო საქსონიის მინისტრ-პრეზიდენტი 2003-2010 წლებში. გერმანიის პრეზიდენტი 2010-2012 წლებში. პრეზიდენტად აირჩიეს 2010 წლის 30 ივნისს, ხოლო ფიცი დადო 2 ივლისს. გადადგა 2012 წლის 17 თებერვალს.

*მოამზადა გვრა მამულაშვილმა*

## TV პროგრამა

პარასკევი
15 ნოემბერი

07.30 "ჩვენი დილა" 08.00, 09.00, 10.00, 12.00, 16.00, 19.00, 20.00, 00.00 "მოამბე" 10.30 "დღეს" შემეცნებით-გასართობი პროგრამა 14.00 **ფეხბურთი.** 19 წლამდე ასაკის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი. **საქართველო – მოლდოვა** (პ/რ) 17.00 ტ/სერ. **"ზღვარს მიღმა"** 19.05 "შეხვედრები მცხეთაში" 20.50 პოლიტიკური თოქ-შოუ: "პირველი სტუდია" (პ/ე) 22.30 სპორტული თოქ-შოუ: "არენა" (პ/ე) 23.30 "ახალი ქართული კინო" – მხ/ფ **"სამი სახლი"** 01.20 მხ/ფ **"გორილას განკურნება"**

08.00, 10.00, 21.00, 23.00 "ბრიფინგის დრო" 09.00, 19.00 "თავისუფალი ტრიბუნა" 10.30 "არგუმენტების დრო" (ხუთ. გ/ჩვ) 12.00 საქართველოს პარლამენტის სხდომის ტრანსლაცია 20.00 "მოამბე" (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ, რუსულ ენებზე) 21.30 "არგუმენტების დრო"

06.45 სერ. **"სიყვარული კონტრაქტით"** 07.30, 08.05, 09.10 იმედის დილა (პ/ე) 08.00, 09.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 19.00, 20.00, 02.50 ქრონიკა 10.05 სერ. **"ცივი გული"** 11.20, 12.05 სერ. **"სიყვარულის საფრთხე"** 1 სერ. 12.30, 13.03 დღის შოუ (პ/ე) 14.40, 15.05 კულინარიული დუელი (გ/ჩ) 16.03 სერ. **"დაბრუნება"** 17.50, 19.03 სერ. **"უდანაშაულო"** 20.50 სერ. **"სილა"** 21.50 თოქ შოუ – ღია ეთერი (პ/ე) 00.00 ქ/სერ. **"ჩვენი ამბავი"** 01.00 მხ/ფ **"მესამე ლეგიონი"** (დ.საზღვრელი) (ტიტ.)

07.30 დილამშვიდობისა საქართველო10.00 სერ. **"ერთგულების ძალა"** 11.00 სერ.**"ბრაზილიის ბამზირი"** 12.00, 15.00, 18.00, 21.00 კურიერი 12.30 "შუა დღე" 16.00 სერ. **"სიყვარული და შურისძიება"** 17.00 კომედი შოუ. 18.50, 19.50 სერ.**"ტიტების დრო"** 20.50 ეროვნული ლატარეა 22.00 პოზიცია 23.00 ვანის შოუ 00.30 მოგზაურობა გიორგი გაბუნიასთან ერთად. 01.00 მხ/ფ 03.00 კურიერის დაიჯესტი

06.00, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 06.05, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00 საეკლესიო კალენდარი 06.10 დოკ/ფ "მოგზაურობა ბარტ ვულფთან ერთად" 06.35 დოკ/ფ "მაჭახელა" 07.10 დოკ/ფ "რასელისტები" 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 "განთიადი" 10.00, 18.05 ერთსულოვნების ვერნისაჟი 10.05, 18.55, 00.25 ისტორიის დღიური 10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30 სიახლენი 10.35 დოკ/ფ "13 ასურელი მამის ნამოღვაწარი" 11.00 "ზღვარზე" გად. IV 11.25 ისტორიის გაკვეთილი 12.05 ამინდი 12.10 მხ/ფ **"მიზანი"** I ნაწ. 13.30 ქართული მულტფილმი 13.40 დოკ/ფ "შორიელთა სიახლოვე" 14.45 ფოტოგალერეა 14.50 მართლმადიდებლური კატეხიზმო 15.05 განთიადის სტუმარი 15.30 დოკ/ფ "მოგზაურობა ბარტ ვულფთან ერთად" 15.55 კონცერტი -ანს."დოდოგორი" 17.05 კვირიაკე 18.10 დოკ/ფ "ტაო-კლარჯეთი" V ნაწ. 18.25 კვირიაკეს სიუჟეტი 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.15 დოკ/ფ **"ზნიანეთი"** 19.35 მხ/ფ **"მიზანი"** II ნაწ. 20.40 ძალი ნებისა 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.10 დროის ჩანაწერები 22.25 მოგზაურობა სამშობლოში 22.55 მართლმადიდებლური კატეხიზმო 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 დოკ/ფ "პალესტინის სიძველეთა საიდუმლო" 00.30 განთიადის სტუმარი 01.00 მხ/ფ **"მოკვეთილი"**

**მაესტრო** 7.00, 0.45, 2.30, 5.15 ახალი ამბები (კოლაჟი) 7.40 მულტფილმი სონიკ- ხ 7.55, 8.10, 9.15 მაღვიძარა 8.00, 9.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00 ახალი ამბები 10.15, 16.00 **სერიალი "დაკარგული დრო"** 12.40 თოქ-შოუ "არგუმენტები" (გამ.) 14.30 გადაცემა "პულსი" (გამ.) 17.45, 21.30, 0.30, 5.00 "ყოველდღიური ამბები" (გამ.). 18.05, 1.30, 6.00 თოქ-შოუ "სუბიექტური აზრი"(გამ). 19.00 **სერიალი "ასი"**. 21.45 **სერიალი "დიდებული საუკუნე"**. 23.00, 3.15 თოქ-შოუ "პოლიტმეტრი" (გამ.)

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


15 ნოემბერი

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი — 1,6778 | ევრო — 2,2511 |
| ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 2,6789 | 100 რუსული რუბლი — 5,1124 |

## ამინდის პროგნოზი 15 ნოემბრისთვის




# თელავის თეატრში პრემიერაა

ეკა ირემაშვილი

თელავის ვაჟა-ფშაველას სახელობის პროფესიულ სახელმწიფო დრამატულ თეატრში პრემიერაა. 15 და 16 ნოემბერს თეატრში გათამაშდება სპექტაკლი „მე პაწია მერცხალი ვარ“, რომელიც რეჟისორმა გოგი ჩაკვეტაძემ თამაზ ჭილაძის ნაწარმოების მიხედვით დადგა.




გოგი ჩაკვეტაძე 2009 წლიდან დღემდე თელავის თეატრის მთავარი რეჟისორია. მას დამთავრებული აქვს სანკტ-პეტერბურგის თეატრის მუსიკისა და კინოს ინსტიტუტი დრამის რეჟისორის სპეციალობით, გიორგი ტოვსტონოგოვის კლასი. სხვადასხვა წლებში იგი მუშაობდა ქალაქ ფსკოვის ალექსანდე პუშკინის სახელობის დრამატულ თეატრში რეჟისორად, ბათუმში ილია ჭავჭავაძის სახელობის სახელმწიფო თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელად, თელავის სახელმწიფო თეატრში რეჟისორად. მის მიერ დადგმულ სპექტაკლებს მიღებული აქვს სხვადასხვა პრემიები, მათ შორის სახელმწიფო პრემია თამაზ ჭილაძის „ნახვის დღის“ დადგმისთვის.

რაც შეეხება თამაზ ჭილაძეს, პიესები იდგმება თეატრებში, როგორც ჩვენში, აგრეთვე საზღვარგარეთ ტელესპექტაკლების სახით. პიესებს სახელგანთქმული რეჟისორები დგამდნენ, მათ შორის, რობერტ სტურუა, თემურ ჩხეიძე, გიზო ჟორდანია, გიგა ლორთქიფანიძე, გოგი ჩაკვეტაძე, გოგა თავაძე. კემბრიჯის საერთაშორისო ბიოგრაფიულმა ცენტრმა თამაზ ჩილაძე 1999-2000 წლების „საერთაშორისო ადამიანის“ წოდების ნომინანტად დაასახელა. მწერლის სახელი შეტანილია მსოფლიოს გამოჩენილ პიროვნებათა დიდი ბრიტანეთის ენციკლოპედიურ ცნობარში, აგრეთვე ევროპის გამოჩენილ პიროვნებათა ცნობარში (ბელგია).

სპექტაკლის მხატვარია გოგი მიქელაძე, მუსიკის ავტორი კოტე მიქაძე, ტექნიკური რეჟისორი მაყვალა ძამუკაშვილი. სპექტაკლში მონაწილეობენ მსახიობები ნინო კურტანიძე (ტასო), თემო ხუნაშვილი (ნიკო, ტასოს ქმარი), დათა ხუნაშვილი (გიო, მათი შვილი), ზურა ლომიძე (ვალერიანი, ტასოს მოწაფე), რუსუდან ძამუკაშვილი (ნათუკა, უსიტყვო პერსონაჟი).

# მედეა ჯაფარიძის იუბილე ეროვნულ არქივში აღნიშნეს

ეკა ირემაშვილი



საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ეროვნული არქივის კინოდარბაზში მედეა ჯაფარიძის 90 წლის იუბილესადმი მიძღვნილი კინოჩვენება და გამოფენა გაიმართა. კინოჩვენებას ეროვნული არქივის გენერალური დირექტორი თეონა იაშვილი, მედეა ჯაფარიძის შვილი ლაშა თაბუკაშვილი, მსახიობის ოჯახის წევრები, კოლეგები და სხვა მოწვეული სტუმრები დაესწრნენ.

– ქალბატონ მედეას არაერთი უკვდავი სახე აქვს შექმნილი როგორც კინოში, ისე თეატრის სცენაზე. სწორედ ამ როლების ამსახველი ფოტოები, ასევე, მსახიობის პორტრეტები, ბიოგრაფიული ხასიათის ფოტოები შევარჩიეთ დღევანდელი ექსპოზიციისთვის, – განაცხადა ეროვნული არქივის გენერალურმა დირექტორმა თეონა იაშვილმა.

ღონისძიების ფარგლებში ნაჩვენები იყო ფრაგმენტები მედეა ჯაფარიძის მონაწილეობით გადაღებული ფილმებიდან, რომელიც არქივს მსახიობის ოჯახმა გადასცა; ასევე, ნაწყვეტები ეროვნულ არქივში დაცული კინოდოკუმენტებიდან: „ქეთო და კოტეს“ გადაღება, მედეა ჯაფარიძის სასცენო მოღვაწეობის 25 წლის იუბილე, ქართული სიმღერისა და რომანსის საღამოზე მედეა ჯაფარიძე თამარ იშხნელთან ერთად, ასევე სცენები სპექტაკლებიდან „ოქროს კაცი ბეწვის ხიდზე“, „იულიუს კეისარი და კლეოპატრა“, „რომეო და ჯულიეტა“.

– ეროვნული არქივის კინოფოტოფონოდოკუმენტების ცენტრალურ არქივში დაცულია ფოტომასალა იმ მხატვრული ფილმების გადასაღები მოედნებიდან, რომლებშიც მედეა ჯაფარიძე მონაწილეობს. აქვე ინახება მსახიობის პორტრეტები, თეატრალური როლებისა და ბიოგრაფიული ხასიათის ფოტოები, – განაცხადა ეროვნული არქივის წარმომადგენელმა სოფიო ჯობავამ.


გაგრძელება მე-10 გვერდზე


# ვინ უმღერებს გიორგი მარგველაშვილს?

ეკა ირემაშვილი

17 ნოემბერს თბილისში ახალი პრეზიდენტის გიორგი მარგველაშვილის ინაუგურაცია გაიმართება. ღონისძიების კულტურულ მხარეს საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის მოადგილე მანანა ბერიკაშვილი ხელმძღვანელობს.

ცნობილი ხდება, რომ ახალი პრეზიდენტის ინაუგურაცია პარლამენტის ძველი შენობის ეზოში ჩატარდება. ფიცის დადების შემდეგ გიორგი მარგველაშვილი გმირთა მოედანზე გაემგზავრება და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის დაღუპულთა მემორიალს გვირგვინით შეამკობს.

მოგვიანებით ღონისძიება რუსთაველის თეატრში გადაინაცვლებს, სადაც ანსამბლი „ერისიონი“ კონცერტს გამართავს. ინაუგურაცია საზეიმო მიღებით დასრულდება, რომელსაც 70 ქვეყნიდან მოწვეული დელეგაციები დაესწრებიან.

მანამდე ვრცელდებოდა ინფორმაცია, რომ 17 ნოემბერს სახელმწიფო ჰიმნს სიმფონიური ორკესტრი და კაპელა შეასრულებდა, თუმცა სახელმწიფო კაპელამ პროტესტის ნიშნად რამდენიმე დღის წინ მუშაობა შეწყვიტა და მათი პირობების გაუმჯობესებამდე მუშაობის აღდგენას არ აპირებს. ღია წერილი, რომელიც კაპელის სრულმა შემადგენლობამ ერთობლივად გაავრცელა და ხელიც მოაწერა, კულტურის მინისტრისთვისაც არის უკვე ცნობილი და გურამ ოდიშარია მზადაა, კაპელას შეხვდეს.

თავდაპირველად მანანა ბერიკაშვილი აცხადებდა, რომ გიორგი მარგველაშვილის ინაუგურაციის დღეს შესაძლო იყო, კონცერტები რეგიონებშიც გამართულიყო:

– კონცერტების მონახაზები არის, თუმცა საბოლოოდ ამაზე საორგანიზაციო ჯგუფი ჩამოყალიბებული არ არის. მე ძალიან მომწონს ოპერის თეატრის ორკესტრი და კაპელა. არის კიდევ სხვა ვარიანტები, ვიმსჯელებთ ერთად, ეს არ არის ჩემი ინდივიდუალური სარეჟისორო ნამუშევარი, მე ჩემს სპექტაკლს არ ვდგამ, ამიტომ საბოლოოდ შევჯერდებით და შეგვეძლება თქმა, თუ როგორი სახის იქნება ინაუგურაცია. ინაუგურაცია იქნება მშვიდი, ლამაზი, ისეთი, როგორიც გიორგი მარგველაშვილს ეკადრება, – აცხადებდა კულტურის მინისტრის მოადგილე მანანა ბერიკაშვილი.

როგორც გაირკვა, ახალი პრეზიდენტის ინაუგურაციის ცერემონიალში თბილისის მერიაც ჩაერთვება. როგორც თბილისის მერიის სოციალური მომსახურებისა და კულტურის სამსახურის უფროსმა მამუკა ქაცარავამ განმარტა:

– ახალი პრეზიდენტის ინაუგურაციის ცერემონიალში თბილისის მერია ტექნიკური საკითხების გადაჭრაში ჩაერთვება. კონცერტი, რომელშიც ვარსკვლავებს უნდა მიეღოთ მონაწილეობა და რომელიც მარჯანიშვილის მოედანზე უნდა გამართულიყო, ეს კონცერტი სავარაუდოდ აღარ გაიმართება.

# ასტროპროგნოზი 15 ნოემბრისთვის

ყველამ გაითვალისწინეთ!

**ეს დღე მშვიდად გაატარეთ**

**ვერძი** – არ აჩქარდეთ, ფრთხილად იმოქმედეთ. **კურო** – ფული გაქვთ, მაგრამ ცოტა ხვალისთვის შემოინახეთ. **ტყუპები** – იმიჯის შეცვლა ნამდვილად ღირს, მაგრამ კარგად დაფიქრდით ამ საკითხზე. **კირჩხიბი** – მოგონება არ გასვენებთ. **ლომი** – ახალ ცხოვრებას იწყებთ, თავს კარგად გრძნობთ. **ქალწული** – ფული არ გაქვთ, მაგრამ მალე გექნებათ. **სასწორი** – საკუთარ თავს კრიტიკულად უყურებთ, ზედმეტი არ მოგივიდეთ. **ღრიანკალი** – სიყვარულში გიმართლებთ, გელით საჩუქარი. **მშვილდოსანი** – მოაწყვეთ განტვირთვის დღე, გადაღლილი ხართ. **თხის რქა** – საყიდლებზე წასვლა გაგამხიარულებთ. **მერწყული** – არავის ენდოთ, მხოლოდ საკუთარ თავს. **თევზები** – კარგ ხასიათზე ხართ, ასე განაგრძეთ.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

# კროსვორდი

**შვეულად**: 1. ვენეციისა და გენუის რესპუბლიკების მთავართა ტიტული; 2. გამარტივებული ნახაზი; 3. ლირიკული, სატრფიალო პოეზიის მუზა ბერძნულ მითოლოგიაში; 5. იტალიელი კინოვარსკვლავი ქალი; 6. უალკოჰოლო გამაგრილებელი სასმელი; 9. მატერიის თვისება სამყაროს მიზიდულობა; 10. თანამედროვე ქართველი პიანისტი მამაკაცი; 11. ძველებური, ცხენებშებმული, მრავალადგილიანი, სამგზავრო-საფოსტო კარეტა; 14. ინგლისელი მწერალი, დრამატურგი, ნობელის პრემიის ლაურეატი; 16. გადასახადების ამკრეფი დაწესებულება ძველად; 18. ბოროტი, ღვარძლიანი, შურიანი ადამიანი.

**თარაზულად**: 1. სანადირო თოფით სასროლი ყველაზე წვრილი კალიბრის საფანტი; 4. გონებასუსტი ადამიანი; 7. ვაშლის ქართული ჯიში; 8. კათოლიკე სასულიერო პირების საქორწილო მოპარსული ადგილი; 12. კურსი, რომლითაც ბანკი აწარმოებს ფასიანი ქაღალდების ყიდვა-გაყიდვას; 13. მილიონის ძველი ქართული სახელწოდება; 15. „ვეფხისტყაოსნის“ პერსონაჟი; 17. ბატონი, მემამულე შუა აზიაში; 19. უძველესი ხელნაწერი; 20. ცხოველთა სამყარო; 21. მდინარე თურქეთისა და საქართველოს ტერიტორიაზე.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*







# ჭიდაობის ფედერაცია ორი მოჭიდავის დისკვალიფიკაციას ითხოვს

საქართველოს ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდენტ ლუკა კურტანიძის გადაწყვეტილების მიხედვით, თავისუფალი ნაკრების მოჭიდავეებს – დავით მარსაგიშვილსა და იაკობ მაქარაშვილს 6-თვიანი დისკვალიფიკაცია ელით. საქართველოს ეროვნული ნაკრების წევრების დისკვალიფიკაციის შესახებ განცხადება კურტანიძემ ფალავანთა კლუბში გამართულ პრესკონფერენციაზე გააკეთა.



მოჭიდავეთა დასჯის მიზეზი ისაა, რომ მათ მოსკოვში გამართულ „ევროპის ერთა თასზე“ მონაწილეობა არ მიუღიათ. რუსეთის დედაქალაქში გამართულ საერთაშორისო ტურნირზე საქართველოს თავისუფალი და ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეთა ნაკრებები ფინალში გავიდნენ, თუმცა გადამწყვეტ ფაზაზე ორივე გუნდი დამარცხდა და ვერცხლის მედლებს დასჯერდა.

**ლუკა კურტანიძე:**

– რომ არა ამ ორი მოჭიდავის უპასუხისმგებლობა, დღევანდელ პრესკონფერენციას „ევროპის ერთა თასის“ მოგებას მივუძღვნიდით. მათ პირადი ინტერესები ნაკრების ღირსებაზე მაღლა დააყენეს და ამის გამო მეორე ადგილს დავჯერდით. იაკობ მაქარაშვილისა და დავით მარსაგიშვილის 6-თვიან დისკვალიფიკაციას ხელი უკვე მოვაწერე. 17 დეკემბერს ჭიდაობის ფედერაციის დისციპლინარული კომისია შეიკრიბება და იქ გადაწყდება, ეს ვადა ძალაში დარჩება თუ გაიზრდება.

დავით მარსაგიშვილი (84 კგ) ევროპის მოქმედი ჩემპიონი და ოლიმპიური თამაშების ბრინჯაოს პრიზიორია, იაკობ მაქარაშვილს (74 კგ) კი ეროვნული გუნდის შემადგენლობაში 2013 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე დებიუტი ჰქონდა.

ფედერაციის პრეზიდენტსა და დავით მარსაგიშვილს შორის აღნიშნულ თემაზე საუბარი უკვე გაიმართა, სადაც ეროვნული ნაკრების წევრმა საკუთარ შეცდომაზე გაამახვილა ყურადღება.

**დავით მარსაგიშვილი:**

– ძალიან ცუდი ფაქტი მოხდა და ჩემს წილ პასუხისმგებლობას სრულად ვიღებ. ვაღიარებ, სწორად არ მოვიქეცი, მაგრამ აქვე იმასაც გეტყვით, რომ ეს მიზანმიმართული ნაბიჯი არ ყოფილა. თავადაც მოტყუებული დავრჩი. ირანში საკლუბო დონეზე საჭიდაოდ ვიყავი და ერთი დღით დამაყოვნეს. რომ მცოდნოდა, ნაკრებში ჭიდაობას ვერ ვასწრებდი, ირანში საერთოდ არ გავემგზავრებოდი. მოსკოვში მაინც ჩავედი, მაგრამ სამწუხაროდ ხალიჩაზე გასვლა ველარ მოვასწარი. დისკვალიფიკაციის შესახებ აბსოლუტურად არაფერი ვიცოდი. ცოტა ხნის წინ ჟურნალისტისგან შევიტყვე და მაშინვე ფედერაციაში წამოვედი. დღეს ისედაც ვაპირებდი მოსვლას და კურტანიძესთან დალაპარაკებას. მოსკოვში ეს არ მოხერხდა. ერთმანეთს ჩვენ-ჩვენი სათქმელი ვუთხარით. საბოლოო გადაწყვეტილებას უახლოეს მომავალში ჭიდაობაში მოტრიალე კომპეტენტური ადამიანები მიიღებენ, დისკვალიფიკაციის თაობაზე იმსჯელებენ და, იმედია, გააუქმებენ.

მ. ჟ.